



საქართველოს მთავრობა

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების ანგარიში

თბილისი

2009

თავი I

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	2008 წლის გეგმა	2008 წლის შესრულება	შესრულება %-ში
შემოსავლები	5,463,641.2	5,517,689.6	101.0%
გადასახადები	4,522,000.0	4,541,553.2	100.4%
გრანტები	592,941.2	617,153.2	104.1%
სხვა შემოსავლები	348,700.0	358,983.2	102.9%
ხარჯები	5,613,700.2	5,554,684.8	98.9%
შრომის ანაზღაურება	917,595.3	913,142.6	99.5%
საქონელი და მომსახურება	1,524,565.0	1,508,750.8	99.0%
პროცენტი	119,416.9	119,282.1	99.9%
სუბსიდიები	365,984.6	362,527.4	99.1%
გრანტები	864,099.9	858,867.2	99.4%
სოციალური უზრუნველყოფა	1,289,006.6	1,286,057.1	99.8%
სხვა ხარჯები	533,031.9	506,057.7	94.9%
საოპერაციო სალდო	-150,059.0	-36,995.3	24.7%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	367,593.1	324,637.5	88.3%
ზრდა	912,563.1	893,400.5	97.9%
კლება	544,970.0	568,763.0	104.4%
მთლიანი სალდო	-517,652.1	-361,632.7	69.9%
ფინანსური აქტივების ცვლილება	450,819.0	600,570.9	133.2%
ზრდა	465,919.0	615,975.7	132.2%
ვალუტა და დეპოზიტები	174,554.7	416,262.6	238.5%
სესხები	148,902.8	142,620.2	95.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	142,461.5	57,092.9	40.1%
კლება	15,100.0	15,404.9	102.0%
სესხები	14,900.0	15,188.5	101.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	200.0	216.4	108.2%
ვალდებულებების ცვლილება	968,471.1	962,203.6	99.4%
ზრდა	1,080,426.5	1,073,237.0	99.3%
საგარეო	1,080,426.5	1,073,237.0	99.3%

კლება	111,955.4	111,033.3	99.2%
საგარეო	58,936.2	58,633.3	99.5%
საშინაო	53,019.2	52,400.0	98.8%
ბალანსი	0.0	0.0	

დასახელება	2008 წლის გეგმა	2008 წლის შესრულება
შემოსულობები	7,104,137.7	7,175,094.4
შემოსავლები	5,463,641.2	5,517,689.6
არაფინანსური აქტივების კლება	544,970.0	568,763.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	15,100.0	15,404.9
ვალდებულებების ზრდა	1,080,426.5	1,073,237.0
გადასახდელები	6,929,583.0	6,758,831.8
ხარჯები	5,613,700.2	5,554,684.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	912,563.1	893,400.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	291,364.3	199,713.1
ვალდებულებების კლება	111,955.4	111,033.3
ნაშთის ცვლილება	174,554.7	416,262.6

თავი II

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება

2008 წლის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

ეკონომიკური ზრდა

2008 წელს, წინა წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.1 პროცენტი შეადგინა და ნომინალურ გამოხატულებაში 19.1 მლრდ ლარს გაუტოლდა.

მშპ-ის ზრდის ტემპის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის, სახელმწიფო მმართველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის

დარგებმა. ვაჭრობისა და სახელმწიფო მმართველობის დარგებმა მთლიანი შიდა პროდუქტი 2.6 პროცენტით გაზარდეს, მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგებმა კი 1.4 პროცენტით შეამცირეს.

2008 წელს, წინა წლებისაგან განსხვავებით, მრეწველობის დარგში კლებას ჰქონდა ადგილი. დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 0.4 პროცენტით შემცირდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის განმავლობაში მრეწველობის დარგის ცალკეული სფეროები არაერთგვაროვნად ვითარდებოდნენ. სამთომომპოვებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობა 17.0 პროცენტით გაიზარდა, ხოლო გადამამუშავებელ მრეწველობისა და ელექტროენერჯის, აირის და წყალმომარაგების სფეროებში შესაბამისად 1.0 პროცენტით და 2.7 პროცენტით შემცირდა. მრეწველობის წილმა მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში 2007 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით მოიკლო და 11.1 პროცენტი შეადგინა (ცხრილი 1).

2008 წელს კლებას ჰქონდა ადგილი სოფლის მეურნეობაშიც. ამ დარგში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 2.1 პროცენტით შემცირდა.

2008 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, სახელმწიფო მმართველობისა და განათლების დარგები. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა ვაჭრობაში 10.4 პროცენტით, კავშირგაბმულობაში 14.5 პროცენტით, სახელმწიფო მმართველობაში 10.3 პროცენტით და განათლებაში 13.7 პროცენტით. ყველაზე მეტი შემცირება დაფიქსირდა მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგებში. მშენებლობაში შექმნილი დამატებულმა ღირებულებამ 11.0 პროცენტით, ტრანსპორტში კი 10.1 პროცენტით მოიკლო.

**მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა
დამატებული ღირებულების მიხედვით**

ცხრილი №1.

(პროცენტი ჯამის მიმართ)

	2006	2007	2008
სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	11.2	9.2	8.9
მრეწველობა	12.4	11.5	11.1
პროდუქტების გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	2.5	2.7	2.4
მშენებლობა	6.9	6.7	5.3
ვაჭრობა	13.6	12.8	13.9
სასტუმროები და რესტორნები	2.3	2.1	2.1

ტრანსპორტი	8.0	7.2	6.6
კავშირგაბმულობა და ფოსტა	3.6	3.1	3.4
საფინანსო საქმიანობა	2.1	2.2	2.1
ოპერაციები უძრავი ქონებით, კვლევები, კომერციული საქმიანობა	3.3	3.4	3.4
სახელმწიფო მმართველობა	8.5	12.8	14.9
განათლება	3.7	3.2	3.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	4.3	4.1	4.1
სხვა დარგები	5.0	5.0	4.8
წმინდა არაპირდაპირი გადასასადები	12.6	14.0	13.4
მთლიანი შიდა პროდუქტი	100.0	100.0	100.0


ფასები და ინფლაცია

2008 წლის დეკემბერში, 2007 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 5.5 პროცენტით გაიზარდა. გასული წლის განმავლობაში ფასების ზრდა არაერთგვაროვანი ტენდენციით ხასიათდებოდა. იანვარ-მაისში ინფლაციის ღონემ 4.4 პროცენტი შეადგინა. მომდევნო ორი თვის განმავლობაში სამომხმარებლო ფასები 1.3 პროცენტით შემცირდა. აგვისტოში ინფლაცია 3.4 პროცენტის ღონეზე დაფიქსირდა. სექტემბერ-დეკემბერში კი 1.0 პროცენტიან დეფლაციას ჰქონდა ადგილი (ნახ. 1)

გასული წლის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ორმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასების საერთო ღონე სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 2.45 პროცენტით, ჯანდაცვამ კი 1.71 პროცენტით გაზარდა.

2008 წელს სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა მნიშვნელობამ, 10.0 პროცენტი შეადგინა.

ნახ. 1. სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების დინამიკა
2008 წელს (2007 წლის დეკემბერი=100)



2008 წლის დეკემბერში 2007 წლის დეკემბერთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასებმა 1.4 პროცენტით მოიმატა. მრეწველობის ცალკეული სფეროების მიხედვით ფასების ცვლილება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. სამთომომპოვებელ მრეწველობაში ფასების ღონე 39.1 პროცენტით შემცირდა, გადამამუშავებელ მრეწველობაში 10.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერჯის, აირის და წყლის წარმოებისა და განაწილების სფეროში ფასები არ შეცვლილა.


ვალუტის კურსი

2008 წლის იანვარ-სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარების ტენდენციით ხასიათდებოდა, ოქტომბერ-დეკემბერში კი ლარის კურსის გაუფასურებას ჰქონდა ადგილი (ნახ. 2). 2008 წლის ბოლოს ლარის კურსმა 1.667 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე, რაც 4.7 პროცენტით მეტია 2007 წლის ბოლოსათვის არსებულ მაჩვენებელზე. ლარის საშუალო თვიური კურსი კი 3.4 პროცენტით გაუფასურდა და 2008 წლის დეკემბერში 1.655 ლარი/აშშ დოლარის ღონეზე დაფიქსირდა. რაც შეეხება ლარის საშუალო წლიურ კურსს, 2008 წელს 2007 წელთან შედარებით იგი 10.8 პროცენტით გამყარდა და 1.49 ლარი/აშშ დოლარს გაუტოლდა.

2008 წლის ბოლოს წინა წლის ბოლოსთან შედარებით, ლარის კურსი ევროს მიმართ 1.4 პროცენტით გაუფასურდა და 2.365 ლარი შეადგინა ერთ ევროზე. ლარის საშუალო თვიური კურსი კი 4.2 პროცენტით გამყარდა და 2008 წლის დეკემბერში 2.233 ლარი/ევროს ღონეზე დაფიქსირდა. რაც შეეხება ლარის საშუალო წლიურ კურსს, იგი 4.3 პროცენტით გამყარდა და 2.19 ლარს გაუტოლდა ერთ ევროზე.

ნახ. 2. ლარის საშუალო თვიური ნომინალური სავალუტო კურსის ინდექსის


დინამიკა 2008 წელს (2007 წლის დეკემბერი=100)



მონეტარული მაჩვენებლები

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2008 წლის ბოლოს 2007 წლის ბოლოსთან შედარებით სარეზერვო ფულის მასა 7.8 პროცენტით შემცირდა და 1 642.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ამავე დროს 3 ფართო ფულის აგრეგატის მოცულობამ 4 305.1 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, რაც 6.9 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში 2 ფულის მასა 13.3 პროცენტით შემცირდა და 1 862.5 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა (ნახ. 3).

ნახ.3. ინფლაციის, 2 და 3 ფულის ინდექსების დინამიკა 2008 წელს (2007წ დეკემბერი=100)



გასული წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 30.1 პროცენტით გაიზარდა, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში კი 21.8 პროცენტით შემცირდა. შესაბამისად იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. წინა წელთან შედარებით 3-ის მულტიპლიკატორმა 0.36 პუნქტით მოიმატა და 2.62 გაუტოლდა, ხოლო 2-ის მულტიპლიკატორი 0.07 პუნქტით შემცირდა და 1.13 შეადგინა.

2008 წელს, წინა წელთან შედარებით, 10.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა დოლარიზაციის კოეფიციენტი და 75.8 პროცენტს გაუტოლდა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ფულის მიმოქცევის სიჩქარეც. აღნიშნული მაჩვენებელი 3 ფულის აგრეგატის მიხედვით 0.08 ერთეულით გაიზარდა და 4.3 შეადგინა. 2-თვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 9.95 გაუტოლდა, რაც 2.04 ერთეულით მეტია 2007 წლის შესაბამის მნიშვნელობაზე.

2008 წელს 2007 წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 23.0 პროცენტს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში კი სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 3.6 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 21.0 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1.0 პროცენტული პუნქტით, უცხოურ ვალუტაში კი 0.5 პროცენტული პუნქტით მოიმატა და შესაბამისად 11.2 პროცენტი და 8.8 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2008 წელს 2007 წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო გაიზარდა და 2 850.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მშპ-ის მიმართ მისმა ფარდობითმა მაჩვენებელმა 22.3 პროცენტი შეადგინა, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით აღემატება 2007 წლის ანალოგიურ სიდიდეს.

2008 წელს, წინა წელთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 22.9 პროცენტით გაიზარდა. აქედან, საქონლის ექსპორტმა 16.3 პროცენტით, ხოლო საქონლის იმპორტმა კი 25.6 პროცენტით მოიმატა. 29.5 პროცენტიდან 27.9 პროცენტამდე შემცირდა ექსპორტის წილი საქონელბრუნვის მოცულობაში, 41.9 პროცენტიდან 38.8 პროცენტამდე კი იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი, 2008 წლის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 15.9 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (10.8 პროცენტი), უკრაინა (10.5 პროცენტი), გერმანია (6.2 პროცენტი) და ა.შ.

ექსპორტში 17.6 პროცენტით პირველ ადგილზე თურქეთია, მეორეზე აზერბაიჯანი 13.7 პროცენტით, მესამეზე უკრაინა 9.0 პროცენტით, მეოთხეზე კანადა 8.8 პროცენტით და მეხუთეზე სომხეთი 8.3 პროცენტით.

იმპორტში პირველი ადგილი 15.5 პროცენტით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან უკრაინა (10.9 პროცენტი), აზერბაიჯანი (10.0 პროცენტი), გერმანია (7.2 პროცენტი), რუსეთი (7.0 პროცენტი) და ა.შ.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, ამ მიმართულებითაც გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 17.8 პროცენტით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან შავი ლითონების ჯართი (8.6 პროცენტი), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (7.9 პროცენტი) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კი პირველ ადგილზე 12.6 პროცენტით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (7.6 პროცენტი), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (3.4 პროცენტი) და ა.შ.

2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები

სულ შემოსულობების სახით (ვალდებულებების ზრდის გარეშე) საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში 2008 წელს მობილიზებულ იქნა 6 578.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 479.8 მლნ ლარი) 102 პროცენტია. სულ შემოსულობების საერთო მოცულობა გასულ წელთან შედარებით 9 პროცენტით გაიზარდა. სულ შემოსულობების წილი მშპ-ს მიმართ 34.5 პროცენტს შეადგენს.

2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტობრივი მაჩვენებლები	პროცენტუალად საპროგნოზო მაჩვენებლებთან	პროცენტუალად წინა წელთან	პროცენტუალად მშპ-სთან
სულ შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)	6 479,8	6 578,2	102	109	34,5
შემოსავლები	5 784,1	5 854,2	101	114	30,7
გადასახადები	4 726,1	4 752,7	101	130	24,9
საშემოსავლო გადასახადი	1 284,2	1 296,3	101	246	6,8
მოგების გადასახადი	583,6	592,1	101	107	3,1
დამატებული ღირებულების გადასახადი	2 068,2	2 069,0	100	105	10,8
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	741,4	738,4	100	109	3,9
საბაჟო ორგანო	1 326,8	1 330,6	100	103	7,0
აქციზი	519,1	518,5	100	121	2,7
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	122,2	122,4	100	101	0,6
საბაჟო ორგანო	396,9	396,1	100	129	2,1
საბაჟო გადასახადი	51,2	51,9	101	100	0,3
ქონების გადასახადი	129,0	131,9	102	122	0,7
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	90,8	93,0	102	367	0,5
გრანტები	592,9	617,3	104	528	3,2
სხვა შემოსავლები	465,0	484,2	104	76	2,5
არაფინანსური აქტივები	669,8	697,8	104	98	3,7
ფინანსური აქტივები	25,9	26,2	101	15	0,1
საგადასახადო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	2 942,8	2 965,4	101	108	15,6
საბაჟო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	1 783,3	1 787,3	100	108	9,4


შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სასაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში 2008 წელს მობილიზებულ იქნა 5 854.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 784.1 მლნ ლარი) 101 პროცენტია, ხოლო 2007 წლის მაჩვენებელზე 14 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი მოცულობა 30.7 პროცენტია. შემოსავლების წილმა სულ შემოსულობების 89.0 პროცენტი შეადგინა.

გადასახადების სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 4 752.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 726.1 მლნ ლარი) 101 პროცენტია. გასულ წელთან შედარებით გადასახადების მოცულობამ 30 პროცენტით მოიმატა, მშპ-ს მიმართ მისი წილი 24.9 პროცენტია. გადასახადების წილმა შემოსავლების 81.2 პროცენტი შეადგინა.


გრანტების სახით მობილიზებულია 617.3 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (592.9 მლნ ლარი) 104 პროცენტი. მშპ-ს მიმართ მისი წილი 3.2 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 484.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (465.0 მლნ ლარი) 104 პროცენტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.5 პროცენტია. სხვა შემოსავლების წილი შემოსავლებში 8.3 პროცენტს შეადგენს (ცხრილი 1, ნახ. 1).



გადასახადების უფრო სრულყოფილი ანალიზის მიზნით, საჭიროა განხილულ იქნას ცალკეული გადასახადის მობილიზებაში არსებული მდგომარეობა. ქვემოთ მოცემულია ნაერთი ბიუჯეტის სტრუქტურა 2008 წელს, რაც ნათელ სურათს იძლევა გადასახადებში ცალკეული გადასახადის წილის შესახებ (ნახ. 2).

ნახ. 2




საშემოსავლო გადასახადის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 1 296.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 284.2 მლნ ლარი) 101

პროცენტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 6.8 პროცენტია. გადასახადებში საშემოსავლო გადასახადის წილი 27.3 პროცენტს შეადგენს.

მოგების გადასახადის სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 592.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (583.6 მლნ ლარი) 101 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 3.1 პროცენტია. გადასახადებში მოგების გადასახადის წილი 12.5 პროცენტია (ნახ. 2, 3).

ნახ. 3




დამატებული ღირებულების გადასახადის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 2 069.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 068.2 მლნ ლარი) 100 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 10.8 პროცენტია. გადასახადებში დამატებული ღირებულების გადასახადის წილი 43.5 პროცენტს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 738.4 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (741.4 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 9 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 3.9 პროცენტია;

– საბაჟო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 1 330.6 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (1 326.8 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 3 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 7.0 პროცენტია (ნახ. 2, 4).

ნახ. 4




აქციზის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 518.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (519.1 მლნ ლარი) 100 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 21 პროცენტით გაიზარდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.7 პროცენტია. გადასახადებში აქციზის წილი 10.9 პროცენტს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების ხაზით მიღებული იქნა 122.4 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (122.2 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით ერთი პროცენტით მეტია, მისი წილი მშპ-ს მიმართ 0.6 პროცენტს შეადგენს.


– საბაჟო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 396.1 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (396.9 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 29 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.1 პროცენტს შეადგენს (ნახ. 2, 5).

ნახ. 5



საბაჟო გადასახადის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 51.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (51.2 მლნ ლარი) 101 პროცენტია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.3 პროცენტია. გადასახადებში საბაჟო გადასახადის წილი 1.1 პროცენტს შეადგენს (ნახ. 2, 6).

ნახ. 6



ქონების გადასახადის სახით, რომლის წილი გადასახადებში 2.8 პროცენტია, მობილიზებულ იქნა 131.9 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (129.0 მლნ ლარი) 102 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 22 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 0.7 პროცენტს შეადგენს (ცხრილი 1, ნახ. 2).

საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში 2008 წელს საგადასახადო ორგანოების საგადასახადო შემოსავლის სახით მობილიზებულ იქნა 2 965.4 მლნ ლარი. საპროგნოზო მაჩვენებლის (2 942.8 მლნ ლარი) 101 პროცენტი. მისი წილი შემოსავლების 50.7 პროცენტს შეადგენს. მშპ-ს მიმართ აღნიშნული მაჩვენებელი 15.6 პროცენტია (ცხრილი 1).

საბაჟო ორგანოების საგადასახადო შემოსავლის სახით მობილიზებულ იქნა 1 787.3 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (1 783.3 მლნ ლარი) 100 პროცენტი. მისი წილი შემოსავლების 30.5 პროცენტს შეადგენს. მშპ-ს მიმართ აღნიშნული მაჩვენებელი 9.4 პროცენტია (ცხრილი 1).

2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

სულ შემოსულობების სახით (ვალდებულებების ზრდის გარეშე) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2008 წელს მობილიზებულ იქნა 6 101.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 023.7 მლნ ლარი) 101 პროცენტია. სულ შემოსულობების საერთო მოცულობა გასულ წელთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა. სულ შემოსულობების წილი მშპ-ს მიმართ 32.0 პროცენტს შეადგენს.

შემოსავლების სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2008 წელს მობილიზებულ იქნა 5 517.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 463.6 მლნ ლარი) 101 პროცენტია. შემოსავლების საერთო მოცულობა გასულ წელთან შედარებით 23 პროცენტით გაიზარდა. შემოსავლების წილი მშპ-ს მიმართ 28.9 პროცენტს შეადგენს. შემოსავლების წილმა სულ შემოსულობების 90.4 პროცენტი შეადგინა.

2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტიური მაჩვენებლები	პროცენტუალ საპროგნოზო მაჩვენებლებთან	პროცენტუალ წინა წელიწადთან	პროცენტუალ მშპ-სთან
სულ შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)	6 023,7	6 101,9	101	118	32,0
შემოსავლები	5 463,6	5 517,7	101	123	28,9
გადასახადები	4 522,0	4 541,6	100	151	23,8
საშემოსავლო გადასახადი	1 210,2	1 218,3	101		6,4
მოგების გადასახადი	583,6	592,1	101	111	3,1
დამატებული ღირებულების გადასახადი	2 068,2	2 069,0	100	105	10,8
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	741,4	738,4	100	109	3,9
საბაჟო ორგანო	1 326,8	1 330,6	100	103	7,0
აქციზი	519,1	518,5	100	121	2,7
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	122,2	122,4	100	101	0,6
საბაჟო ორგანო	396,9	396,1	100	129	2,1
საბაჟო გადასახადი	51,2	51,9	101	100	0,3
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	89,7	91,8	102	397	0,5
გრანტები	592,9	617,2	104	276	3,2
სხვა შემოსავლები	348,7	359,0	103	70	1,9
არაფინანსური აქტივები	545,0	568,8	104	110	3,0
ფინანსური აქტივები	15,1	15,4	102	9	0,1
საგადასახადო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	2 738,7	2 754,3	101	133	14,4
საბაჟო ორგანოების საგადასახადო შემოსავალი	1 783,3	1 787,3	100	108	9,4

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წლიური ფაქტიური მაჩვენებლების მობილიზაცია შემდეგია:

გადასახადების სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 4 541.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 522.0 მლნ ლარი) 100 პროცენტია. გასულ წელთან შედარებით გადასახადების მოცულობამ 51 პროცენტით მოიმატა, მშპ-ს მიმართ მისი წილი 23.8 პროცენტია, გადასახადების წილმა შემოსავლების 82.3 პროცენტი შეადგინა, მათ შორის,

საშემოსავლო გადასახადის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 1 218.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 210.2 მლნ ლარი) 101 პროცენტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 6.4 პროცენტია. გადასახადებში საშემოსავლო გადასახადის წილი 26.8 პროცენტს შეადგენს.

მოგების გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 592.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (583.6 მლნ ლარი) 101 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 3.1 პროცენტია. მოგების გადასახადის წილი გადასახადებში კი 13.0 პროცენტია.

დამატებული ღირებულების გადასახადის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 2 069.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 068.2 მლნ ლარი) 100 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 10.8 პროცენტია. გადასახადებში დამატებული ღირებულების გადასახადის წილი 45.6 პროცენტს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 738.4 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (741.4 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 9 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 3.9 პროცენტია;

– საბაჟო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 1 330.6 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (1 326.8 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 3 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 7.0 პროცენტია, მათ შორის:

აქციზის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 518.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (519.1 მლნ ლარი) 100 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 21 პროცენტით გაიზარდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.7 პროცენტია. გადასახადებში აქციზის წილი 11.4 პროცენტს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების ხაზით მიღებული იქნა 122.4 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (122.2 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 1 პროცენტით მეტია, მისი წილი მშპ-ს მიმართ 0.6 პროცენტს შეადგენს.

– საბაჟო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 396.1 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (396.9 მლნ ლარი) 100 პროცენტი, რაც წინა წელთან შედარებით 29 პროცენტით მეტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.1 პროცენტს შეადგენს.

საბაჟო გადასახადის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 51.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (51.2 მლნ ლარი) 101 პროცენტია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.3 პროცენტია. გადასახადებში საბაჟო გადასახადის წილი 1.1 პროცენტს შეადგენს.

გრანტების სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 617.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (592.9 მლნ ლარი) 104 პროცენტია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 3.2 პროცენტია.

სხვა შემოსავლის სახით 2008 წელს მობილიზებულ იქნა 359.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (348.7 მლნ ლარი) 103 პროცენტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 1.9 პროცენტია. სხვა შემოსავლების წილი შემოსავლებში 6.5 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი		
	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტიური მაჩვენებლები	პროცენტულად საპროგნოზო მაჩვენებლებთან
სხვა შემოსავლები	348,7	359,0	103
შემოსავლები საკუთრებიდან	156,9	159,8	102
პროცენტები	8,4	8,6	103
დივიდენდები	104,0	104,8	101
რენტა	44,5	46,3	104
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	91,6	94,6	103
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	83,8	86,4	103
საბაჟო მოსაკრებელი	25,0	26,1	105
სალიცენზიო მოსაკრებლები	1,3	1,4	102
სანებართვო მოსაკრებლები	25,6	25,9	101
სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები	0,2	0,1	98
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	4,6	4,8	104
სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი	0,1	0,1	104
სახელმწიფო ბაჟი	22,0	22,8	103
საკონსულო მოსაკრებელი	3,1	3,1	100
სატენდერო მოსაკრებელი	0,7	0,9	120
სააღსრულებო მოსაკრებელი	0,6	0,6	101
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,6	0,6	101
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		0,1	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	7,8	8,1	104
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	5,1	5,3	104
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	2,7	2,8	103
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	67,8	71,9	106
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	13,2	13,2	100
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	19,2	19,5	101

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სასაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლის მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 159.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (156.9 მლნ ლარი) 102%-ია. აქედან,

- პროცენტები – 8.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8.4 მლნ ლარი) 103%-ია.

- დივიდენდები – 104.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (104.0 მლნ ლარი) 101%-ია.

- რენტა – 46.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (44.5 მლნ ლარი) 104%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 94.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (91.6 მლნ ლარი) 103%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 86.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (83.8 მლნ ლარი) 103%-ია, მათ შორის:

- საბაჟო მოსაკრებელი – 26.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.0 მლნ ლარი) 105%-ია;

- სალიცენზიო მოსაკრებელი – 1.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1.3 მლნ ლარი) 102%-ია;

- სანებართვო მოსაკრებელი – 25.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.6 მლნ ლარი) 101%-ია;

- სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი – 0.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 98%-ია;

- სარეგისტრაციო მოსაკრებელი – 4.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.6 მლნ ლარი) 104%-ია;

- სახელმწიფო საექსპერტო მოსაკრებელი – 0.06 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 104%-ია;

- სახელმწიფო ბაჟი – 22.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22.0 მლნ ლარი) 103%-ია;

- საკონსულო მოსაკრებელი – 3.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3.1 მლნ ლარი) 100%-ია;

- სატენდერო მოსაკრებელი – 0.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.7 მლნ ლარი) 120%-ია;

- სააღსრულებლო მოსაკრებელი – 0.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.6 მლნ ლარი) 101%-ია;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 0.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.6 მლნ ლარი) 101%-ია.

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 8.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7.8 მლნ ლარი) 104%-ია, მათ შორის:

- საქონლის რეალიზაციიდან – 5.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5.1 მლნ ლარი) 104%-ია;

- მომსახურების გაწევიდან – 2.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2.7 მლნ ლარი) 103%-ია;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 71.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (67.8 მლნ ლარი) 106%-ია.

ნებაყოფლობითი ტრანსფერებიდან, გრანტების გარდა, მობილიზებულია 13.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13.2 მლნ ლარი) 100%-ია.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 19.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19.2 მლნ ლარი) 101%-ია.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 568.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (545.0 მლნ. ლარი) 104 პროცენტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 3.0 პროცენტია. არაფინანსური აქტივების წილი სულ შემოსულობებში 9.3 პროცენტს შეადგენს.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 15.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15.1 მლნ. ლარი) 102 პროცენტია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 0.1 პროცენტია. ფინანსური აქტივების წილი სულ შემოსულობებში 0.3 პროცენტს შეადგენს.

გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 1 040.0 ათასი ლარი, რომელიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.

თავი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებანი

საქართველოს პარლამენტის მიერ 2007 წლის 28 დეკემბერს მიღებული „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი ეფუძნებოდა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს და ძირითადად ორიენტირებული იყო ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფისა და სოციალურ სფეროში არსებული სირთულეების დასაძლევად. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი სახსრები იყო გათვალისწინებული ბიუჯეტის სხვა პრიორიტეტებზეც, როგორცაა ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესება, შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა და ატო-ში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკის შეუფერხებელმა და წარმატებულმა ფუნქციონირებამ უზრუნველყო


შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულება. აღნიშნულ პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 8.5 პროცენტით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 9.0 მლრდ ლარს გადააჭარბა. შესაბამისად, განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილის გაზრდის მიზნით. მნიშვნელოვანი სახსრები მიიმართა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და უსაფრთხოების კუთხით. განხორციელდა პენსიებისა და დეკნითა შემწეობების მატება.

2008 წლის აგვისტოში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა და რუსეთის ფედერაციის მიერ ქვეყნის ნაწილის ოკუპაციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, წარმოიქმნა ახალი ვალდებულებების დაფინანსების აუცილებლობა, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებზე.

2008 წლის განმავლობაში ოთხჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები წლიურ საბიუჯეტო კანონში, ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები გაიზარდა 1 224 433.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 6 929 583.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 6 758 831.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.5%-ია. ამასთან, შესრულების მაჩვენებელი 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს 29.1%-ით აღემატება.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად ძირითადად გაიზარდა თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებაზე მიმართული სახსრები 595 664.7 ათასი ლარით, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე მიმართული სახსრები – 71 211.6 ათასი ლარით. ასევე, მნიშვნელოვანი თანხები მიმართულ იქნა საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაზე, მათთვის დახმარებების გაცემაზე, დაშავებულთა მკურნალობაზე და ა.შ.

საქართველოს 2005-2008 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების
გეგმიური და საკასო მაჩვენებლები
(ათას
ლარებში)



ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებების მიერ გატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- „სოციალური დახმარებების პროგრამის“ ფარგლებში საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 26.8 ათასი პირი, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ – 136.8 ათასი ოჯახი. ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „ხელმოკლე ოჯახებში დაბადებული ახალშობილების დახმარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა – ღირსეული დასაწყისი“, რომლის ფარგლებშიც ქ. თბილისში და რეგიონებში გაცემულ იქნა 20.1 ათასი ბარათი; სულ აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 125.5 მლნ ლარი;

- საპენსიო, აგრეთვე სახელმწიფო აკადემიური კომპენსაციებით და სტიპენდიებით უზრუნველყოფის მიმართულებით საანგარიშო პერიოდის ბოლოს სულ 858.8 ათასამდე ბენეფიციარზე გაიცა 773.8 მლნ ლარი. საპენსიო უზრუნველყოფის ფარგლებში გაზრდილი ოდენობით პენსია – 129 ლარი მიიღეს მეორე მსოფლიო ომის I და II ჯგუფის ინვალიდებმა, მეორე მსოფლიო ომის III ჯგუფის ინვალიდებისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის გათვალისწინებული პენსიის ოდენობა განისაზღვრა 80 ლარით, საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის ოდენობა 2008 წლის 1 აპრილიდან – 70 ლარით. ამასთან, ყველა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველზე დანიშნული მინიმალური პენსია 1 ოქტომბრიდან განისაზღვრა 65 ლარის ოდენობით.

- სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის განხორციელდა

საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის ვაუჩერების ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 87.4 ათასამდე პირი.

- სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლებზე განხორციელდა სახელმწიფო სტიპენდიის გაცემა. დასაქმების პროგრამის დარეგისტრირებული 114.0 ათასი ადამიანიდან 200 ლარიანი სტიპენდია გაიცა 111.0 ათას ბენეფიციარზე.

- 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებულ ყველა ახალჩასახლებულ მოსახლეზე ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გაიცა 200 ლარიანი დახმარება. სულ ასეთი დახმარება მიიღო 16.6 ათასამდე პირმა.

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ იქნა 700 ათასზე მეტი ბენიფიციარი, განხორციელდა გადაუდებელი ამბულატორიული და ჰოსპიტალური მკურნალობა, გეგმიური ჰოსპიტალური მკურნალობა და სხვა. სულ დაფიქსირდა 75.5 ათასამდე შემთხვევა და დაფინანსდა 80.4 მლნ ლარის ოდენობით.

- სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით დარიგდა 180 უფასო სამედიცინო მომსახურების ვაუჩერი.

- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა, აგრეთვე პატიმართა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა.

- განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა.

- საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები სადაზღვევო კომპანიებთან. პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ იქნა 83.6 ათასი ბენეფიციარი.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე 2008 წლის 1 აპრილიდან შემწეობების ოდენობა გაორმაგდა და ორგანიზებულად ჩასახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე გასაცემმა ყოველთვიურმა შემწეობამ შეადგინა 22 ლარი,

ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე – 28 ლარი. ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან საანგარიშო პერიოდში გაცემულია 54.1 მლნ ლარი.

- კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილებისათვის ალტერნატიული გრძელვადიანი განსახლების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების 500-ზე მეტ ობიექტზე განხორციელდა სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები.

- რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის აშენდა საცხოვრებელი სახლები შემდეგ პუნქტებში: თეთრიწყარო, კოდა (თეთრიწყარო), შაუმიანი (მარნეული), ხიხანი (მარნეული), ფოლადაური (ბოლნისი), ქვემო ბოლნისი, გარდაბანი, თელიანი (კასპი), მეტეხი (კასპი), გორი, შავშვები (გორი), ბერბუკი (გორი), ხურვალეთი (გორი), სკრა (გორი), კარალეთი (გორი), საქაშეთი (გორი), ხაშური, სურამი (ხაშური), ქარელი, ახალსოფელი (ქარელი), მოხისი (ქარელი), მიტოვებული (წინამძღვრიანთკარი), ტეჩნიკუმი (წინამძღვრიანთკარი), ტელევიზია (წინამძღვრიანთკარი), საგურამო, მცხეთა, წეროვანი (მცხეთა), წილკანი (მცხეთა), ფრეზეთი (მცხეთა), ბაზალეთი (დუშეთი), ქუთაისი, საგარეჯო, თელავი, ლაგოდეხი. სულ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისათვის აშენდა 4 000-მდე კოტეჯი, შესყიდულ იქნა 500-მდე სახლი და რეაბილიტაცია გაუკეთდა 1.5 ათას ბინას.

- რუსეთის მხრიდან განხორციელებული საომარი მოქმედებების შემდეგ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულად განსახლებული იძულებით გადაადგილებული ოჯახების რაოდენობამ შეადგინა 5.8 ათასი ოჯახი (18.9 ათასი პირი), რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან საყოფაცხოვრებო ტექნიკით, ინვენტარითა და სხვა პირველადი მოხმარების საგნებით. კერძოდ, მათთვის შეძენილ იქნა 24.0 ათასი საწოლი, 7.0 ათასი საძინებლის კარადა, 7.0 ათასი ტელევიზორი, 3.4 ათასი ღუმელი, 7.0 ათასი მაცივარი, 7.0 ათასი სამზარეულოს კომპლექტი, 5.1 ათასი აირგამათბობელი „კერა“, 5.6 ათასი გაზქურა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

- „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების შესაბამისად, იმ ოჯახების საკომპენსაციოდ, რომლებმაც უარი განაცხადეს საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, თითოეულ ოჯახზე გამოიყო 10.0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. ამ კატეგორიაში მოხვდა 1000 ოჯახი (2.5 ათასი პირი).

- აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გარდაცვლილი მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გასაცემად თითოეული ოჯახისათვის გამოიყო 10 000 ლარი, სულ 178 ოხაჯი.

- აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე კომპენსაციის სახით გაცემულ იქნა 2.2 მლნ ლარემდე, ხოლო დაჭრილ მოსამსახურეებზე – 40.0 ათასამდე ლარი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამავე მიზნებისათვის გასცა დაღუპულ მოსამსახურეებზე 124.0 ათასი ლარი და დაჭრილ მოსამსახურეებზე – 395.0 ათასამდე ლარი.

- საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის გამოყოფილ იქნა ერთჯერადი ფულადი დახმარება ერთ მოსწავლეზე 100 ლარის ოდენობით და ყველა მათგანს დაურიგდა სახელძღვანელოები.

- 2008 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შეუფერხებლად და გამჭირვალედ ჩატარება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტში საჭირო დაფინანსების გათვალისწინებამ. საანგარიშო პერიოდში საპარლამენტო არჩევნებზე, მათ შორის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე, მიმართულ იქნა 26.5 მლნ ლარი, საპრეზიდენტო არჩევნებზე – 11.6 მლნ ლარი. ამასთან, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 4.2 მლნ ლარი.

- საბიუჯეტო კანონის 38-მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით, სტაბილური განვითარების ფონდში გადარიცხულია 233.6 მლნ ლარი, ხოლო მომავალი თაობების ფონდში 307.0 მლნ ლარი. ამასთან, აგვისტოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების აქტივების რეპატრიაცია. რეპატრიაციის გეგმის შესაბამისად 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეპატრირებულ იქნა 483.6 მლნ ლარი.

- საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, ანაზღაურდა დიდი და პატარა ღიახვის ხეობის მოსახლეობის მიერ ყოველ აბონენტზე თვეში არაუმეტეს 120 კვტ/სთ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება.

- ყაზბეგის და ღუშეთის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიების ფარგლებში მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობის განკარგულებების თანახმად ანაზღაურდა თითოეულ აბონენტზე თვეში 700 კუბ. მეტრი მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება.

- საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებების მიხედვით და მსოფლიო უსაფრთხოების საქმეში წვლილის შეტანის მიზნით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ცალკეული ქვედანაყოფები, კოალიციური ძალების შემადგენლობაში აქტიურ

მონაწილეობას იღებდნენ სამშვიდობო მისიებში და ანტიტერორისტული ღონისძიებების განხორციელებაში ერთსა და კოსოვოში.

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, აქტიური მოლაპარაკებები იწარმოება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან რეადმისიის თაობაზე ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების მიზნით.


- გაიხსნა საქართველოს საელჩო უნგრეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში, რაც თავისთავად გულისხმობს საკონსულო საქმიანობის წარმოებას და საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა საკონსულო მომსახურებით უზრუნველყოფას;

- პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარჩინებულ მოწაფეებისათვის პორტატული კომპიუტერების შეძენას, საანგარიშო პერიოდში დაჯილდოვდა 8 100-მდე პროგრამის ბენეფიციარი.

- საქართველოს მთავრობის მიერ პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში დამტკიცდა 117 პროექტი საერთო მოცულობით 62.4 მილიონი ლარი. აქედან „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამის ფარგლებში დამტკიცებულია დაახლოებით 50.8 მილიონი ლარი, ხოლო „ხალხური რეწვა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმის განვითარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში – 11.6 მილიონი ლარი. პროექტმა მოიცვა საქართველოს ყველა მხარე და სესხები გაიცა ძირითადად შემდეგი დარგების საწარმოებზე: მეღვინეობა (9 პროექტი; საერთო ღირებულებით დაახლოებით 13.0 მლნ ლარი), თხილის, მარცვლეულისა და ხილ-ბოსტნეულის ჩაბარება-გადამუშავება (13 პროექტი; 6.6 მლნ ლარი), მეჩაიეობა (7 პროექტი; 2 მლნ ლარი) ხორცის, რძისა და რძის ნაწარმის მიმღებ-გადამამუშავებელი (4 პროექტი; 3,9 მლნ ლარი) და სხვა. ხალხური რეწვის სფეროში სესხები გაიცა ხალიჩების ქსოვის, თექის დამუშავებისა და ხის დეკორატიული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში დამტკიცდა ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს 2008-2009 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისთვის შეღავათიანი სტუდენტური კრედიტის გაცემა.

- ქვეყანაში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 15 მარტის №128 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შესყიდულია 18.6 მლნ ლიტრამდე დიზელის საწვავი, რომლის ძირითადი ნაწილიც გაიცა საანგარიშო პერიოდში. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო მოსახლეობის მიერ მიწის დროულ დამუშავებას.

2008 წლის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 5 537 426.8 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 613 700.2 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული წლიური მაჩვენებლის 101.4%-ია. ამასთან, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 554 684.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.9%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 021 780.1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 912 563.1 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული წლიური მაჩვენებლის 89.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 893 400.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.9%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 265 986.5 ათასი ლარით. ამასთან, საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა

291 364.3 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული წლიური მაჩვენებლის 109.5%-ია. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 199 713.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 68.5%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 104 389.6 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 111 955.4 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის 107.2%-ია. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 111 033.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.2%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2008 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 917 595.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა – 913 142.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 16.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2008 წლის დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 524 565.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1 508 750.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 27.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 24 256.9 ათასი ლარი;
- მივლინებები – 47 292.9 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები – 126 327.9 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები – 12 446.4 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები – 88 746.7 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები – 3 869.3 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები – 62 041.6 ათასი ლარი;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 138 405.2 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები – 747 622.4 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 257 741.4 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით 2008 წლის გასაწევი ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 119 416.9 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა – 119 282.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 2.1%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2008 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 365 984.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 362 527.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 6.5%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- საქართველოს ენერჯოსისტემა – აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 58 851.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.8% შეადგენს;

- პროფესიული განათლება, უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა და სამეცნიერო კვლევების პროგრამა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 41 317.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სახელოვნებო და სასპორტო განათლება, ხელოვნების, სპორტის განვითარება – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 42 337.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ს შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით 2008 წლის საკასო შესრულებამ შეადგინა 858 867.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (864 099.9 ათასი ლარი) 99.4%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 15.5%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2008 წლის საკასო შესრულებამ შეადგინა 1 286 057.1 ათასი ლარი, რაც საგეგმო პარამეტრის (1 289 006.6 ათასი ლარი) 99.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 23.2%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სახელმწიფო პენსიები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 714 554.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.

- სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 46 318.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ია.

- მონეტიზებული სოციალური შეღავათები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 38 602.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია.

- სოციალური დახმარებები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 124 425.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.9%-ია.

• ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 060.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების“ მუხლით 2008 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 533 031.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 506 057.7 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 94.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 9.1%-ს შეადგენს.

სხვა ხარჯების მუხლიდან დაფინანსებული იქნა ძირითადად ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

• ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (მათ შორის საჯარო სკოლების მასწავლებლების დაზღვევა) - აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 280 729.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

• მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების ღიზელის საწვავით უზრუნველყოფა - აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 33 151.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს.

საქართველოს 2008 სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 363 102.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 389 828.2 ათასი ლარი) 98.1%, ხოლო მთლიანი ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 21.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 279 565.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (301 676.6 ათასი ლარი) 92.7%-ია;
- საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 26 194.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 373.9 ათასი ლარი) 95.7%-ია;
- ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 24 752.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (24 840.2 ათასი ლარი) 99.6%-ია;
- გამოყენებით კვლევებზე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 99.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% შეადგენს.
- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 122 147.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (122 516.9 ათასი ლარი) 99.7%-ია;
- საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების, მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის, დაფინანსებამ შეადგინა 855 652.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (858 714.0 ათასი ლარი) 99.6%.
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 54 690.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (54 607.6 ათასი ლარი) 100.2%-ია;

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილი იქნა 1 548 670.2 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 548 412.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 24.0%;

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილი იქნა 991 075.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 983 461.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 15.3%; მათ შორის:

- პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 130 310.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (130 339.2 ათასი ლარი) 100.0%;
- სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 70 616.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (71 557.7 ათასი ლარი) 98.7%-ს შეადგენს.

- სასჯელადსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 93 731.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (96 142.8 ათასი ლარი) 97.5%-ს შეადგენს.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 113.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (113.5 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 688 689.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (692 922.3 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად 2008 წლის გეგმამ შეადგინა 589 730.2 ათასი ლარი; ხოლო საკასო შესრულებამ – 571 513.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.9%. მათ შორის:

- საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 81 734.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (75 474.4 ათასი ლარი) 108.3%;

რეგიონული მართვის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 2 630.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 2 616.2 ათასი ლარი.


2008 წელს გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს რეგიონული მართვის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ დაფინანსებამ შეადგინა 2 041.4 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 574.7 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 816.2 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 240.3 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 984.9 ათასი ლარი.


2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 448.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 443.9 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 396.8 ათასი ლარით.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 1 398.9 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 45.0 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 610.4 ათასი ლარი, ხოლო „საქონელსა და მომსახურებაზე“ – 788.4 ათასი ლარი.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2008 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

პრიორიტეტი: თ -ში ინტეგრაციის კოორდინაცია

- 2008 წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა „ თ -ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის“ 8 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა საქართველოში I -ის განხორციელების მიმდინარეობა, ინტენსიური დიალოგის (I) და ინტენსიური ჩართულობის ფარგლებში თ -სთან თანამშრომლობისა და კონსულტაციების, აგრეთვე, თ -საქართველოს კომისიის (ჩ) შექმნის და მისი ფუნქციონირების საკითხები. ამასთან, მიმდინარეობდა უწყებათაშორისი კონსულტაციები თ -ში წარსადგენი დოკუმენტების შემუშავებისა და საქართველოს დელეგაციის ერთიანი ხედვისა და პოზიციების ჩამოყალიბების მიზნით;

- რეგულარულად მიმდინარეობდა თ -ს წევრი სახელმწიფოების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე რეფორმების და მოვლენების შესახებ. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საომარი მოქმედებების დროს ალიანსის წევრი ქვეყნებისათვის დროული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაზე;

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, თ -ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის ფორმატში, შესაბამის დარგობრივ სამუშაო ჯგუფებში მუშაობის და კონსულტაციების საფუძველზე, მომზადდა და თ -ს შტაბ-ბინაში წარდგენილ იქნა საქართველოს მიერ I -ის განხორციელების მდგომარეობის შესახებ ანგარიშები.

პრიორიტეტი: ევროკავშირთან ინტეგრაციის კოორდინაცია

- 2008 წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 9 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე განხილულ საკითხებს შორის აღსანიშნავია: ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის () შესრულების 2007 წლის წლიური და 2008 წლის 6 თვის ანგარიშები; სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების (ჟ შ) საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხები, ევროკავშირის ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში მონაწილეობის პერსპექტივები;

- ქალაქ თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა – ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში“. აღნიშნულ კონფერენციაზე პარალელურად მიმდინარეობდა შემდეგი სესიები: „კონფლიქტების მოგვარება“, „ეკონომიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის საკითხები“ და „სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხები“. აღნიშნულ კონფერენციაზე ქართულმა მხარემ წარმოადგინა ამომწურავი ინფორმაცია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ეკონომიკური, ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმების შესახებ. შედეგად, ევროპული მხარის მიერ დადებითად იქნა შეაფასებული -ის განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები. კონფერენციაზე ასევე დასახულ იქნა მომავალი თანამშრომლობის დღის წესრიგი;

- ქალაქ ბათუმში გაიმართა მესამე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა – ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში“, რომელზეც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განვითარების საკითხებს;

- 2008 წლის ოქტომბერში დაიწყო ე.წ. ჟენევის მოლაპარაკებები ევროკავშირის, ეუთო-ს, გაერო-ს, აშშ-ს, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული მოლაპარაკებების ძირითად საკითხებს წარმოადგენდა სტაბილურობა და უსაფრთხოება რეგიონში და დევნილთა დაბრუნება საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე. აღნიშნულის ფარგლებში გაიმართა მოლაპარაკებათა 3 რაუნდი;

- პოლონური კომპანია „ჩ შ“-ის მიერ და გაერო-ს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კვლევები საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის საკითხების და მოსალოდნელი შედეგების შეფასების მიზნით;

- საანგარიშო პერიოდში საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაიმართა მოლაპარაკებათა ორი რაუნდი სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების საკითხებზე. აღნიშნული მიზნით ქალაქ თბილისში ჩატარებულ შეხვედრაზე შეჯერდა შეთანხმების ტექსტი და ევროკომისიის ინიციატივით შეთანხმების ხელმოწერისთვის აუცილებელ პირობად დადგინდა დასაცავი გეოგრაფიული სახელწოდებების ნუსხის წინასწარი გამოქვეყნება;

- ქალაქ ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტის მე-8 სხდომა. სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მოგვარებაში ევროკავშირის აქტიური მონაწილეობის, ევროკავშირის მიერ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერის საკითხებს. განხილულ იქნა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის () განხორციელების მდგომარეობა, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის დაჩქარების, თავისუფალი ვაჭრობის და სავიზო მიმოსვლის გამარტივების საკითხები. სხდომაზე დასახულ იქნა ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სამომავლო ღონისძიებები.

პრიორიტეტი: ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაცია

- ხელი მოეწერა ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (I) 2008 წლის სამოქმედო გეგმის „სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის მხარდაჭერის“ ფინანსურ შეთანხმებას ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოსთვის 15 მლნ ევროს საბიუჯეტო მხარდაჭერას და 1 მლნ ევროს ტექნიკურ დახმარებას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში.


- სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (I) შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის

გათვალისწინებულ საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (ჩ ჩ) მომზადებაში. ამ ეტაპზე, საქართველომ დაასრულა ყველა აუცილებელი პროცედურა თანამშრომლობის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად.

ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 848.4 ათასი ლარი.

2008 წელს გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 648.4 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის – 200.0 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 367.7 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 280.7 ათასი ლარი.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 576.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 520.2 ათასი ლარი.

2008 წელს გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 1 359.9 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის – 160.2 ათასი ლარი.


ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 761.5 ათასი ლარი, ხოლო „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 598.4 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 497 590.0 ათასი ლარი, ხოლო


ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 392 977.9 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს 773 241.9 ათასი ლარით აღემატება.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები




ამასთან, საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სისტემისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 111 588.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 107 917.4 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 74.7 ათასი ლარით ნაკლებია.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 1 172 522.5 ათასი ლარი, „არაფინანსურმა აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 42 122.6 ათასი ლარი, „ფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 84 481.8 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 93 851.0 ათასი ლარი.


2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 58 051.0 ათასი ლარი, „საქონელი

და მომსახურებაზე“ – 34 976.6 ათასი ლარი, „პროცენტზე“– 119 282.1 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 60 324.6 ათასი ლარი, „გრანტებზე“ – 851 174.6 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 713.0 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 48 000.6 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საანგარიშო პერიოდში დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 დეკემბრის №300 დადგენილების შესაბამისად სამინისტროებიდან და უწყებებიდან მიღებული ინფორმაციისა და საქართველოს მთავრობის მიერ დასახული სტრატეგიების საფუძველზე, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შექმნილი და საქართველოს მთავრობას წარედგინა „საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2009-2012 წლებისათვის.“ აღნიშნულ დოკუმენტში პირველად, საშუალოვადიანი სახარჯო პოლიტიკის ჩარჩოებში სრულად იქნა გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკები და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები.
- საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ახალ საბიუჯეტო კლასიფიკაციებზე გადასვლასთან დაკავშირებით მომზადდა ახალი კლასიფიკაციის შესაბამისი ფორმები და განმარტებებთან ერთად გადაეცათ ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ორგანოებს.
- გადაამუშავდა და დაიხვეწა განაცხადის ფორმები, რომლებშიც გათვალისწინებულ იქნა როგორც საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში განხორციელებული ცვლილებები, აგრეთვე, ზოგიერთი მათგანი გახდა ინფორმაციულად უფრო ტევადი და ამავდროულად გამარტივებული სახით ჩამოყალიბდა.

- 2008 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის ძალაში შევიდა ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია. მისი პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე, სამინისტროებსა და უწყებებში დაგროვდა შენიშვნები და წინადადებები, რომელთაგან ნაწილის გათვალისწინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა. შესაბამისად, განხორციელდა ცვლილებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში.
- ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობისა და ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად შესაბამისი ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით მომზადდა „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.
- საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ იქნა „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე თანმდევი კანონპროექტები, რომლებიც განსახილველად წარედგენა საქართველოს პარლამენტს.
- საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ ძირითად ცვლილებებს: შემცირდა საშემოსავლო გადასახადისა და დივიდენდებზე განაკვეთების ოდენობა; საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად ფიზიკური პირების კუთვნილი დაზიანებული ბინების რეკონსტრუქციის ან განადგურებული ბინების სანაცვლოდ მიღებული ახალი ბინის ღირებულება გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან; მოგების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებას დაექვემდებარა საერთაშორისო კომპანიის მიერ საქართველოს არარეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული მოგება; მოგების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლდა საინვესტიციო ფონდის მართვასთან დაკავშირებული მომსახურებით მიღებული მოგება, თუ საინვესტიციო ფონდი წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსურ კომპანიას; პირს უფლება მიეცა ბიოლოგიური აქტივის (ცხოველი და მცენარე) ღირებულება მთლიანად გამოიქვითოს ხარჯების გაწევის წლისათვის; ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ქონება აღარ იქნება დაყოფილი ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ და არაეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ქონებად და ქონების გადასახადით დაიბეგრება როგორც ფიზიკური პირის ჩვეულებრივი ქონება; გაუქმდა ფიზიკური პირის ავტომანქანებზე ქონების გადასახადი; დღგ-ის გადამხდელებს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების 6 თვიანი ვადა შეუმცირდათ 3 თვემდე; შემსუბუქდა სანქციები და გამოყენების წესები და სხვა.

- 2008 წელს საქართველოს საბაჟო კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი ძირითადი ცვლილებები: გაჩნდა წინასწარი დეკლარირების შესაძლებლობა; დაინტერესების შემთხვევაში პირს შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს შემოსატანი საქონლის წინასწარი დეკლარირება; შესაძლებელი იქნება უკვე რეგისტრირებული დეკლარაციის ცვლილება და ელექტრონულ ბაზაში ხელახლა შენახვა; შემსუბუქდა საბაჟო სამართალდარღვევაზე დაწესებული სანქციები; ფართოვდება ტარიფის განმარტება და ხდება ერთიანი დოკუმენტის-საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მიღება და სხვა. ამასთან, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები დაიხვეწა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ჭო -ს წესებთან
- მიმდინარეობდა მუშაობა მოსაკრებლების კოდექსის მომზადებაზე.
- მიმდინარეობდა საქართველოსა და საქართველოსთვის პრიორიტეტულ ქვეყნებს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებებზე მუშაობა. შედგა მოლაპარაკებები სლოვენიასთან, უნგრეთთან და სინგაპურთან. აგრეთვე, შედგა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრა სხვა ქვეყნების საგადასახადო ექსპერტებთან პარიზში, რის შედეგადაც საქართველოსთვის პრიორიტეტულ ქვეყნებთან მიღწეულ იქნა შეთანხმება უახლოეს მომავალში მოლაპარაკებების წარმოების თაობაზე.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებებით დასრულდა აღრიცხვის რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებული პირველი თაობის რეფორმები. კერძოდ, შემოღებულ იქნა საკასო მეთოდის სფს 2001–ზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნი. გაგრძელდა მუშაობა, როგორც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გადამუშავების, ისე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით. ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციების მიხედვით შედგენილი იქნა ანგარიშგების ფორმები სტრუქტურულად და დამუშავდა პროგრამულად. აგრეთვე, შემუშავდა და გამოიცა ფინანსთა მინისტრის ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.
- ელექტრონული საგადამხდელო დოკუმენტბრუნვის - „ელექტრონული ხაზინა“ - სისტემის შემუშავების შემდეგ განხორციელდა ელექტრონული ხაზინის საცდელ ექსპლოატაციაში გაშვება და საცდელ ეტაპზე მონაწილე ორგანიზაციების ჩართვა. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა პროგრამის გაცნობითი სახის სამუშაოები დანარჩენ საბიუჯეტო ორგანიზაციებთან. მომზადდა ინსტრუქცია ელექტრონული ხაზინის შესახებ.
- მომზადდა ერთიანი სავალუტო ანგარიშის პროექტი, აგრეთვე მიმდინარეობდა მუშაობა ერთიანი სავალუტო ანგარიშის სისტემის ტექნიკურ აღწერილობაზე და კონსულტაციები ეროვნულ ბანკთან ელექტრონული საგადამხდელო დოკუმენტების გაცვლის გზებზე.


- საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა განახლებული დეპოზიტების მართვის სისტემის პროექტი, რომელიც დეპოზიტების იდენტიფიცირებისათვის საჭირო კოდების სტრუქტურასთან ერთად ამუშავდა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან.
- მიმდინარეობდა სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარება. კერძოდ, გადასახადის გადამხდელებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს რიგ რაიონებსა და რეგიონალურ ცენტრებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გადამხდელთა მომსახურების ცენტრების შექმნას და საბაჟო გამშვები პუნქტების და გაფორმების ადგილების მოდერნიზაციას.
- სამშენებლო სამუშაოები დასრულდა და შევიდა ექსპლუატაციაში: ზესტაფონის საგადასახადო მომსახურების ცენტრი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ცენტრი, ახალქალაქის საგადასახადო მომსახურების ცენტრი, საბაჟო-საგუშაგო თბილისის აეროპორტი, ქუთაისში აუდიტის სამმართველო, ხოლო სამშენებლო სამუშაოები დასრულდა და უახლოეს მომავალში შევა ექსპლუატაციაში ქობულეთის საგადასახადო მომსახურების ცენტრი.
- სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა „ნინოწმინდა“ და „გუგუთი“ საბაჟო გამშვები პუნქტებზე.

ამასთან, ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო


საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 397 831.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 388 664.1 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს 56 596.7 ათასი ლარით აღემატება.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 113 557.1 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 196 769.1 ათასი ლარი, „ფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 73 132.3 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 5 205.6 ათასი ლარი.


2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 12 530.6 ათასი ლარი, „საქონელი და მომსახურებაზე“ – 49 663.5 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 41 672.3 ათასი

ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 197.5 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 9 493.3 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

„ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია კომპეტენციის ფარგლებში, ტრანსპორტისა და მშენებლობის დარგების შემდგომი ლიბერალიზაცია“

სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- საქართველოში სამომხმარებლო ფასების, საწარმოთა სტატისტიკის დამუშავება, მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება;
- ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის სტატისტიკის, სამედიცინო და სოციალური სფეროს მონაცემების დამუშავება, მიგრაციული სალდოს გაანგარიშება, 2007 წლის შრომის სტატისტიკის დამუშავება და სხვა;
- ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შედგენა;
- მომზადდა და გამოქვეყნდა სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველო. საგარეო ვაჭრობა 2007“;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საშუალო პროფესიული სასწავლებლების 2007/2008 სასწავლო წლის, თეატრისა და მუზეუმების სტატისტიკური კვლევის სამუშაოები.

მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის ფარგლებში:

- მომზადდა მასალები მოსახლეობის 2007 წლის სენაკის მუნიციპალიტეტის საცდელი აღწერის მონაცემების ავტომატიზებული დამუშავებისათვის (დაშიფვრა და ლოგიკური კონტროლი), აგრეთვე მასალების დამუშავებისათვის მომზადდა ხვადასხვა დამხმარე კლასიფიკატორები;
- შედგა ძნელად მისაღვომი მუნიციპალიტეტების სიები, სადაც აღწერა ჩატარდება საერთო აღწერის ვადაზე ადრე;
- მოსახლეობის 2010 წლის საყოველთაო აღწერის ჩატარებისათვის მიმდინარეობდა ძალოვანი სტრუქტურების მეთოდოლოგიურ მასალაზე მუშაობა, კერძოდ: მომზადდა მითითებები და ინსტრუქციები, თავდაცვის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებისათვის.
- მომზადდა აღწერის მასალის სკანერული მოწყობილობითა და ხელით დამუშავების პროგრამა;
- მიმდინარეობდა აღწერის მასალების კოდირება და ლოგიკური კონტროლი;
- დასრულდა შინამეურნეობების სამისამართო ბაზის ფორმირება;
- დასრულდა 1979-1989 წ.წ აღწერის მონაცემთა ელექტრონული ცხრილების მაკეტების ფორმირება;
- მომზადდა მეთოდოლოგიები მოსახლეობის ცალკეული კონტიგენტების აღწერის შესახებ;
- განხორციელდა გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის ჯგუფის დაკომპლექტება.

შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- შინამეურნეობების გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემებით 2007 წლის დეკემბრის თვის და 2008 წლის კვარტლების მონაცემთა ბაზის ფორმირება.
- 2008 წლის კვარტლების საველე სამუშაოების დასრულება;
- 2007 წლის სიღარიბის დონის მაჩვენებლების დამუშავება;
- ახალი მშენებლობების მონაცემთა ბაზის ფორმირება;
- 2008 წლის იანვარ-ნოემბრის მიხედვით საარსებო მინიმუმის გაანგარიშება.

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამის ფარგლებში:

- განხორციელდა 2008 წლის რაუნდის საწყისი – I, II და III კვარტლების მონაცემების კომპიუტერულ სისტემაში შეყვანა, კონტროლი, მონაცემთა ბაზების გაწმენდა, დამუშავება და აღნიშნული მონაცემების საფუძველზე წინასწარი შედეგების გამოქვეყნება;
- გამოიცა „საქართველო. სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში” ბიულეტენის I და II კვარტლის გამოშვებები.
- საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ინტერვიუებისა და ზედამხედველის ტრენინგი;

სატრანსპორტო სფეროს შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით:

- ხელი მოეწერა ახალ (ლიბერალური) შეთანხმების პროექტებს: „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“;
- საქართველოსა და ევროკომისიას შორის. გამართულ შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა სამოქალაქო ავიაციის სფეროში ევროკავშირისა და საქართველოს შორის ერთიანი შეთანხმების (ჩ) გაფორმების საკითხი. რომლის საფუძველზე ევროკავშირის ექსპერტთა მიერ შემუშავებული იქნება ერთიანი შეთანხმების პროექტი;
- ქ. თბილისში გაიმართა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროს შერეული კომისიის სხდომები, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველო-აზერბაიჯანსა და საქართველო-უკრაინას შორის საავტომობილო მიმოსვლის ხელშეწყობის საკითხები;
- საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის მომზადდა ხელმოსაწერად მთავრობათაშორისი შეთანხმების პროექტი „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო სატვირთო საავტომობილო გადაზიდვების უნებართვო (კვოტების) სისტემაზე გადასვლას;
- საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარების თაობაზე ძირითად მრავალმხრივ შეთანხმებაში დამატების შეტანის დოკუმენტი წარდგენილია რატიფიცირებისათვის საქართველოს პარლამენტში;
- მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საქართველოს საავტომობილო გზებზე მოძრაობის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელშიც გამოყენებულ იქნა შვედური საკონსულტაციო ფირმა “მჭ ლ ”-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტთან დაკავშირებით.

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა **შჩ** -ისა და **ჩ** -ს ერთობლივი პროექტი „ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნების განვითარებაზე“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა არსებული სატრანსპორტო დერეფნებისა და სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო კავშირების ამსახველი რუკები.
- შემუშავებულ და მიღებულ იქნა რეგლამენტები ტრანსპორტის შემდეგ სფეროებში:
 - სამოქალაქო ავიაციის სფეროში მიღებულია ოთხი და შეტანილია ცვლილება/დამატება – სამ რეგლამენტში.
 - საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში მიღებულია შვიდი და შეტანილია ცვლილება/დამატება – ორ რეგლამენტში.

მშენებლობის დარგის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით:

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა და დამტკიცდა „თავისუფალი ინდუსტრიული ზონისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესები“, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ობიექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებულ პროცედურებს.

ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის:

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის“ ღონისძიებების ფარგლებში:

- ჩატარდა საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები საერთაშორისო და შიდა მნიშვნელობის გზებზე;
- ჩატარებულია საგაზაფხულო დათვალიერების შედეგად გზებზე გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრის ძირითადი სამუშაოები;
- ძირითადად დასრულდა სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის სავალი ნაწილის, სახიდე გადასასვლელების, ნაპირსამაგრი ხელოვნური ნაგებობების აღდგენითი და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „გზების მიმდინარე შეკეთებისა და შენახვა ზამთრის პერიოდში“ ღონისძიების ფარგლებში:

- საანგარიშო პერიოდში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე, მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ფარგლებში ჩატარებული იქნა გეგმით გათვალისწინებული მიწის ვაკისის, საფარის, წყალამრიდი და წყალგამტარი ნაგებობების, მოძრაობის

რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კეთილმოწყობის, ასევე ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატანტარი-ალაიანის კმ 27-43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რივის სამუშაოების ფარგლებში: ორზოლიანი გზა მოდერნიზირებული იქნა ოთხზოლიან ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად, რის შედეგადაც გაიზარდა ავტოტრანსპორტის გამტარუნარიანობა და შემცირდა გადაადგილების დრო, მოეწყო სატრანსპორტო კვანძები, გზაგამტარები და განათების სისტემა. დამთავრების პროცესშია გზის კეთილმოწყობის, მეორადი გზების და მიერთებების სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის სვენეთი-რიკოთის კმ80-კმ143 მონაკვეთის ფარგლებში: შესრულდა სვენეთი-რიკოთის კმ95-კმ143 მონაკვეთის წინასაპროექტო კვლევის (ფიზიბილიტი) სამუშაოები.

თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ15-კმ21 მონაკვეთის ფარგლებში: აღნიშნული მონაკვეთის დასრულებულია საპროექტო სამუშაოები.

სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე გვირაბის მშენებლობის II ეტაპის სამუშაოების ფარგლებში შესრულდა:

- სავენტილაციო სამუშაოები და დამონტაჟდა დანადგარების მართვის ავტომატური სისტემა, ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოები და დამონტაჟდა სადრენაჟო სისტემა;
- ბეტონის მუდმივი სამაგრი მოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა გვირაბების დამაკავშირებელი შტოლნის გაყვანა, მოპირკეთებისა და ტროტუარების მოწყობის სამუშაოები ხანძარსაწინააღმდეგო რეზერვუარის მშენებლობა;
- გვირაბში მოეწყო განათების სისტემა.
- პარალელური გვირაბისა და გვირაბის მისასვლელებიდან მიერთებამდე დასრულებულია სამშენებლო და საგზაო საფარის მოწყობის სამუშაოები, რის შედეგადაც გვირაბში ორივე მიმართულებით უზრუნველყოფილია მოძრაობა.

ჭუბერი-საკენის ახალი მიმართულების საავტომობილო გზის მშენებლობა ქვეყანაში შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო იქნა შეჩერებული;

სოფელ ნარაზენსა და სოფელ საჯიჯაოს შორის მდინარე ჭანისწყალზე, აგრეთვე სოფელ ახუთსა და სოფელ ნოლას შორის მდინარე ცივზე დაიწყო აღნიშნული

ხიდების სამშენებლო სამუშაოები, ხოლო დასრულების ფაზაშია სანაპირო და შუალედური ბურჯების მშენებლობა.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-ალაიანის კმ 44-55 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- დასრულებულია პირველი ეტაპის სამუშაოები, კერძოდ: საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებაზე აშენდა ახალი ორზოლიანი ბეტონის საფარიანი გზა, მოეწყო სატრანსპორტო კვანძები, გზაგამტარები და განათების სისტემა;
- მეორე ეტაპის სამუშაოების ფარგლებში დასრულდა, არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, გზის კეთილმოწყობა და მეორადი გზების მიერთებების სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ოკამის გზაგამტარის მოდიფიკაციის სამუშაოები;

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-ალაიანის კმ55-80 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- მარჯვენა მიმართულებაზე 9 კმ-ზე აშენდა ბეტონის საფარიანი გზა.

შელავათიანი საგარეო რეჟიმების დამყარება, ტექნიკური რეგულირების სფეროს განვითარება და ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების და ტურისტების ნაკადის მოზიდვის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ხელმოსაწერად:

- საქართველოსა და ტაჯიკეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება;
- საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში შეთანხმება;
- საქართველოსა და ყირგიზეთს შორის ინტელექტუალური დაცვის სფეროში შეთანხმება;
- ინდონეზიასა და საქართველოს შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება;
- საქართველოსა და უკრაინას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივ შეთანხმებაში ცვლილების ოქმი;
- საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივ შეთანხმებაში ცვლილების ოქმი.

გაფორმდა:

- საქართველოსა და სომხეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივ შეთანხმებაში ცვლილების ოქმი.

მიმდინარე საკითხები:

- 2008 წელს დასრულდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზანშეწონილობის შესახებ კვლევა;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (თ) გაფორმების სამომავლო პერსპექტივების შესწავლის მიზნით, საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდა ევროკომისიის სპეციალური აცტ ინდინგ ისსიონ. ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრები.
- ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენლის (შთლ) დელეგაციის თბილისში ვიზიტის დროს გაიმართა კოსულტაციები/შეხვედრა ექსპორტიორებთან აშშ-სთან შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის (შ) გაფართოებასთან დაკავშირებით, კერძოდ: აღნიშნული რეჟიმით დამატებით 1400 დასახელების პროდუქციის აშშ-ში შეტანის თაობაზე;
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ნატო-სთან ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმით (I) გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით;

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- შეიქმნა და პერმანენტულად განახლების პროცესშია საქართველოში არსებულ და პოტენციურ უცხოელ ინვესტორთა ბაზა;
- მიმდინარეობდა დაინტერესებულ ინვესტორთათვის საპრივატიზაციო ობიექტების მოძიება და ბიზნეს გარემოს შესახებ საინფორმაციო ბროშურებისათვის ინფორმაციის მომზადება;
- საანგარიშო პერიოდში ესტონეთის პრემიერ მინისტრის თაოსნობით საქართველოს ეწვია ბიზნეს დელეგაცია, ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ორმხრივი შეხვედრები.
- ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის თაოსნობით მოეწყო ფოთის ინდუსტრიული ზონის პრეზენტაცია.
- ლიტვის ეკონომიკის მინისტრის ხელმძღვანელობით თბილისს ეწვია ბიზნეს დელეგაცია, ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ორმხრივი შეხვედრები და ბიზნეს ფორუმი.
- კავკასიაში მოეწყო პირველი საერთაშორისო ლოჯისტიკური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 10 ქვეყნის ბიზნეს წრეების წარმომადგენლები.

- ქ. თბილისში გაიმართა საინვესტიციო სააგენტოსა და ისრაელის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი ღონისძიება „ჩვენ ერთად ვაშენებთ“, რომლის ფარგლებშიც მოეწყო მიმდინარე სამშენებლო პროექტების გამოფენა და საქართველოში მოღვაწე კომპანიებთან ორმხრივი შეხვედრები;
- ქ. ქუთაისში გაიმართა პირველი საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმი, სახელწოდებით „ქუთაისი – მეორე დედაქალაქი“, სადაც წარმოდგენილ იქნა საინვესტიციო შესაძლებლობები და ქალაქის ტურისტული განვითარების პოტენციალი.
- ქ. ოზურგეთში, ჩატარდა სააგენტოს მიერ ორგანიზებული ბიზნეს-ფორუმი სახელწოდებით – „იაფი კრედიტები და ბანკაროს ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარება“.
- ქ. თელავში გაიმართა ბიზნეს ფორუმი – „კახეთი – საქართველოს გული.“
- გერმანიაში ქ. ფრანკფურტში ჩატარდა საქართველოს დღეები და ბიზნეს-ფორუმი, სახელწოდებით „ინვესტ ინ ეორგია“. ფორუმის ფარგლებში ჩატარდა ორმხრივი შეხვედრები საფინანსო და სამშენებლო სფეროების ქართულ და გერმანულ კომპანიებს შორის.
- მცირე საწარმოების დახმარებისა და ხელშეწყობის მიზნით საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს მიერ დაფინანსებულ იქნა შ.პ.ს. „რთველი 2008“-ს მიერ მოყვანილი ყურძნის მოსავლის აღებისა და დაწურვის ხარჯები.
- ბალტიის ქვეყნების სავაჭრო სამრეწველო პალატის ინიციატივითა და საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა ლატვიისა და საქართველოს ბიზნეს-ფორუმი.
- მიმდინარეობდა მუშაობა შეთანხმების პროექტებზე – საქართველოს მთავრობას და ფილიპინების, ტაჯიკეთის, ბელორუსიისა და ბანგლადეშის რესპუბლიკების მთავრობებს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ;
- განახლდა მუშაობა შეთანხმების პროექტზე „სლოვაკეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ“;
- მიმდინარეობდა მუშაობა შეთანხმების პროექტებზე – საქართველოს მთავრობას და ჩეხეთის, სლოვენის, ესტონეთის, ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკების შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ;
- განახლდა 1994 წლის 17 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულება “ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“.

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ:

- განხორციელდა 101 გაზომვის საშუალებების ტიპის დამტკიცება (აღიარება), 273 560 პირველადი დამოწმების აღიარება, 41 495 გაზომვის საშუალების დამოწმება,

- საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული სტანდარტების სახით მიღებულ იქნა 973 სტანდარტი. მიღებულია 236 მეწარმე სუბიექტის სტანდარტი და 76 მეწარმე სუბიექტის სტანდარტის ცვლილება. გაცემული სტანდარტების რაოდენობა შეადგენს 2 200.
- სამხრეთ კავკასიის მილსადენის „არეა-80“-ზე ჩატარდა ბუნებრივი გაზის ხარჯშომი კომპლექსის სამ ნაკადზე წნევის, წნევათა სხვაობის, ტემპერატურის გადამწოდების დაკალიბრების და დიაფრაგმების ახლით შეცვლის სამუშაოები.
- „თბილისის წყალი“-ს წარმომადგენლებთან ერთად ჩატარდა საექსპერტო (ოფიციალური) გაზომვები საგურამოს, ღრმაღელისა და ზაჰესის წყალმდენებზე.
- დასრულდა სამუშაოები „სტანდარტების საერთაშორისო კლასიფიკატორის“ ქართულენოვანი ვერსიის მომზადებისათვის.
- ხელი მოეწერა „ეროვნული ეტალონების და მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების მიერ გაცემული დაკალიბრების და გაზომვის სერტიფიკატების ურთიერთაღიარების შეთანხმებას“ ჩი და შედეგად საქართველო შეეგვიანა იქნა აღნიშნული ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნების ნუსხაში;

„აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ:

- აკრედიტებულ იქნა 48 ერთეული ტესტირების, გამზომი და დაკალიბრების ლაბორატორია, 6 ერთეული პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო, 8 ერთეული ტესტირების ცენტრი და 1 ერთეული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო;
- აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტის თანახმად გეგმიური საინსპექციო კონტროლი გაიარა 66 სხვადასხვა ტესტირების ლაბორატორიამ და სერტიფიკაციის ორგანომ;
- აკრედიტაციის წესების და მოთხოვნათა დარღვევის გამო, შეჩერებული იქნა 19, ხოლო გაუქმდა 17 სხვადასხვა ტიპის ტესტირების ლაბორატორიის საქმიანობა;

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამები

მონაწილეობა იქნა მიღებული შემდეგ გამოფენებში:

- საერთაშორისო ტურიზმის გამოფენა-ბაზრობა – „Vაკანტიებურს“ (ქ. უტრეხტში), „I თ“ (ქ. თელ-ავივში), „Iთ ერლი“ (ქ. ბერლინში), „Iთთ“ (ქ. მოსკოვში), „Iთთ“ (ქ. კიევში), „დენტურე ხპო“ (ქ. ვაშინგტონში), „ჩთ“ (ქ. თბილისში), „ატუმი ხპო“ (ქ. ბათუმში).

- საერთაშორისო ტურისტული გამოფენა – „იკე ანდ იკე აირ“ (ქ. ამსტერდამში), „შალონ დუ თოურისმ“ (ქ. პარიზში)
- არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში – „რაბიან თრაველ არკეტ“;
- ბრიტანეთში – „ჯორლდს თრაველ არკეტ“;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ქონების განსახელმწიფოებრივების მიზნით:

2008 წელს, სამინისტროს მიერ პრივატიზებულია 288 ობიექტი, მათ შორის, აუქციონის ფორმით პრივატიზებულია 172 ობიექტი, ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით – 116 ობიექტი;


„სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში:

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 117 პროექტი საერთო მოცულობით 62.4 მილიონი ლარი. აქედან „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამის ფარგლებში დამტკიცებულია დაახლოებით 50.8 მილიონი ლარი, ხოლო „ხალხური რეწვა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმის განვითარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში – 11.6 მილიონი ლარი. პროექტმა მოიცვა საქართველოს ყველა მხარე და სესხები გაიცა ძირითადად შემდეგი დარგების საწარმოებზე: მეღვინეობა (9 პროექტი; საერთო ღირებულებით დაახლოებით 13.0 მლნ ლარი), თხილის, მარცვლეულისა და ხილ-ბოსტნეულის ჩაბარება-გადამუშავება (13 პროექტი; 6.6 მლნ ლარი), მეჩაიეობა (7 პროექტი; 2 მლნ ლარი) ხორცის, რძისა და რძის ნაწარმის მიმღებ-გადამამუშავებელი (4 პროექტი; 3,9 მლნ ლარი) და სხვა. ხალხური რეწვის სფეროში სესხები გაიცა ხალიჩების ქსოვის, თექის დამუშავებისა და ხის დეკორატიული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 157 631.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 154 127.4 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია 4 569.1 ათასი ლარით.


2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



შენიშვნა: 2008 წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა შევიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. აღნიშნული ცვლილება ასახულია მოყვანილ მაჩვენებლებში


საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის 2008 წელს „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 121 713.4 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 32 248.1 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 166.0 ათასი ლარი.

2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 48 616.2 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ - 53 069.8 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 16 423.0 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 385.0 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 3 219.4 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



2008 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ჩატარდა: ადმინისტრაციის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. რუსთავის №2 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების სარეჟიმო კორპუსს, სამზარეულოს და პატიმართა საცხოვრებელ ყაზარმას ჩაუტარდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, აღიჭურვა ახალი ინვენტარით, კეთილმოეწყო ყაზარმის მიმდებარე ტერიტორიები. დაწესებულებას გაუკეთდა ახალი ღობე და გარე პერიმეტრი შემოიფარგლა ლითონის ბადურა-ღობით, აღდგენილ იქნა არტეზიული ჭა. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ახალი კორპუსის ეზოში გაკეთდა შიდა და გარე ღობეებისა და სადარაჯო კოშკების რემონტი, დაწესებულების ტერიტორიაზე განხორციელდა ვოლიერების მეტალოკონსტრუქციის ღობის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობდა დაწესებულებაში არსებული ეკლესიის აღდგენა და რემონტი. გარემონტდა №5 ქალთა და არასრულწლოვანთა საპყრობილისა და საერთო რეჟიმის დაწესებულების ძველი საქვაბე და სამედიცინო ნაწილის კორპუსის პირველი და მეორე სართულების სველი წერტილები, კეთილმოეწყო მისი მიმდებარე ტერიტორიები, დაწესებულების ტერიტორიაზე. აგრეთვე, მოეწყო სასწავლო ცენტრი. ქსნის №7 დაწესებულებაში ჩატარდა პერიმეტრის, ღობის განათების, გადახურვისა და საკნების სარემონტო სამუშაოები. ავჭალის №10 დაწესებულებას ჩაუტარდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის მომარაგების განყოფილებაში ცივი და ცხელი წყლის ავზების მოწყობის სამუშაოები. ასევე შეკეთდა №6 და №7 საპყრობილების საკნებსი და ადმინისტრაციულ ნაწილი. №6 საპყრობილის საფეხბურთო მოედანი დაიფარა ასფალტის საფარით, საკნებს გაუკეთდა რკინის გისოსები. დასრულდა ტუბდაავადებულთა სამკურნალო დაწესებულების საჯარიმო იზოლატორის სარემონტო სამუშაოები, ჩატარდა კიბის უჯრედების, სამზარეულოს სახურავის, კიბეების გამაგრების, დაწესებულების პერიმეტრისა და შიდა ეზოს გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ამანათების მიმღების, კარანტინის და ამანათების დარბაზის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. გარემონტდა №8 დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი საჯარისო ნაწილის ყაზარმა და დაცვის სამსახურის შენობა-ნაგებობა, აშენდა ახალი შიდა ღობე, კეთილმოეწყო ოთხსართულიანი კორპუსის ეზო, გაკეთდა შიდა ღობის პერიმეტრის განათება, შექმნილ იქნა და დამონტაჟდა 2 ცალი წყლის რეზერვუარი და წყლის ტუმბო. აგრეთვე, შეკეთდა არასრულწლოვანთა აღმზრდელიობითი დაწესებულების პატიმართა საცხოვრებელ ოთახები. რიგ კოლონიებში განახლდა და დამონტაჟდა სათვალთვალო კოშკურები. №8 საპყრობილე უზრუნველყოფილ იქნა ავტომატური სატელეფონო სადგურითა და კომპიუტერული ქსელით, დამონტაჟდა დისტანციური მართვისათვის რკინის კარები, შესრულდა შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმის შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და საწვრთნელად მოეწყო სავარჯიშო ბაზა სოფელ ნორიოში. სავარჯიშო ბაზის ტერიტორიაზე განხორციელდა საჰაერო, სახმელეთო, წყალქვეშა და წყალსზედა წინაღობების გადალახვის სავარჯიშო ზოლის მოწყობა, ასევე ელექტროგაყვანილობის, სანტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები და

საგარჯიშო ბაზის შემოღობვა. ოპერატიული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილ იქნა ვიდეო მეთვალყურეობისათვის საჭირო საშუალებები, ვიდეო და აუდიო ჩამწერები.

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარდა და გრძელდება საგანმანათლებლო, სპორტულ და საქველმოქმედო ღონისძიებები. ყველა დაწესებულებაში მოქმედებს ბიბლიოთეკა, სადაც სისტემატურად ხდება საბიბლიოთეკო ფონდის განახლება. ბიბლიოთეკებს მიეწოდებათ ყოველკვირეულად პერიოდული პრესა. საანარიშო პერიოდში გაიმართა №3 საპრობილისა და №5 საერთო და საპრობილის რეჟიმის დაწესებულების პატიმართა ნამუშევრების გამოფენა—გაყიდვა.

- №6 საპრობილის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ამოქმედდა ნარკოტიკებზე და ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგრამა «ატლანტისი». პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულები განთავსდნენ სხვა პატიმრებისაგან იზოლირებულად და მათ ჩაუტარდათ ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობები. პერიოდულად ხდებოდა მათთან სასულიერო პირების მოწვევა.

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ხორციელდებოდა სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მსჯავრდებულთა პროფესიონალურ მომზადებას, კერძოდ: ტიხრული მინანქარის შესწავლას, თიხის დამუშავებას, კომპიუტერული კურსების გავლას, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების სამოქალაქო განათლების მიღებას და სხვა.

- ბათუმის №3 საპრობილეში ხორციელდებოდა პროექტი „მსჯავრდებულ მოზარდთა რეაბილიტაციის სისტემის განვითარება“, სწავლაში ჩაბმული იყო 12 არასრულწლოვანი. საქართველოს განათლების სამინისტროსთან და პროფესიული სწავლების ცენტრ „სპექტრთან“ ერთად გაიხსნა პროფესიული სწავლების კურსი, სადაც ამზადდნენ მკერავებს და გამომჭრელ-მოდელიორებს. კურსის დამთავრების შემდეგ მსჯავრდებულები მიიღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს. სწავლებას გადის 40 მსჯავრდებული.

- „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულფასოვნად ამოქმედებისათვის ქვეყნის ყველა რეგიონში დღე-ღამე („ციხის საერთაშორისო რეფორმა“) და რეგიონალური პრობაციის ბიუროების მიერ სახელმწიფო, საერთაშორისო, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების, მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთობლივად მოეწყო მრავალი მაგიდები, სადაც მიმდინარეობდა დისკუსიები პრობაციის სამსახურის მნიშვნელობაზე პენიტენციურ სისტემაში, პრობაციის სამსახურის პოპულარიზაციაზე. საანაგრიშო პერიოდში პრობაციის სამსახურსა და ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“ წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ღონისძიებებთან დაკავშირებით. პრობაციის სისტემის ეფექტურობის ასამაღლებლად ხორციელდებოდა თანამშრომელთა მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, ეწყობოდა ვიზიტები უცხოეთის ქვეყნებში მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

- წლის განმავლობაში მოძიებულ იქნა საოფისე ფართები პრობაციის სამსახურის რეგიონალური ბიუროების განსათავსებლად. ამ ეტაპზე საოფისე ფართები გააჩნიათ მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის (ქუთაისი, სამტრედია), შიდა ქართლის (კასპი), სამეგრელოსა და ზემოსვანეთის რეგიონებს. მიმდინარეობდა მუშაობა ბათუმის, სამტრედიის, დუშეთის, ნინოწმინდის, გორის და სხვა ოფისების გადმოცემაზე. სამსახური ნაწილობრივ აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ დევნილებისთვის სპეციალური მომსახურება დაწერა. თებერვლიდან მათ შეუძლიათ პირადობის მოწმობის მისაღებად მიმართონ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს თავიანთი დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

- გარემონტდა და ტექნიკით აღიჭურვა საბურთალოს ტერიტორიული სამსახური, თბილისის არქივი და ქ. თბილისის №1 ქორწინების სახლი. დამთავრდა ქ. თბილისში უზნაძის №2 მდებარე ქორწინების სახლის რემონტი. ხარაგაულისა და ზუგდიდის ტერიტორიულ სამსახურებში მოეწყო ქორწინების სარიტუალო ოთახები. დაიწყო სრს ხარაგაულის და წალკის ტერიტორიული სამსახურების რემონტი. გურჯაანის, საგარეჯოსა და ახალქალაქის ტერიტორიული სამსახურები აღიჭურვა თანამედროვე ტენიკითა და საოფისე ინვენტარით.

- სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ყველა ტერიტორიულ სამსახურში დაიწყო სამოქალაქო აქტების ელექტრონულად ბეჭდვა, რისთვისაც შეძენილ იქნა საჭირო კომპიუტერული ტექნიკა.

- „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახმეტისა და დიდუბის სამსახურებში დაიწყო უცხო ქვეყნიდან ლტოლვილთა რეგისტრაცია და მათზე დროებითი ბინადრობის მოწმობების გაცემა. 2008 წლის განმავლობაში გაცემულია 7523 დროებითი ბინადრობის მოწმობა, მათ შორის 1227 დროებითი ბინადრობის მოწმობა ლტოლვილებისათვის.

- დამთავრდა მოქალაქეთა სურათიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ემსახურება ცენტრალიზებული სისტემის დანერგვას, სხვადასხვა ტიპის სერვისების შეთავაზებასა და ფოტოსაძიებო სისტემის სრულყოფას. 2008 წლის განმავლობაში ბაზაში შეტანილ იქნა 4 071 899 სურათი.

- სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მუშაობს მზრუნველობა მოკლებული ბავშვების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე, სადაც დაფიქსირებული იქნება ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა დემოგრაფიული მონაცემები. აღნიშნული ბაზა მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროგრამების დაგეგმვისთვის, როგორც სახელმწიფო, ასევე სხვა ორგანიზაციებისთვის.

- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებაში დახმარების გაწევის მიზნით, წარმოებდა პირადობის მოწმობისათვის საჭირო ფოტოსურათების ადგილზე უფასოდ გადაღება და დოკუმენტის 10 დღეში დამზადება.

- აგრეთვე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სხვადასხვა ტერიტორიული სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდა ფოტოსურათების ადგილზე უფასოდ გადაღება და დოკუმენტების 10 სამუშაო დღის ვადაში გაცემა იმ პატიმრების, რომლებსაც 16 წელი შეუსრულდათ.

- „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადაეცა დაბადების, გარდაცვალების, დაბადების რეგისტრაციისა და გარდაცვალების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის უფლებამოსილება, რაც მანამდე განეკუთვნებოდა სასამართლოს კომპეტენციას.

- სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ განახორციელა, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად, კონფლიქტის რეგონიდან დევნილი მოსახლეობის რეგისტრაცია. შეიქმნა მობილური ჯგუფები, რომლებიც აღიჭურვნენ შესაბამისი ტექნიკით. რეგისტრაციისთვის ოპერატიულად შემუშავდა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელმაც მაქსიმალურად გამარტივებულ რეჟიმში უზრუნველყო დევნილთა უმოკლეს ვადებში რეგისტრაცია. ჯგუფები გადანაწილდნენ დევნილებით კომპაქტურად ჩასახლებულ პუნქტებში. ამუშავდა ცხელი ხაზი.

- მიმდინარეობდა დევნილის დროებითი საბუთის გაცემა მხოლოდ გორის, ქუთაის, ერედვის, თიღვის, ზნაურისა და ზოგადად ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაზე. დევნილის დროებით საბუთს მოქალაქეები გამოიყენებენ პირადობის მოწმობების ნაცვლად საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებამდე.

- დევნილებს, რომელთაც დაკარგული ჰქონდათ ბავშვის დაბადების მოწმობა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს არქივიდან მიიღეს დაბადების შესახებ ამონაწერი.

- განხორციელდა დევნილთა რეგისტრაცია „კარვების ქალაქში“, საიდანაც ინფორმაცია ღმ მოდემების საშუალებით ცენტრალურ სერვერზე აისახა.

- ამუშავებულია პროგრამა – „იპოვე შენი ნათესავი“. აღნიშნული პროგრამა ემსახურება დევნილებს, რომლებიც აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად ვერ პოულობენ თავისი ოჯახის წევრებს და ნათესავებს.

- დევნილი ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისათვის სახელმწიფოთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ დაამზადა საზღვარგარეთ ერთჯერადი გასვლის სამგზავრო დოკუმენტი.

- სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები აღნიშნულ მომსახურებას ფაქტობრივად კონფლიქტის დაწყების დღიდან ახორციელებენ. მომსახურება უფასოა და თითოეული დევნილი მისთვის სასურველ ნებისმიერ დოკუმენტს უპრობლემოდ იღებს.

- სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით 2008 წლის შემოდგომაზე მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე არასრულწლოვანთა რეგისტრაცია, შესაბამისად არასრულწლოვნებზე, რომლებსაც უკვე

შეუსრულდათ 14 წელი გაიცა პირადობის მოწმობები. გასული წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 47000-ზე მეტი არასრულწლოვანი.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 10 300-მდე სისხლის და 1000-მდე ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე, 6 200 მოქალაქეს გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია.

- სამსახურის მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ ჩატარებულ იქნა გასვლითი კონსულტაცია ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულ დასახლებულ პუნქტებში (ციხისძირი, ცივწყარო, ჭართალი, ხანდა, ფასანაური, ქვეშეთი, მლეთა, გუდაური), ასევე, ქვემო ქართლის, სამეგრელოს (ფოთი) და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებმა და კონსულტანტებმა გასვლითი კონსულტაციები აწარმოეს სამეგრელოს (სენაკი, აბაშა) და ქობულეთის რაიონებში.

- ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები რაჭასა და გურიის რეგიონებში საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებისათვის. შეიქმნა ადვოკატთა საქმიანობის შეფასების ახალი სისტემა, რომლის მიზანია თანამშრომელთა სამსახურებრივი დაწინაურების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის და სწავლების საკითხების რეგულირება.

- წლის განმავლობაში ფუნქციონირება დაიწყო იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთისა და ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრებმა, რომლებიც მოქალაქეებს უფასო იურიდიულ კონსულტაციას გაუწივეს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

- დასრულდა იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისისა და ზესტაფონის ბიუროების საოფისე ფართების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ასევე დასრულდა სამსახურის აპარატის, საკონსულტაციო ცენტრებისა და იურიდიული დახმარების ბიუროების ერთიან სამთავრობო ქსელში ჩართვა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედმა კომპიუტერულმა ქსელმა იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისები ერთმანეთთან ონლაინ რეჟიმში დააკავშირა, რამაც ციფრული მონაცემების მიმოცვლა საგრძნობლად გაამარტივა.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროების მიერ 2008 წლის განმავლობაში აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 151 170 აქტი, აღსრულდა 35 728 აქტი, დამთავრდა 63 813 აქტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა დაახლოებით 10.1 მლნ ლარი.

- პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ გადაწყვეტილებათა აღსრულება: 2008 წლისთვის ამ ტიპის აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა რაოდენობამ 1 142 შეადგინა, თანხით 12.3 მლნ ლარი და 12.6 მლნ აშშ დოლარი, რასაც წლის განმავლობაში ახალი გადაწყვეტილებები ემატებოდა. საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ აღსრულებულია 1 770 გადაწყვეტილება, თანხით – 9.8 მლნ ლარი და 6.2 ათასი აშშ დოლარი.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, სააღსრულებო დეპარტამენტი გარდაიქმნა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის

სფეროში შემაჯავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – აღსრულების ეროვნულ ბიუროდ, რის შედეგადაც სააღსრულებო ბიუროები გახდნენ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოები.

- 2008 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქცია“, რომელმაც მოაწესრიგა საქმისწარმოების წესი.


- საქმეთა კატეგორიზაციის მიხედვით, სისტემა გადავიდა მომსახურების ფასიან მოდელზე, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას. ამავდროულად უფასო მომსახურებას დაექვემდებარა იმ კრედიტორთა საქმეები, რომლებიც წარმოადგენენ უქონლობის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს.

- „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ გაწევრიანებულია ევროპის სასამართლო გენეტიკური ექსპერტიზის დაწესებულებათა გაერთიანებაში. რადიაციული ექსპერტიზის ლაბორატორიის სრულყოფისათვის, გაკეთდა რადიოაქტიური წყაროების დროებითი საცავი, რომელიც აშენდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული და საგანგებო სიტუაციების მენეჯმენტის ინსპექტირების ჯგუფის რეკომენდაციით და მითითებით, რაც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მისცემს საშუალებას რადიოაქტიური წყაროების გარდა შეძლოს მუშაობა ბირთვულ მასალებზეც. დნმ ლაბორატორიაში დამონტაჟდა დნმ-ის ავტომატიზირებული ექსტრაქციის აპარატი, რომელიც არა მარტო აიოლებს და აჩქარებს ექსტრაქციის პროცესს, არამედ იცავს ნიმუშს დაბინძურებისაგან და შედეგების ცდომილებისგან. ბიუროში ჩამოყალიბდა ნივთმტიკიცებისა და დოკუმენტაციის ბრუნვის თანამედროვე სისტემა. აღნიშნული სისტემა კომპიუტერიზირებულია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სისტემა ამარტივებს არა მხოლოდ შიდა სტრუქტურას, არამედ უადვილებს მომხმარებელს ნებისმიერი ინფორმაციის სწრაფად და შეუფერხებლად მიღებას. შექმნილ იქნა და ბიუროში დამონტაჟდა უახლესი სისტემის გაზური ქრომატოგრაფი, რაც შესაძლებლობას ხდის ყველა სახის ქიმიური ექსპერტიზის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ჩატარებას. ბიურომ დაამყარა საქმიანი კონტაქტები ევროპის წამყვან საექსპერტო დაწესებულებებთან, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომლები გაგზავნილი იქნა სხვადასხვა ქვეყნების საექსპერტო დაწესებულებებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 58 361.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 57 177.5 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია 927.4 ათასი ლარით.


2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის 2008 წელს „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 54 847.7, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის – 2 329.8.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 4 731.9 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 45 548.9, „სუბსიდიებზე“ – 106.5, „გრანტებზე“ – 4 376.1, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 24.4, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 59.9 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ დაფინანსებიდან 72.1%, ანუ 41 230.2 ათასი ლარი მიმართულ იქნა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების (წარმომადგენლობების) დასაფინანსებლად. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 4 376.1 ათასი ლარი, რაც სამინისტროს მთლიანი დაფინანსების 7.7% შეადგენს. საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დაფინანსების წილი საერთო დაფინანსების 20.1% უტოლდება და 11 464.7 ათასი ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- 2008 წლის აგვისტოს აგრესიამდე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. შემუშავდა მატრიცა საერთაშორისო საზოგადოების რეაგირებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

- 2008 წლის 20 აპრილს მომხდარ საქართველოს ტერიტორიაზე შსს-ს კუთვნილი უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს მიერ ეუთოში ამოქმედებულ იქნა "ვენის" და "ბუქარესტის" მექანიზმები. საბოლოოდ, ეუთოს ფაქტიურად ყველა წევრმა აღიარა ინციდენტში რუსული გამანადგურებლის მონაწილეობა და დაგმო აგრესიის ეს აქტი.

- 2008 წლის 15 მაისს, გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საქართველოს მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი "აფხაზეთიდან, საქართველო ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ."

- 2008 წლის აგვისტოს აგრესიის დროს და შემდგომ პერიოდში სამინისტრო ახდენდა საერთაშორისო თანამეგობრობის დეტალურ ინფორმირებას რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევის შესახებ, რაც გამოიხატებოდა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის, ეთნიკური წმენდის, ტერიტორიების ოკუპაციის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ობიექტების განადგურების ფაქტებით.

- საქართველოში საომარი მოქმედებების პერიოდში, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თბილისის ოფისთან და წითელი ჯვრის საზოგადოებასთან.

- ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები გაეროს გენერალური ასამბლეის დებატებში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. გაეროსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობასთან ერთად, სამინისტროში აქტიურად

მზადდებოდა მასალები გაეროს უშიშროების საბჭოზე საქართველოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის განსახილველად.

- სამინისტრომ აწარმოა შესაბამისი კონსულტაციები საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიასთან, რათა მათ მოემზადებინათ საქართველოში აგვისტოს აგრესიის ადექვატურად ამსახველი გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება.

- აგვისტოს აგრესიის შემდეგ შედგა მინისტრის რამოდენიმე შეხვედრა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან, სადაც განხილულ იქნა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის და ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის შედეგად ადგილნაცვალ პირთა დახმარების საკითხები; რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები; ჟენევის მოლაპარაკებათა შედეგები. ასევე, მიმდინარეობდა მსჯელობა საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის შემდგომ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- პოლიტიკური საკითხების გარდა სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად იყო ჩაბმული რუსული აგრესიის შედეგად ჰუმანიტარული და გარემოსდაცვითი კატასტროფების შესწავლისა და მათი მოგვარების პროცესში.

- სამინისტრო ორგანიზებას უწევდა საქართველოში ეუთო-ს მაღალი რანგის თანამდებობის პირთა სამუშაო ვიზიტებს. მათ შორის აღსანიშნავია აგვისტოს აგრესიის პერიოდში ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ალექსანდრე სტუბის ვიზიტი თბილისსა და გორში.

- 2008 წლის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე აღიარებულ იქნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უფლებამოსილება. გაიმართა დიდი დებატები თემაზე: რუსეთ-საქართველოს ომი. ქართული მხარის მუშაობის შედეგად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია: „საქართველო-რუსეთის ომის შედეგები“.

თ -ში ინტეგრაცია

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ნატო-საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (I) შესრულების შემფასებელი მისიის ვიზიტები საქართველოში, ისევე როგორც ნატო-საქართველოს ოფიციალური შეხვედრები 26+1 ფორმატში. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა I –ის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების განხილვა/შეფასება და ანგარიშის მომზადება, აგრეთვე ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის შემდეგ ეტაპზე გადასვლის საკითხის განხილვა.

- ქართული მხარის მიერ წარმოებული აქტიური დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად, ბუქარესტის ნატოს სამიტზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც აღინიშნა: „ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.“

- გაიმართა ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების განხილვას დაეთმო. გამართული განხილვის შედეგად ალიანსმა შეაჩერა

რუსეთთან „ჩვეულებრივი ურთიერთობები“ (ნო ბუსინესს ას უსუალლ) და მიიღო გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს საბჭოს შექმნის შესახებ.

- საანგარიშო პერიოდში შედგა ნატო-ს სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის კომიტეტის (ჩ) წარმომადგენელთა 15 კაციანი ჯგუფის ვიზიტი საქართველოში, რუსეთის აგრესიის შედეგად გამოწვეული ზარალის ადგილზე შესწავლის მიზნით. იგივე ჯგუფი 4 კაციანი შემადგენლობით ჩამოვიდა 11-13 სექტემბერს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლისა და მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით.

- 2008 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელ ჩარჩო დოკუმენტს, რის შემდეგაც, ნატო-ში საქართველოს მისიის მონაწილეობით, ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის (ჩ) სხდომა.

- 2008 წლის დეკემბერში ალიანსის შტაბ-ბინაში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლის დასკვნით დეკლარაციაში საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში დაფიქსირდა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ყველა ელემენტის მნიშვნელობა, ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი და არსებული სირთულეები. ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს და ნატო-უკრაინის კომისიებისთვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ცენტრალური როლის მინიჭების შესახებ. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისსა და კიევში მუდმივად ოფისების გაძლიერების შესახებ.

ევროკავშირთან ინტეგრაცია

- ხორციელდებოდა საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში არსებულ პრიორიტეტებზე მუშაობა, როგორცაა: სავიზო და მიგრაციის საკითხები, თავისუფალი ვაჭრობა, ობილიტყ არტნერსჰიპ, პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შესრულება, კონფლიქტების მოსაგვარებლად ევროკავშირის როლის გაძლიერება.

- საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსეთის აგრესიისა და საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის რუსეთის მიერ ოკუპაციის ფონზე, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასწია მნიშვნელოვანი ძალისხმევა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ასევე ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიის და ევროპარლამენტის შესაბამის დოკუმენტებში, განცხადებებსა თუ რეზოლუციებში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და ფორმულირებების ასახვის მიზნით.

- აგვისტოში განვითარებული მოვლენების ფონზე, ევროპულმა საბჭომ მიიღო საქართველოს მხარდაჭერი სპეციალური დოკუმენტი. დოკუმენტი ითვალისწინებდა საქართველოში ევროკავშირის სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიის განთავსებას 200 დამკვირვებლის შემადგენლობით. ასევე, მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება

საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობისა და გამარტივებული სავიზო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით.

- ევროკავშირის სამართლისა და საშინაო საქმეთა საბჭომ დაამტკიცა ევროკომისიის მანდატი საქართველოსთან გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების დასაწყებად.

საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა

- ტარდებოდა ქართული ღვინის უცხოეთის ბაზრებზე დამკვიდრებისთვის ხელმშეწყობი ღონისძიებები.

- საქართველო მონაწილეობას ღებულობდა -11 ქვეყნების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. მოხდა სავაჭრო და ეკონომიკური შეთანხმების პროექტის „გრეემენტ ეტწვენ ტჰე 11 ჩოუნტრიეს ონ ცონომიც ანდ თრადე ჩოოჰერატიონ“ შეჯერება და პარაფირება, რომლის ხელმოწერაც იგეგმება წვერი ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა მომავალ სამიტზე.

საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა

- ასოციაციამ „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით, ჩაატარა მე-ნ საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“.

- წლის განმავლობაში, საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების ორგანიზებით ჩატარდა რამოდენიმე გამოფენა ევროპის დედაქალაქებში.

- მომზადდა პროგრამა „საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის, მეცნიერების, განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში 2008-2010 წლებისათვის თანამშრომლობის შესახებ.“

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ესპანეთის სორიას ჰერცოგთა ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოში სორიას ფონდის მუდმივი წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.

- მოსკოვში ესპანეთის საელჩოს მომართვის შესაბამისად, მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მარტვილის ჯვრის ამსახველი დოკუმენტაციის ესპანეთის ასტურიის საგრაფოს მიერ გამოცემულ საერთაშორისო კატალოგში წარმოდგენის მიზნით.

- განხორციელდა შჩ /Iჩ შ-ის ერთობლივი ექსპერტთა მისია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არსებული ქართული ძეგლების შეფასების მიზნით. მისიის ვიზიტის შედეგად მომზადებული ანგარიში განხილული იქნება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 32-ე სესიაზე.

- საანგარიშო პერიოდში სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების მზადების პროცესში. სამინისტრომ კოორდინირება გაუწია 2000-მდე საერთაშორისო დამკვირვებლის თანამშრომლობას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან. მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე ევროპის საბჭოს და ევროპარლამენტის დამკვირვებელთა დელეგაციის ვიზიტების ორგანიზების მიზნით;

რეგიონული თანამშრომლობა

- საანგარიშო პერიოდში საქართველო მონაწილეობდა შ რ-ის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა შეხვედრებში და კონფერენციებში.

- კიევში გაიმართა ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა და აგრეთვე შ რ-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სპეციალური შეხვედრა. შეხვედრებზე მიღებულ იქნა „შ რ-ევროკავშირის პარტნიორობის შესახებ შ რ-ის მინისტრთა დეკლარაცია“ და ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადება. განხილულ იქნა ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონებს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები, პრიორიტეტული სფეროები და სამოქმედო გეგმები.

- საქართველო აქტიურად მონაწილეობდა სუამის შეხვედრებში სხვადასხვა დონეებზე ისევე როგორც სუამის ეგიდით ორგანიზებულ კონფერენციებზე, სადაც დაფიქსირდა ქართული პოზიცია.

- 1 ივლისს ბათუმში ჩატარდა სუამ-ის მესამე სამიტი.

- უკრაინაში, გაიმართა საქართველოს, როგორც სუამ-ში თავმჯდომარე ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის და სუამ-ის გენერალური მდივნის პრეს-კონფერენცია, სადაც უცხოელ და ადგილობრივ ჟურნალისტებს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ და სუამ-ის წევრი ქვეყნების მიერ საქართველოს მიმართ გამოხატული მხარდაჭერისა და სოლიდარობის თაობაზე.

- აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებების დაგმობის და საქართველოს მხარდაჭერი პოზიციის ევროსაბჭოს სხვადასხვა განცხადებებში ასახვის მიზნით. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებმა ხელი მოაწერეს ერთიან დეკლარაციას რუსეთის ფედერაციის ცალმხრივ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

- დაიწყო მუშაობა ევროპის საბჭოს „სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან თანამშრომლობის“ 2008-2010 წლების სამოქმედო გეგმის პროექტზე.

ორმხრივი თანამშრომლობა

- წლის გამწვანებაში შედგა საგარეო საქმეთა მინისტრის არაერთი სამუშაო ვიზიტი საზღვარგარეთ, ისევე, როგორც მისი უცხოელი კოლეგების ვიზიტები. ხელმოწერილ იქნა რიგი ორმხრივი შეთანხმებებისა;

- ხელი მოეწერა „საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის 1995 წლის 14 აგვისტოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში“ ცვლილებების შესახებ ოქმს და პროგრამას „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2008-2010 წლებში კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

- ძალაში შევიდა საქართველოსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

- საანგარიშო პერიოდში ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას „ირლანდიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“.

- წლის განმავლობაში გაფორმდა რიგი შეთანხმებები საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკას შორის: შეთანხმება იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაციის შესახებ დასავლეთ საქართველოში (დეკემბერი), შეთანხმება ფინანსური თანამშრომლობის შესახებ 2008 – 2009 წლებში; შეთანხმება ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 2008 – 2009 წლებში (დეკემბერი), სასესიო ხელშეკრულება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზის დაფინანსების მიზნით 45 მლნ. ევროს გამოყოფა (დეკემბერი); სასესიო ხელშეკრულება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზის თანმდევი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით 2 მლნ. ევროს გამოყოფის შესახებ (დეკემბერი); სამთავრობათოშირისი შეთანხმება აგვისტოს ომის შედეგად ადგილნაცვალ პირთათვის 300 აგურის სახლის მშენებლობის შესახებ (დეკემბერი).

- საგარეო საქმეთა მინისტრის შვედეთის სამეფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში (29-31 ოქტომბერი) ხელი მოეწერა ინვესტიციების წახალისების და დაცვის შესახებ შეთანხმებას.

საქართველოს მოქალაქეების დაცვა საზღვარგარეთ

- 2008 წლის 1 იანვრიდან გაიხსნა საქართველოს საელჩოები უნგრეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში.

- განხორციელდა საკონსულო დეპარტამენტისა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს საკონსულო დაწესებულების ტექნიკურად დაკავშირება სამოქალაქო რეესტრის საპასპორტო-სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზასთან და მიმდინარეობდა პროგრამის დახვეწა, რომელიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის მიწოდებას.

- საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტმა აქტიური მუშაობა გასწია საპატიო კონსულების ინსტიტუტის ოპტიმიზაციის მიმართულებით. დაინიშნენ საქართველოს საპატიო კონსულები საზღვარგარეთ და ამასთანავე, დამტკიცდნენ საზღვარგარეთის სახელმწიფოების საპატიო კონსულები საქართველოში.


- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები უცხოეთში არალეგალურად მყოფ პირთა რეადმისიის შესახებ, კერძოდ, იტალიის, ლიტვის, ესტონეთის, ჩეხეთის, ავსტრიის, საფრანგეთის რესპუბლიკებთან, შვედეთის სამეფოსა და ბენილუქსის ქვეყნებთან. მოქალაქეთათვის სავიზო ფორმალობების გამარტივების მიზნით საგარეო საქმეთა სამინისტრო აწარმოებდა მოლაპარაკებებს ლიტვის, პოლონეთის, ბულგარეთის რესპუბლიკებთან და ისრაელის სახელმწიფოსთან.

- 2008 წლის მესამე კვარტლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა ევროკავშირთან გამარტივებული სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო


საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 547 666.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 547 183.1 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება – 52 647.8 ათასი ლარით.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 2008 წელს „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა – 1 336 526.7, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 210 581.4, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 75.0 ათასი ლარი.

2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 343 047.7, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 979 191.3, „სუბსიდიებზე“ – 7 089.2, „გრანტებზე“ – 4.5, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 3 168.9, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 4 025.2 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



2008 წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- 2008 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, როგორც თანამდებობრივი სარგო, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური და სხვა სახის დანამატები.
- საანგარიშო პერიოდში თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყო სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ფუნქციონირება, რის შედეგადაც გაიზარდა მოსამსახურეთა მოტივაცია.
- მიმდინარეობდა ოფიცრებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა ვარკეთილის მასივსა და გორში.
- საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, გარემონტდა ყაზარმები და შესაბამისად დაკომპლექტდა ახალი საყაზარმე, საოფისე და სასადილო ინვენტარით.
- გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეებში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი, რამაც აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და საფრთხეების მაღალი დონის მიუხედავად, ხელი შეუწყო შეიარაღებული ძალების სათანადო პერსონალით დაკომპლექტებას. კერძოდ: 2008 წელს

დაახლოებით 13.5 პროცენტით გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეების რიცხოვნობა. მინიმუმამდე იქნა დაყვანილი შეიარაღებული ძალებიდან გამოცდილი და კვალიფიციური კადრების გადინება.

- 2008 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა შეიარაღებული ძალების სტრუქტურის დახვეწა, სამხედრო შენაერთების ტაბელის შესაბამისად დაკომპლექტება ტექნიკითა და პირადი შემადგენლობით. მიმდინარეობდა სამხედრო მარაგების შექმნა სასწავლო გეგმების შესაბამისად და პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის სისტემატური და გეგმაზომიერი ამაღლება.

- განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა საჰაერო სივრცის კონტროლის, კავშირგაბმულობისა და სადაზვერვო შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით. ჩატარდა პრაქტიკული და თეორიული მომზადებები. მიმდინარეობდა სასწავლო საწვრთნელი ღონისძიებები, როგორც თ -ს და პარტნიორი ქვეყნების, ასევე მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონტიგენტის მონაწილეობით.

- რუსეთის აგრესიის შედეგად თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, ლოგისტიკის სისტემამ და სამხედრო ინფრასტრუქტურამ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა. კერძოდ, დაზარალებული და გაძარცვულია სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობა ცხინვალის რეგიონში, ნაწილობრივ დაზარალებული და გაძარცვულია სამხედრო ბაზები გორში, სენაკსა და ფოთში. დაბომბვის შედეგად ნაწილობრივ დაზიანებულია ასაფრენი ზოლი ვაზიანის სამხედრო ბაზაში, დაზიანებულია მარნეულისა და კოპიტნარის საავიაციო ბაზები და აეროდრომი შირაქში. გაძარცვული და დაზიანებულია საწყობი ოსიაურში, განადგურებულია საწყობი სოფელ სკრაში.

- 2008 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რემონტი თბილისში, ზონში, გაჩიანში, მუხროვანში, ბათუმში, ახალციხეში, ქუთაისში. მიმდინარეობდა სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოები გორში, სენაკში, ფოთში. მიმდინარეობდა სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ შენობა-ნაგებობებისა და საინჟინრო ქსელების სამშენებლო სარემონტო სამუშაოები და სხვა.

- მიმდინარეობდა არსებული საწყობების რემონტი და მათი მოდერნიზაცია თავდაცვის სამინისტროს სასაწყობე სისტემის სიმძლავრეების გაზრდისა და უძრავ-მოდრავი ქონების მოვლა-შენახვის გაუმჯობესების მიზნით. ასევე გეგმაზომიერად მიმდინარეობდა საავტომობილო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გადაიარაღება.

- საანგარიშო პერიოდში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობების უტილიზაციას. ეტაპობრივად ხორციელდებოდა საქართველოს სამხედრო ბაზების რადიაციულად დაბინძურებული ტერიტორიის გაუვნებლყოფა, ქვედანაყოფებსა და საცავებში არსებული მავნე ქიმიური ნივთიერებების ნეიტრალიზაცია.

- 2008 წელს მიმდინარეობდა შეიარაღებულ ძალებში კოდიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სისტემის ჩამოყალიბება, ლოგისტიკის სისტემაში მომსახურე პერსონალს ჩაუტარდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, როგორც

საქართველოს მასშტაბით, ასევე რიგ შემთხვევაში მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით სასწავლო მივლინებების სახით.

- მიმდინარეობდა სამუშაო და გაცნობითი ხასიათის შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების ლოგისტიკური სფეროს წარმომადგენლებთან. ბრიტანული მხარის მიერ შემოთავაზებული იქნა ლოგისტიკური უზრუნველყოფის ახალი პროექტი, მისი განხილვის მიზნით თავდაცვის სამინისტროში ჩატარდა სემინარი. ლოგისტიკის სააღრიცხვო პერსონალს ჩაუტარდა ავტომატიზირებული სისტემების გამოყენების ტრენინგები.

- შემუშავებულ იქნა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის ძირითადი ეტაპები (გრაფიკი). უკვე დასრულებულია ღონისძიებათა I და II ფაზები. დასრულდა პერსონალის, აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და შემუშავებული იქნა დოკუმენტის პროექტი საფრთხეების შეფასების შესახებ.

- ნიდერლანდების სამეფოს თავდაცვის უწყების ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით 2008 წლის მანძილზე აქტიურად ტარდებოდა მუშაობა დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის (შ) დანერგვის მიზნით.

- ჩატარდა სწავლება „იმპედიატე ლესპონსე 2008“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა ქვეყნების დაახლოებით 1 200 და 680 საქართველოს სამხედრო მოსამსახურე.

- 200 სამხედრო მოსამსახურისაგან შემდგარი კონტიგენტი, რომელიც 2008 წლის იანვარ-მაისში მონაწილეობდა კოსოვოში, ხოლო 2000 სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებული კონტიგენტი ერაყში საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში. აღნიშნული კონტიგენტი აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

- მიმდინარეობდა ლოგისტიკის სისტემის ნატოს ანალოგიურ სისტემებთან თავსებადობის ამაღლების გეგმიური ღონისძიებები. შეიარაღებულ ძალებში კოდიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სისტემების ჩამოყალიბების მიზნით, მოხდა საქართველოს გაწევრიანება თ -ს კოდიფიკაციის დირექტორთა საბჭოში და საქართველომ მიიღო თ -ს სისტემაში გამოყენებისათვის საჭირო საკუთარი ეროვნული კოდი, ეროვნული კოდიფიკაციის ბიუროსთვის ჩ კოდი-68.

- მოსახლეობის ნატოს შესახებ ინფორმირებულობის მიზნით აქტიურად ტარდებოდა შეხვედრები და სემინარები. ცხადდებოდა კონკურსები, დაიბეჭდა და ღარიგდა ბუკლეტები და წიგნები. გაიხსნა სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ იმერეთის რეგიონალური ბიურო.

- 2008 წელს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნატო-ს ექპერტთა ჯგუფი. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმითა და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესით (I / ლ) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შეფასება. თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები დადებითად შეფასდა. ხოლო 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიდან გამომდინარე თავდაცვის სამინისტროს თ -ს ექსპერტთა ჯგუფი განმეორებით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს შეიარაღებული

ძალებისათვის რუსული აგრესიის შედეგად მიყენებული ზარალისა და I / ლ დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების საქართველოს მიერ შესრულების შეფასება. შემფასებელთა ჯგუფის მიერ ხაზი გაესვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმების პროცესის გაგრძელების მნიშვნელობას.

- ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პროცესში გასული წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ნატო-საქართველოს კომისიის (ჩ) დაფუძნებაა. აღნიშნული კომისია წარმოადგენს ორგანოს, რომლის ფარგლებშიც საქართველოსთან ყველა დონეზე თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია ხდება გაწვევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმების სწრაფი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

- გასული წლის დეკემბრის ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალზე მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს (ჩ) კომისიის ფარგლებში საქართველოსთვის ყოველწლიური ეროვნული პროგრამის () მინიჭების შესახებ. ამრიგად, ნატო-ს დეკემბრის მინისტრიალის გადაწყვეტილებით საქართველო აღიანსთან თანამშრომლობის უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდა და ფაქტიურად -ის ქვეყნების მსგავსად იწყებს ეროვნული ყოველწლიური პროგრამის განხორციელებას.

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული იქნა “მინისტრის ხედვა 2008-2011”. განსახვავებით წინა წლების ანალოგიური დოკუმენტებისა (2006-2007), რომლებიც მოიცავდნენ მხოლოდ ერთი წლის პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებებსა და პრიორიტეტებს, აღნიშნული დოკუმენტი ასახავს თავდაცვის მინისტრის ხედვას გრძელვადიან პერსპექტივაში. დოკუმენტი მოიცავს, როგორც 2008 წელს შეიარაღებულ ძალებში განსახორციელებელ ღონისძიებებს, ასევე განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს შემდეგი სამი წლის პერიოდისათვის.

- 2008 წლის მანძილზე აქტიურად ტარდებოდა მუშაობა დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის (შ) იმპლემენტაციის მხრივ. მინისტრის ხედვით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით მიმდინარეობდა 2009-2013 წლების ბიუჯეტის შ-ის ფორმატში შემუშავება, რასაც ხელი შეუშალა აგვისტოში განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ. 2008 წელს გაწეულმა საქმიანობამ გამოავლინა აღნიშნული სისტემის გარკვეული ნაკლოვანებები და თავდაცვის სამინისტროს საშუალება მიეცა სრულყოფის მიზნით განხორციელებინა სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. შედეგად ჰორიზონტალურ დონეზე დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების მიზნით, შ სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად, სამხედრო განვითარების პროგრამების შედგენისა და განხორციელების სფეროში, განისაზღვრა და შემუშავდა აუცილებელი პროცედურებისა და რეკომენდაციების ჩამონათვალი.

- თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში შეიქმნა შ-ის განყოფილებები. შ-ის პროცესის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და კონსულტაციები ჯარის სახეობებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან და მეთაურებთან.

- განისაზღვრა სამხედრო განვითარების პროგრამების შედგენისა და განხორციელებისათვის გადაუდებელი ღონისძიებების გრაფიკი. საერთაშორისო

გამოცდილების გაცნობის მიზნით 2008 წელს დასრულდა საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს თავდაცვის უწყებებს შორის ორმხრივი შ/ შ-ის ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მიმდინარე ერთწლიანი სასწავლო პროექტი.

- რუსული აგრესიის შედეგად განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა მართვის სხვადასხვა დონეზე კვალიფიკაციისა და სხვადასხვა რგოლებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის, ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის ხარისხის არასაკმარისი დონე. შესაბამისად, 2008 წლის მეორე ნახევარში აქტიურად მიმდინარეობდა გამოვლენილი ნაკლოვანებების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

- განხორციელდა საშტატო განრიგის ცვლილებები. შეიქმნა ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს სამხედრო ეკონომიკურ, სამხედრო პოლიტიკურ და სამხედრო ტექნიკურ სფეროებში შესაბამისი ანალიზის ჩატარებას და ანალიტიკური დოკუმენტაციისა და რეკომენდაციების შემუშავებას. შეიქმნა რესურსების მართვისა და კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი შესყიდვების საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებულ მოთხოვნილებებთან შესაბამისობის ანალიზი და თავდაცვის რესურსების ეფექტურად განკარგვისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნა, სისტემატიური განახლება, ანალიზი და შესაბამისი წინადადებების მომზადება.


- 2008 წლის დასაწყისიდან დაიწყო მონაცემთა დამუშავების მართვის ერთიანი საინფორმაციო ცენტრალიზებულ სისტემა „შ“ -ში ქვედანაყოფების დონეზე სასაწყობო ნაშთების განსაზღვრა. მართვის ერთიანი ავტომატიზირებულ სისტემა „თორში“ მიმდინარეობდა შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების შესახებ რეალური მონაცემების ჩატვირთვა.

- თ -ში ინტეგრაციის საკითხების ხელშეწყობის მიზნით, მართვის სისტემების ავტომატიზაციის პროცესში განხორციელდა მომარაგების საგნების სელექცია თ -ს პრინციპების გათვალისწინებით და მათთვის გარდამავალი კოდების მინიჭება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 741 995.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 739 264.8 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება – 268 850.2 ათასი ლარით.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 2008 წლის საანგარიშო პერიოდში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა – 456 197.9, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 283 053.0 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 13.9 ათასი ლარი.

2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 259 110.1, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 179 148.6, „სუბსიდიებზე“ – 11 435.9, „გრანტებზე“ – 86.3, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 1 760.7, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 4 656.3 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



2008 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი მათი უფრო ეფექტურად მართვის მიზნით ცალკე საბალანსო ერთეულებად ჩამოყალიბდა.

- გამოძიების თანმიმდევრულად და სრულყოფილად წარმართვის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში შემოღებულ იქნა ახალი თანამდებობები: დეტექტივ-გამომძიებელი და დეტექტივ-გამომძიებლის თანაშემწე - გამომძიებელი, რომლებიც ახორციელებენ ყველა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას და საგამომძიებო მოქმედებას.

- სამინისტროს ორგანოების თანამშრომელები სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფილ იქნენ.

- დასრულდა და საზოგადოებას წარედგინა შსს საარქივო სამმართველოში დაცული კინო-ფოტო-ფონო მასალების საფუძველზე მხატვრულ-დოკუმენტური მრავალსერიანი ფილმის შექმნის პროცესი, სადაც ასახული იქნა კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული მრავალი საყურადღებო ფაქტი და მოვლენა.

- დასრულდა სამუშაოები შსს საარქივო სამმართველოს ბაზაზე კინო-სამონტაჟო აპარატურის მონტაჟისა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

- სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების ღონისძიებების ფარგლებში სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სასაზღვრო კონტროლის სისტემის

სრულყოფის მიზნით განხორციელდა ახალციხის და ჯავა-ონის რეგიონალური სამმართველოების, ასევე, ვალეს, ნინოწმინდის, სამთაწყაროს და მამისონის სასახლვრო პუნქტების მშენებლობა.

- დასრულდა გეგუთის, ბარისახოს, ფოთის, სამთაწყაროს სასახლვრო სექტორების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. დასრულდა ავიაციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

- დასრულდა სასახლვრო პოლიციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული შენობის ფასადის რემონტი და წყლის მაგისტრალის მოწყობა.

- მესახლვრეთა სათანადო აღჭურვის მიზნით განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- პირადი შემადგენლობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სასახლვრო პოლიციის მოსამსახურეებს გაეზარდათ თანამდებობრივი სარგოები და განხორციელდა მათი სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა.

- სანაპირო დაცვის განვითარების მიმართულებით გაფორმდა ხელშეკრულება თურქულ გემთმშენებელ კომპანიასთან ახალი თანამედროვე კატარღის მშენებლობაზე, რომლის დასრულებაც ხელშეკრულებით 2009 წელსაა ნავარაუდები. დასრულებულია სანაპირო დაცვის ბაზის ახალი კორპუსის მშენებლობა და კეთილმოწყობა.

- ლიტველი კოლეგების მიერ ახლადშექმნილი კინოლოგიური სამსახურის თანამშრომლები შესაბამისად გადიოდნენ წვრთნებს და თეორიულ კურსებს.

- ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საფინანსო დანაყოფების ხელმძღვანელთა და ამავე ქვედანაყოფებში სახელმწიფო შესყიდვებზე უფლებამოსილ მოსამსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

- ჩატარდა საპატრულო პოლიციის, უბნის ინსპექტორთა, ოფიცერთა, სააღსრულებლო პოლიციისა და მანდატურების საბაზისო მომზადების კურსი; ასევე, კრიმინალური პოლიციის და საბანკო სისტემის საინკასაციო სამსახურის თანამშრომელთა გადამზადების კურსები.

- ჩატარდა დაცვის პოლიციისა და სხვადასხვა ქვედანაყოფების თანამშრომელთა საცეცხლე მომზადების სპეციალური კურსი.

- სასწავლო პროცესის დახვეწის მიზნით სსიპ – შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლები მივლინებულ იქნენ სხვადასხვა დანაყოფში, სადაც მათ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ პრაქტიკული საქმიანობის სპეციფიკას და მოამზადეს რეკომენდაციები იმ საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული კი გათვალისწინებულ იქნა სასწავლო გეგმაში.

- შეიქმნა თემატური გეგმა და სახელმზღვანელოები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა მომზადებასთან დაკავშირებით. ჩატარდა მათი მომზადების სრული კურსი.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სისტემატურად მიმდინარეობდა ტრენინგები, რომლებიც მიზნად ისახავდა შს სამინისტროს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას.

- ფსიქოლოგთა ჯგუფის მიერ შეიქმნა და დამუშავდა ზოგადი უნარების ტესტი, რომელიც გამოყენებულ იქნება პოლიციელთა შერჩევის პროცესში. ამასთან, ეროვნული უმცირესობის ჯგუფებისათვის შეიქმნა სასწავლო მასალა რუსულ ენაზე.

- მომზადდა სასწავლო პროგრამა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მესაზღვრე-კონტროლიორების საბაზისო მომზადების კურსებისათვის.

- შემუშავდა გარემოს დაცვის ინსპექციისა და რეინჯერების საბაზისო მომზადების კურსების თემატური გეგმები.

- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, მნიშვნელოვანი ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვა, ფულადი სახსრებისა და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო უზრუნველყოფის მიზნით 2008 წლის 12 თვეში დახარჯულია 1 531,7 თასი ლარი - სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა გაიარა 700-მდე პაციენტმა.


- სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა შენახვისა და მომსახურების ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა აჭარის სამედიცინო ბაზაში რიცხული მატერიალური ფასეულობების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის კომისიური წესით გადაცემა. ასევე, გრძელდება მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები ქ. მცხეთაში მდებარე ბაზაში, სადაც განთავსებულია სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობები.

- ამასთან, 2008 წლის აგვისტოს თვეში საომარი მოქმედებების შედეგად დაჭრილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე და დაღუპულთა ოჯახებზე გაცემულ იქნა ერთჯერადი ფულადი დახმარება, განხორციელდა აგვისტოს თვეში მომხდარი მოვლენების შეგვეად დაზიანებული, შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს, შსს განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს შენობების, შიდა ქართლის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის, გორის რაიონის სამმართველოს მეორე განყოფილების (ვარიანი) ადმინისტრაციული შენობის, პირველი განყოფილების (ტყვიავი) ადმინისტრაციული შენობის აღდგენითი სამუშაოები.

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 748.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 5 742.7 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 2 131.1 ათასი ლარით.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური 2008 წლის საანგარიშო პერიოდში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 5 325.7, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის – 417.0 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 2 630.4, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 2 624.9

ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 15.0 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 55.4 ათასი ლარი.


2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 465 261.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 458 337.2 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს 47 508.4 ათასი ლარით აღემატება.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 405 123.4 ათასი ლარი. „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 48 752.4 ათასი ლარი, „ფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 1 222.9 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 3 238.6 ათასი ლარი.


2008 წლის დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 5 373.1 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 12 096.1 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 57 868.2 ათასი ლარი,

„გრანტებზე“ – 59.2 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 5 867.3 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 323 859.5 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით 2008 წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ლონისძიებები:

- მომზადდა მასწავლებლის (ძირითადი) სტანდარტი; შემუშავდა საბაზო/საშუალო საგნობრივი სტანდარტების საბოლოო ვერსიები რვა საგნის/საგნობრივი ჯგუფისათვის; მომზადდა საგნობრივი სტანდარტების სამუშაო ვერსიების დაბეჭდვა-გავრცელების გეგმა; შემუშავდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი; საქართველოს რეგიონებში მოეწყო მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრები საგნობრივი სტანდარტების განხილვისათვის;

- საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს დაეგზავნა ეთიკის კოდექსის საბოლოო ვარიანტი;

- მომზადდა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მასწავლებელთა პროფესიული უნარების ტესტირების დამხმარე სახელმძღვანელო (3 წიგნად), შედგა მისი პრეზენტაცია;

- შეიქმნა მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემა, ჩატარდა ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი სისტემის მოხმარებაში;

- შეიქმნა და გამოიცა ყოველკვარტალური ჟურნალის “მასწავლებელი” ოთხი ნომერი;

- შემუშავებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების დახასიათების ფორმა და მისი დანართები; შეიქმნა და დამტკიცდა პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და პროგრამების ანოტაციის

სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია. მომზადდა პროგრამების შეფასების სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია ექსპერტებისათვის და ინდიკატორები მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტებისათვის (განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით);

- შეიქმნა მასწავლებლების ვაკანსიების სარეგისტრაციო ვებ-გვერდი;

- საანგარიშო პერიოდში პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ჩამოყალიბდა 10 დარგობრივი ქსელი შემდეგი მიმართულებებით: ფიზიკა, ქიმია, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, მათემატიკა, განათლების მეცნიერებები, საექთნო საქმე, ისტორია, ევროპისმცოდნეობა, ბიზნესის ადმინისტრირება, სამოქალაქო მშენებლობა;

- ჩატარდა კონფერენცია „საუნივერსიტეტო კურიკულუმების დახვეწის პროგრამის (თუნინგ) მიდგომის გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში“. გაიმართა სემინარები და სამუშაო შეხვედრები თუნინგთან დაკავშირებით. უმაღლესი სასწავლებლის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერით საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ ბრიუსელში გამართულ თუნინგ-ევროპის კონფერენციაზე; თუნინგის პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა თუნინგის პროექტის 5 წინამოსამზადებელი სემინარი;

- 2008 წელს საქართველო ოფიციალურად გახდა ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის (ლ) სამთავრობო წევრი.

- უცხოელი ექსპერტების დახმარებით შემუშავდა ევროკომისიის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამის (თწინინგ) საპროექტო განაცხადი, რომლის მიზანია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და ადამიანური რესურსების გაძლიერება ბოლონის პროცესის რეფორმების განხორციელების კონტექსტში.

- ქართველ მეცნიერთათვის შეძენილ იქნა ექსკლუზიურ მომწოდებლისგან ”თჰომსონ ლეუტერს“-თან ჟოურნალ ჩიტატიონ ლეპორტს და ჭებ ოფ შციენცე პროგრამის ბაზა, რომლის სარგებლობის საშუალება ეძლევა საქართველოს 26 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

- სასკოლო ლაბორატორიები, რომელთა შესყიდვაც განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ, განაწილდა და გადაეცა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სასკოლო გრანტების პროექტების შეფასების მეორე რაუნდი და სსიპ-ების შენობების სრული რეაბილიტაცია.

- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 38 პროფესიული სწავლების ცენტრი და 4 სალიკვიდაციო რეჟიმში მომუშავე პროფესიული სასწავლებელი, ასევე, მიღევად რეჟიმში ფუნქციონირებადი 28 საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

- მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს წინასწარი ვარიანტი. შემუშავდა პროფესიული სტანდარტის ზოგადი უნარების კომპონენტის მონახაზი.

- მომზადდა და ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიულ საბჭოს დასამტკიცებლად გადაეცა 48 პროფესიული სტანდარტი. მათ შორის: 23 - მშენებლობის, 16 - ტურიზმის და სასტუმრო-სარესტორნო, 9 - სოფლის მეურნეობის დარგების პროფესიებისათვის. მომზადებული სტანდარტები შ I -ის დახმარებით ითარგმნა ინგლისურ ენაზე.

- მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის და ინსტრუქტორის პროფესიული სტანდარტი. დაიწყო სტანდარტის განხილვა დაინტერესებულ სუბიექტებთან.

- პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ფარგლებში ჩატარდა პროფესიული განათლების სისტემის სიტუაციური ანალიზი, მომზადდა შპ თ ანალიზის დოკუმენტი, ჩამოყალიბდა სექტორის განვითარების მიზნები და ამოცანები, განისაზღვრა სტრატეგიის რეალიზებასთან დაკავშირებული ძირითადი ღონისძიებები.

- ორგანიზაცია VV-ინტერნაციონალ ეოგია-თან მონაწილეობით ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ ჩაატარა კონფერენცია თემაზე: პროფესიული განათლების დაფინანსება საქართველოში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ წამყვანი უცხოური ექსპერტები, წარმოდგენილი იყვნენ პროფესიული სწავლების ცენტრები, პროფესიული ასოციაციები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

- გრიფირების პროექტის ფარგლებში ჩატარდა სახელმძღვანელოების კონკურსი III, IX, XII კლასებისთვის. საქართველოს ყველა სკოლისთვის ჩატარდა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ტრენინგები. განხორციელდა II, VIII, XI კლასების 18 გრიფირებული სახელმძღვანელოს თარგმნა რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. დაიწყო ახალი სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესი საპილოტო მე-4 კლასისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა გადაიღო 10 საგანმანათლებლო ფილმი.

- დასრულდა მუშაობა სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტზე. შეიქმნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების X კლასის სტანდარტის ახალი სამუშაო ვერსიები. 2008 წელს შემუშავდა ეროვნული შეფასების ჩარჩო.

- 2008 წელს საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ტრენინგ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმების 5 პილოტირების და 5 დანერგვის ტრენინგი. ტრენინგები ჩატარდა 102 ქართული და 30 არაქართულენოვანი საჯარო სკოლისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის 5 ტრენინგი ჩატარდა საქართველოს ყველა სკოლისთვის.

- 2008 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოიცა და საქართველოს საჯარო სკოლებში გავრცელდა 14 პუბლიკაცია სხვადასხვა თემაზე.

- ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიკა მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნები, დაიწყო პროგრამის დანერგვის პროცესი საქართველოს რეგიონებში.

- ინკლუზიური განათლების პროექტის ფარგლებში 2008 წლის განმავლობაში ჩატარდა ტრენინგები მასწავლებლებისათვის 10 საპილოტე სკოლაში. მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ ხორციელდებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შეფასება.

- შეიქმნა სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი. საქართველოს მასშტაბით შეგროვდა მონაცემები სკოლამდელი განათლების სექტორზე. ასევე ჩატარდა საქართველოს სკოლამდელი განათლების სისტემის კვლევა, შემუშავდა ბავშვთა ადრეული განვითარების სტანდარტები და ჩატარდა სტანდარტების ექსპერტული ვალიდაცია.

- გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დაინერგა გამოცდების შედეგების კომპიუტერული შეფასების სისტემა. 2008 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობდა 24 148 აბიტურიენტი, მათგან საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პროგრამების სტუდენტი გახდა 15 559 აბიტურიენტი, ხოლო უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 2 798 აბიტურიენტი. სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება მიიღო 8 200-მა სტუდენტმა. ამასთან, ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე ჩაბარების უფლება მიეცათ არაქართულენოვან აბიტურიენტებს.

- საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად დაფინანსება მიიღო საქართველოს მასშტაბით 16-მა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა აკრედიტებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

- 2008 წელს საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებების 30 000-მდე სტუდენტი იღებდა სახელმწიფო სასწავლო გრანტს.

- მომზადდა და გამოიკა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ნაციონალური ანგარიში. დასრულდა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის შედეგების ანალიზი; დასრულდა დაწყებითი და საშუალო კლასების მათემატიკის მასწავლებელთა მომზადების დონის კვლევა.

- 2008 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრის საერთო სამაგისტრო ჯგუფის მიერ ჩატარდა სამაგისტრო გამოცდების ტესტურ დავალებათა აპრობაცია საქართველოს ყველა რეგიონში.

- გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კომპონენტის მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე დაიწყო სასერთტიფიკაციო გამოცდებისათვის ორი ტიპის ტესტის შემუშავება, რომელთა მიზანია მასწავლებელთა საგნობრივი ცოდნისა და პედაგოგიური უნარების შეფასება. 2008 წელს მომზადდა დავალებათა კრებულები პროფესიულ უნარებში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, უცხო ენებში, ისტორიასა და გეოგრაფიაში.

- ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაკების მიერ დახმარება გაეწია 684 ბავშვს. სხვადასხვა

დარგის ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფის წევრები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი ინკლუზიური განათლების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში. ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მშვილბელ ოჯახთა/პირთა და გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვთა შესახებ, ასევე სტატისტიკურ მონაცემებს 2004-2008 წლების მიხედვით მეურვეობა/მზრუნველობისა და გაშვილების (ქვეყანათაშორისო და ქვეყნისშიდა) შესახებ.

- ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში ორ საპილოტე ქალაქში – თელავსა და ქუთაისში დასრულდა სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების პირველადი შეფასება. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმართულებათა გათვალისწინებით შერჩეულ იქნა სოციალური მუშაკები. ქვეპროგრამის „ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დენსტიტუციონალიზაცია“ ფარგლებში შვილობილობის გზით დახმარება გაეწია 396 ბავშვს.

- ეუთოს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე. ტრეფიკინგის თემაზე შემუშავდა საჩვენებელი გაკვეთილის მოდელი. მომზადდა სოციალური მუშაკები, რომელთა მიერ სააღმზრდელო დაწესებულებაში ჩატარდა სამოდულო ტრენინგი დაწესებულების აღსაზრდელთათვის. ქვეპროგრამის „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დენსტიტუციონალიზაცია“ კოორდინატორისა და სოციალურ მუშაკთა პროფესიული ზედამხედველების ორგანიზებით, სოციალური მუშაკების თანამონაწილეობით შემუშავდა პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის კრიტერიუმები. ფონდთან „იავნანა“ თანამშრომლობით ბავშვთა სახლებსა და სკოლა-პანსიონებში შერჩეულ იქნა სხვადასხვა ნიჭის მქონე 11-16 წლის 18 მოზარდი, რომლებიც გააგზავნეს სლოვაკეთში დასასვენებლად

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რის შედეგადაც 39 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ჩვილობიდანვე ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობს და ივითარებს მოტორულ, შემეცნებით, ენობრივ, თვითმომსახურების და სოციალურ ჩვევებს.

- 2008 წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასი გაიზარდა 30 ლარით; ამასთან, კლასში მოსწავლეთა ნებისმიერ რაოდენობაზე მასწავლებლებმა მიიღეს ხელფასი სტაჟის და კვალიფიკაციის შესაბამისად.

- საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები სადაზღვევო კომპანიებთან. პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ იქნა 83 622 ბენეფიციარი.

- ნაციონალური პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში მოწოდებული საპროექტო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საფუძველზე, შესყიდული იქნა 31 საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. აგრეთვე, შესყიდული იქნა 200 ცალი სასკოლო დაფა, 7 000 ცალი ინდივიდუალური სასკოლო მერხი და სკამი. პირველი კლასის მოსწავლეებისათვის

შესყიდული იქნა 46 600 ცალი სასკოლო ჩანთა, 32 000 სასკოლო ფორმა, 42 000 კომპლექტი სახელმძღვანელო. გაჭირვებული ოჯახის 60 მოსწავლისათვის შესყიდულ იქნა სასკოლო სახელმძღვანელოები.

- პროგრამის „უსაფრთხო სკოლა“ ფარგლებში შეიქმნა პროგრამის მეთვალყურე საზოგადოებრივი საბჭო, აგრეთვე შემუშავებულ იქნა ეფექტური და რელევანტური პროგრამები სასკოლო ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად.

- საანგარიშო პერიოდში სასჯელალსრულებით დაწესებულებებში დასრულდა ზოგადი განათლების ხელშეწყობის სამთვიანი პროგრამა. პროგრამის ფარგლებში რუსთავის №1 კოლონიაში 50-მდე პატიმარმა მათი ინტერესების გათვალისწინებით მიიღო ზოგადი განათლება.

- ბაკალავრიატის სტუდენტთა სტიპენდიების ქვეპროგრამის ფარგლებში 15 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარჩინებულ სტუდენტებზე გაიცა სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით.

- გალის რაიონის, თიღვის, ქურთას, ერედვის თემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს 2008 წლის განმავლობაში ეძლეოდა ყოველკვარტალური ფინანსური დახმარება.

- პროგრამის „სახელმწიფო ენა“ ფარგლებში ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ამოქმედდა „ენის სახლები“. განხორციელდა არაქართულენოვანი პედაგოგების გადამზადება და არაქართულენოვანი აბიტურიენტების მომზადება ეროვნული გამოცდებისთვის.

- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზაქათალას, ბელაქნისა და კახის რაიონებში არსებულ 12 ქართულ სკოლას, სადაც 2400-მდე მოსწავლეა, ქართულმა დელეგაციამ გადასცა 40 000 ლარის ღირებულების 5 600-ზე მეტი დასახელების სახელმძღვანელო და მხატვრული ლიტერატურა.

- განხორციელდა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალის და 2008-2009 სასწავლო წელს სტუდენტთა მისაღები ადგილების რეგისტრაციის მონიტორინგი.

- შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტების და დებულების პროექტი, რომელიც ითარგმნა რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტების შერჩევის წესი, ასევე აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისი კრიტერიუმებისა და შემოწმების წყაროების სამუშაო ვერსია. მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისა და ექსპერტთა შეფასების სახელმძღვანელოები.

- ფონდის „ირმის ნახტომი“-ს მიერ მიმდინარეობდა სკოლების აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, თანამედროვე პერსონალური კომპიუტერით (5100 ცალი) და მონაცემთა პროექტორით (450 ცალი), აღიჭურვება 509 საჯარო სკოლა.

- გრძელდებოდა საქართველოს ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში ჩართული სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებისათვის ქსელში შეერთების ხარჯების დაფარვა და ტექნიკური მხარდაჭერა.

- 2008 წელს დაიწყო 150 დღიანი მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა, გადამზადდა 781 პედაგოგი და გახარჯულია 40.2 ათასი ლარი.

- პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარჩინებული მოსწავლეებისათვის პორტატული კომპიუტერების შეძენას, საანგარიშო პერიოდში დაჯილდოვდა 8 100-მდე პროგრამის ბენეფიციარი.

- 2008 წლის განმავლობაში ჩატარდა 4 სხვადასხვა სახის კონკურსი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, არასაგნობრივი და საერთაშორისო კონკურსები და ა.შ. 2008 წლის მონაცემებით 6 400-მდე მასწავლებელმა გაიარა ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაზო კურსი ლინუქსის ოპერაციულ სისტემასა და საოფისე პროგრამებში.

- დამუშავდა არაქართულენოვან მოსწავლეთათვის ქართული ენის ელექტრონული კურსის განვითარების პროგრამა.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების ფარგლებში გრძელდებოდა ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის ძირითად დარგებში არსებული მდგომარეობისა და მათი განვითარების მიმართულებების შესწავლა და სამთავრობო რეკომენდაციების მომზადება. მიმდინარეობდა საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან, ფირმებთან (ასოციაციებთან) ერთობლივი თანამშრომლობის და საქმიანობის პროგრამის დამუშავება.

- 2008 წლის განმავლობაში ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მიმდინარეობდა 215 სამეცნიერო პროექტის ადმინისტრირება. გამოცხადდა კონკურსი და სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით მოხდა ქართველი ექსპერტების შერჩევა. გამოვლინდა 55 გამარჯვებული. ფონდმა გააგრძელა 16 ახალგაზრდა მეცნიერის სხვადასხვა ხარისხის სტიპენდიით დაფინანსება. დაფინანსდა 51 ახალგაზრდა მეცნიერის საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად სამოგზაურო ხარჯები. პროგრამების „ილია ვეკუა“ და „ივანე ბერიტაშვილი“ ფარგლებში დაფინანსება მიიღო 20-მა მეცნიერმა.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საომარი მდგომარეობის შედეგად დაზარალებული სტუდენტების სასწავლო გრანტების დაფინანსება და დაფარა 2008-2009 წლების სასწავლო წლის პირველი სემესტრის ღირებულება.

- 2008 წლის განმავლობაში სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) მეშვეობით დაფინანსდა 58 პროექტი. ფონდის დაფინანსებით საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაემგზავრა 25 მეცნიერი. ჩატარდა ორი სამეცნიერო კონფერენცია, თემატური კონკურსი „ილია და გლობალიზაცია“. 15 მეცნიერი იღებდა ყოველთვიურ სტიპენდიას.

- საქართველოს მთავრობის ინიციატივით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს წამყვან ბანკებს შორის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა პროგრამა „ცოდნის კარი“. პროგრამის მიზანია საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მისცეს ისარგებლონ შეღავათიანი კრედიტით საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დასაფინანსებლად, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მაგისტრატურებში. პროგრამის „ცოდნის კარი“ ფარგლებში 2008 წლის განმავლობაში დაფინანსდა 60-მდე სტუდენტი.

- ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა საომარი მდგომარეობის შედეგად დაზარალებული სტუდენტების სასწავლო გრანტების დაფინანსება და დაფარა 2008-2009 წლების სასწავლო წლის პირველი სემესტრის ღირებულება.

- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოში განხორციელებული საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებულ 51 საჯარო სკოლას.


- პროგრამის „სახელმწიფო სასწავლო გრანტის“ ფარგლებში განხორციელდა რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოში განხორციელებული საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული 6 014 მოსწავლის II-XII კლასების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 645 სტუდენტი. გარდა ამისა, დაფინანსდა 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული 757 სტუდენტი. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხელშეწყობის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 87 სტუდენტი.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო


საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 82 853.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 82 422.3 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე მეტია 3 577.7 ათასი ლარით.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 76 925.2 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 5 463.5 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 33.6 ათასი ლარი.


2008 წლის დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 2 240.1 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 11 747.2 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 53 620.9 ათასი ლარი, „სოციალურ

უზრუნველყოფაზე“ – 293.9 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 9 023.0 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში 2008 წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებები

- საპროექტო-კვლევითი დოკუმენტაციის მომზადების მიმართულებით მომზადდა რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე: ატენის სიონი, ქასურის წმ. გიორგის ეკლესია, გელათის სამონასტრო კომპლექსი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, თბილისში, თაბუკაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობა, მუცოს კომპლექსი, დაბა მესტიაში მდებარე კოშკები, მეტეხის ეკლესია, ბაგრატის ტაძარი, ალავერდის წმ. გიორგის ტაძარი, ანანურის კომპლექსი, საცხენისის ეკლესია, სოფ. ნაბახტევის ღმრთისმშობლის ეკლესია, სოფ. ახალსოფელში ბზიანის კომპლექსი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდას ეკლესია, აწყურის ღვთისმშობლის ტაძარი, მარტვილის მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მარანი, დაბა აბასთუმანში ზ. ფალიაშვილის ქ. №24-ში მდებარე დედათა მონასტერი.

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიმართულებით ჩატარდა სსიპ ქუთაისის, ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არსებული შენობის რეაბილიტაციისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი შენობისათვის საპროექტო

სამუშაოები. ასევე, შემუშავდა ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ დართლოს საპროექტო დოკუმენტაცია.

- საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეროვნული გალერეის რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული გალერეის („ციხფერი გალერეა“) საინჟინრო-გეოლოგიური და კონსტრუქციული კვლევა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით

- საანგარიშო პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციის მიმართულებით აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ძეგლებზე: სოფ. გამოჩინებულის წმ. გიორგის ეკლესიის მთავარი ნაგებობა, წალკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, ძველი შუამთის მცირე გუმბათიანი ტაძარი და ბაზილიკა, ულუმბოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, ურავლის აგარას მთავარი ტაძარი, მარტვილის ღმრთისმშობლის ტაძარი; ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია; ფიტარეთის ტაძარი; ნეკრესის სასახლე და სატრაპეზო; დაბა მესტიაში, მარგიანების საგვარეულო კომპლექსი; სამთავროს მონასტრის ტერიტორია, გაბრიელის კოშკის მიმდებარე ტერიტორია; მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვაჩნაძიანის „ამიდასტურის“ წმ. გიორგის ტაძრის ტერიტორიაზე;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით ასევე, განხორციელდა: სოფ. სალხინოში დადიანების საზაფხულო სასახლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, სამთავისის სამონასტრო კომპლექსის შიდა ტერიტორიაზე გაწმენდითი და ღრობებითი საკონსერვაციო სამუშაოები, სოფ. კორცხელში ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიასთან დამეწყრილი მონაკვეთის საყრდენი კედლის პირველადი გამაგრებითი სამუშაოები, გელათის სამონასტრო კომპლექსში მდებარე აკადემიის შენობის არქეოლოგიური და გამაგრებითი სამუშაოები, ზარზმის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის ინტერიერის ავთენტურობის აღდგენა.

- საანგარიშო პერიოდში კუნძულ კვიპროსზე, პაფოსის ეპარქიაში, X საუკუნის ქართულ მონასტერში ჩატარდა მე-4 არქეოლოგიური ექსპედიცია. გათხრებს აწარმოებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კომპლექსური ექსპედიცია.

- ქვეპროგრამის „კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ამოქმედება“ ფარგლებში გრძელდებოდა მუშაობა ორ გრძელვადიან პროექტზე:

- „კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის არქივში უძრავ ძეგლებზე არსებული დოკუმენტაციის (გრაფიკული, ფოტო, ტექსტური) ციფრულ ფორმატში გადაყვანა და არქივის ინვენტარიზაცია“. 2008 წლის განმავლობაში განხორციელდა მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, იმერეთის რეგიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ძეგლებზე არსებული საარქივო დოკუმენტაციის ციფრულ ფორმატში გადაყვანა.

– „კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შევსების დაწყება“ პროექტის ფარგლებში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შევსებული მოდელი. პროცესი მუდმივია და ახალი მასალებით მისი შევსება პერმანენტულად წარიმართება.

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სისტემატიზაცია-დოკუმენტირების მიმართულებით შესრულდა შემდეგი ღონისძიებები:

- უძრავ ძეგლთა მიმართულებით: ისტორიული პროვინცია თორისა და ხარაგაულის რაიონის უძრავი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია ხევსურეთში; უძრავ ძეგლთა პასპორტიზაცია ზემო სვანეთსა და ხევსურეთში; ქართლის (ატენი, ბზა, აძიკვი, ტბისი) ეკლესიათა საფასადო რელიეფების, ასევე, უფლისციხის არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვა და არქეოლოგიური მასალების პასპორტიზაცია; ბოლნისის რაიონის ადრექრისტიანული პლასტიკის ძეგლების ინვენტარიზაცია; სენაკის რაიონის ძმ. ობიექტების პასპორტიზაცია და დაცული ზონების ფორმირება (II ეტაპი); კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ინვენტარიზაცია და ფოტო გადაღება თუშეთში.

- მოძრავ ძეგლთა მიმართულებით: საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექციის აღრიცხვა-პასპორტიზაცია; ქ. თბილისის ნ. დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის მუზეუმის კოლექციის პასპორტიზაცია; სსიპ - ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდების ინვენტარიზაცია (ძველი შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი სამუზეუმო შენობის დაპროექტების ფარგლებში).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამა

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის - „ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში“;

- ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მხატვრული ფოტოგრაფირება;

- ქ. თბილისში კალას უბნის ფოტოფიქსაცია;

- მულტიმედიაური კომპაქტ-დისკის - „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ გამოშვება;

- „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მომზადდა და დაიბეჭდა 50-მდე ალბომი, კატალოგი, საცნობარო ლიტერატურა, წიგნები და მეთოდოლოგიური ლიტერატურა ქართულ და უცხოულ ენებზე.

- რესტავრირებულ იქნა ქუთაისის ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის მემორიალური და ვირტუალური საექსპოზიციო დარბაზები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა მემორიალური ექსპოზიციის მოწყობა და შესაბამისად, კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების პოპულარიზაცია ვირტუალური ექსპოზიციის მეშვეობით.

- გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა მუზეუმის გაზიფიკაციის, გათბობის სისტემისა და კლიმატური რეჟიმის ამუშავების პროექტი, შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით

• 2008 წელს ნორვეგიის გარემოს დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატსა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: კულტურული მემკვიდრეობის დარგში ადმინისტრირების გაუმჯობესება და მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერება; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციისა და დოკუმენტაციის შექმნის უნარ-ჩვევების გაძლიერება; კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მონაცემთა ბაზის განვითარება; პროფესიული განათლებისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; საქართველოში მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლთა მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერება; პილოტური საკონსერვაციო პროექტების განხორციელება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ხის ტრადიციული საცხოვრებლების მაგალითზე; შჩ -ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნომინაციის მომზადებაში დახმარება.

• 2008 წელს რუმინეთში, ქ. ბუქარესტში თ -ს სამიტის პარალელური ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა საქართველოს საპრეზენტაციო გამოფენა საქართველოსა და ქართული კულტურის ამსახველი ფოტონამუშევრების, ტიხრული მინანქრის თანამედროვე ნიმუშების, სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ამსახველი გამოცემების დემონსტრირებით.

• ევროპის საბჭოს მისიის მიერ 2008 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ცხინვალისა და გორის რეგიონის სოფლების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ქართულ მხარესთან ერთად შემუშავდა სამი პროექტი:

– „რეაბილიტაციის პროგრამა ნიქოზის მონასტრისა და სოფ. ნიქოზისათვის“;

– „ყოფილ ბუფერულ ზონაში მდებარე სოფლების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება“;

– „ადგილობრივი და რეგიონალური მასშტაბის მდგრადი განვითარების პროგრამა გორის მუნიციპალიტეტისათვის“.

სამუზეუმო რეფორმა/საქართველოს მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია და მართვის სისტემების გაუმჯობესება

- სამუზეუმო რეფორმის ფარგლებში:
 - გაიზარდა მუზეუმებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება;
 - სამუზეუმო კოლექციათა ინვენტარიზაციისა და სამოქმედო არეალის დადგენის მიზნით მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებს გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა, ნავიგაციის სისტემები (შ) და ციფრული ფოტოაპარატები;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა 11 მუზეუმი და ერთი მუზეუმ-ნაკრძალი: თელავის ისტორიული მუზეუმი, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი, გალაკტიონ და ტიცვიან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმი, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი.
- არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირებად (ააიპ) ჩამოყალიბებულ მუზეუმებში მიმდინარეობდა ძირითადი ფონდის ელექტრონული ვერსიის შექმნის პროცესი;
- პროექტის - „საქართველოს მუზეუმ-ნაკრძალების მიერ სამოქმედო არეალების განსაზღვრა“ - ფარგლებში განხორციელდა საქართველოს 11 მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციათა მიერ მათი სამოქმედო არეალების დადგენა, მასში არსებული ძეგლების აღნუსხვა და ინვენტარიზაცია, მუზეუმ-ნაკრძალების რუქების შედგენა და მათზე ძეგლების დატანა. სააღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება შ კოორდინატების მითითებით;
- 2008 წელს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო რეგიონალური ტრენინგი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუზეუმების მენეჯერებისათვის, Iრ -ისა (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს) და I თ ღრ -ის (მენეჯმენტის საერთაშორისო კომიტეტი) ექსპერტთა ხელმძღვანელობით, Iრ -ისა და სამინისტროს დაფინანსებით. ტრენინგი გაიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების 23 მუზეუმის წარმომადგენელმა. მათ შორის: საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ქუთაისის, თელავის, ბორჯომის, ზუგდიდის მუზეუმებისა და მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა;
- ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში განხორციელდა განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ექსპონატების ფოტოფიქსაცია. მოხდა შვიდასამდე ექსპონატის ხელახალი ინვენტარიზაცია, შეიქმნა ელექტრონული ბაზა.
- პროექტის „სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში ეთნოგრაფიის საექსპოზიციო დარბაზისა და დროებითი საგამოფენო დარბაზის მოწყობა“, ფარგლებში: შეიკვალა

მუზეუმის ინტერიერის დიზაინი, მოეწყო საექსპოზიციო დარბაზი, დამზადდა ვიტრინები ექსპონატების გამოსაფენად; დამონტაჟდა განათების თანამედროვე სისტემა, მომზადდა საექსკურსიო, საინფორმაციო ტექსტური მასალა ქართულ-ინგლისურ ენებზე, მომზადდა და გამოიცა მუზეუმის ბუკლეტი.

საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამები

- პროგრამის „პატრიოტი“-ს ფარგლებში გარემონტდა და განახლდა კოტეჯები ბავშვთა და ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკებში საქართველოს ექვს რაიონში: ვარციხის, სქურის, ყვავილნარის, შაორის, განმუხურის და ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე. აშენდა ახალი ბანაკი შაორის ტერიტორიაზე. მომზადდა პატრიოტთა გადანაწილების გრაფიკი რეგიონების, რაიონების და ბანაკების მიხედვით. ბანაკის ლიდერების შესარჩევად ჩატარდა კონკურსი, რომლის საფუძველზეც ლიდერობის მსურველმა ახალგაზრდებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგები და სემინარები. დამზადდა ფორმები და საგზურები ბანაკში წამსვლელთათვის. საანგარიშო პერიოდში პროგრამაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონიდან 15-22 წლამდე სოციალურად დაუცველმა, წარჩინებულმა და მოხალისე 10.1 ათასამდე ბავშვმა და ახალგაზრდამ. პარალელურად მიმდინარეობდა პროგრამაში მონაწილეთა მონაცემების სისტემატიზაცია.

- „პეკინი 2008“-ის პროგრამით ეროვნულ-ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად შეძენილ იქნა ოლიმპიური თამაშების დელეგაციებისათვის ეკიპირება, აღლუმზე მონაწილეთათვის საჭირო ტანსაცმელი, სპორტული ინვენტარი, ორგანიზებულ იქნა პეკინში ქართულ სახლთან დაკავშირებით ორგანიზაციული, აგრეთვე, მგზავრობისა (მათ შორის, ჩარტერული რეისი) და სასტუმროს ხარჯების დაფინანსების და წინასწარ მივლინებებთან დაკავშირებული საკითხები.

- „სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და სპორტული ინვენტარის განახლების“ პროგრამის ფარგლებში აშენდა ოთხი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, შეძენილ იქნა ახალი თანამედროვე ტიპის სპორტული ინვენტარი (საჭიდაო ხალიჩები, ძიუდოს ტატამები, კრივის რინგები და ა.შ.).

- „ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ეროვნული ნაკრები გუნდები, მწვრთნელები და ტექნიკური პერსონალი.

- „რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა. საქართველოს რაგბისტთა ეროვნულმა ნაკრებმა მოიპოვა ევროპის ერთა თასი, ხოლო ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაიკავა ევროპის პირველობაზე მე-2 ადგილი.

- „სპორტულ სახეობათა განვითარების“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ლიცენზიების მოპოვება ოლიმპიური თამაშებისათვის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. მზადებაში სულ ჩართული იყო 300-ზე მეტი სპორტსმენი და მოპოვებულ იქნა 35 ლიცენზია. ამასთან, პროგრამის საშუალებით ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებულია 89 მედალი აქედან 30 ოქრო, 23 ვერცხლი და 36 ბრინჯაო, ხოლო ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებულია 3 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი.

- სტიპენდიები დაენიშნა 210 სპორტსმენს, 158 ვეტერან სპორტსმენს, 63 მწვრთნელს და 25 სახელოვან სპორტსმენს. ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების ოდენობა გაიზარდა 300-დან 1000 ლარამდე.


- „ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში 69 ფოლკლორული კოლექტივი აღიჭურვა ტრადიციული სასცენო სამოსითა და ხალხური საკრავებით.

- პროგრამა „პატრიოტი“-სათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან დაფინანსდა დროებითი განთავსების ადგილებზე იძულებით გადაადგილებული პირების საკვებით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 126 290.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 121 783.1 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 56 245.5 ათასი ლარით.


2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 120 999.2 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 783.9 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 1 884.4 ათასი ლარი, „საქონელსა და მომსახურებაზე“ – 22 423.0 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 72 004.6 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 24 687.2 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2008 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

პრიორიტეტი: პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის

- საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლის“ ფარგლებში მიმდინარეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ქონებრივი დეკლარაციების შევსება და ქონებრივ დეკლარაციებში აღწერილი ინფორმაცია შეყვანილია ერთიან მონაცემთა ბაზაში (დეკლარაციების რაოდენობა შეადგენს 67 000);

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, გეოსაინფორმაციო (Iშ) სისტემაში მომზადდა ქ. გაგრის, ცხინვალისა და ზემო აფხაზეთის კარტოგრაფიული საფუძველი. მოწესრიგდა ქ. გაგრის სამისამართო მეურნეობა. აგრეთვე, მიმდინარეობდა ლესელიძის, განთიადისა და ბიჭვინთის გეოსაინფორმაციო სისტემის შექმნა და სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონში არსებული სახელმწიფო და კერძო სამართლის იურიდიული პირების უძრავი ქონების აღრიცხვა და დატანა გეოსაინფორმაციო საფუძველზე;

- შეიქმნა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების 1:200 000 მასშტაბის კედლის რუკები;

- დასრულდა საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლი“-ს ინტერნეტ-პორტალისა და ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გეოსაინფორმაციო სისტემის შემუშავება;

- დამზადდა ახალი ათონის, გაგრის, განთიადის, ბიჭვინთის ნაწილის, კოლხიდის ნაწილის, ალახადის, სოხუმის, ოჩამჩირის, ქვემო გულრიფშის, ახალი კინდლის, გუდაუთის და გალის ნაწილის ორთო-ფოტოგეგმები.

პრიორიტეტი: დევნილთა ინტეგრაცია

- კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილებისათვის ალტერნატიული გრძელვადიანი განსახლების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების 500-მდე ობიექტზე განხორციელდა სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები. კერძოდ: წყლის ტუმბოს დამონტაჟება – 3 ობიექტზე, ძალოვანი კაბელების შეცვლა – 84 ობიექტზე, იატაკის მოწყობა – 12 ობიექტზე, სამგზავრო ლიფტი – 3 ობიექტზე, გამრიცხველიანება – 20 ობიექტზე, კომუნიკაციების აღდგენა – 181 ობიექტზე, სახურავის გადახურვა – 273 ობიექტზე და ა.შ.;

- სამინისტროს მიერ 2008 წლის დეკემბერში შემუშავებულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ახალი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ღონისძიებებს;

- კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტებში დროებითი შესახლების მიზნით, სამინისტროს მიერ შეიქმნა თავშესაფრის გარეშე მყოფ დევნილთა კომპიუტერული მონაცემთა ბაზა;

- დევნილთა საცხოვრებელი მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით შემუშავებულ იქნა სპეციალური ანკეტის ფორმა, რომელიც დამატებით შეავსო ყველა განმცხადებელმა;

- დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების დასახელებების, მისამართისა და ობიექტზე განსახლებულ დევნილთა ზუსტი რაოდენობის დადგენის მიზნით, სამინისტროს მიერ ჩატარდა ორგანიზებული განსახლების ობიექტების საპილოტო კომისიური აღწერა-შემოწმება. სულ ქვეყნის მასშტაბით აღწერილია 750-მდე ცენტრი.

პრიორიტეტი: მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება

- სამინისტროში, დანიის ლტოლვილთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა „მიგრაციის მართვის სახელმწიფო სტრატეგიის“ პროექტი, რომელიც განსახილველად დაეგზავნა ყველა სახელმწიფო სტრუქტურასა და შესაბამის არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს. ხოლო, მათი შენიშვნების საფუძველზე გადამუშავებული პროექტი წარედგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრს;

- 2008 წლის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით, ევროკავშირის პროგრამა „ენეასის“ ფარგლებში, დანიის

ლტოლვილთა საბჭოს დახმარებით მოლდავეთის მიგრაციის მართვის მოდელის გაცნობის მიზნით შედგა სასწავლო ვიზიტი მოლდავეთში;

- სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის შესყიდულია 44 სახლი.

პრიორიტეტი: 1999 წელს ევროპის საბჭოს წინაშე მუსლიმანი მესხების რეპატრიაციის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულება

- მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“;
- შემუშავდა რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთა ანკეტის, შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტის ფორმები;
- შეიქმნა რეპატრიაციის მსურველთა ერთიანი მონაცემთა ბაზის პროგრამა.

საანგარიშო პერიოდში, გარდა პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისა, სამინისტროს მიერ განხორციელდა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად საქართველოს მთავრობამ საგანგებო რეჟიმში დაიწყო მუშაობა. იძულებით გადაადგილებულ პირთა დროული დახმარების მიზნით მიღებულ იქნა სათანადო ნორმატიული აქტები და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

დაიწყო დაზარალებულ პირთა დროებითი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით განთავსება. პირველ ეტაპზე ორგანიზებულ იქნა 600-ზე მეტი კოლექტიური ცენტრი, სადაც დაზარალებულები კომპაქტურად ჩასახლდნენ. მოგვიანებით, სასწავლო წლის შეუფერხებლად დაწყების მიზნით, ისინი სკოლების შენობებიდან ბაგა-ბაღების შენობებსა და სხვა ობიექტებზე იქნენ გადაყვანილი.

24 აგვისტოდან დაიწყო შიდა ქართლიდან იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ სახლებში დაბრუნების პროცესი. საკუთარ სახლს დაუბრუნდა 100.0 ათასზე მეტი პირი შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: გორის რაიონი (ტირძნისი, ბროწლეთი, ახალხიზა, მეღვრეკისი, კარალეთი, დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი, სათემო, ქიწნისი, ძევერა, შერთული, ვარიანი, ვარიანის მეურნეობა, საქაშეთი, შინდისი, მარანა, ყელქცეული, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ტყვიავი, თერგვითი, კარბი, ქერე, ფლავი, ფლავისმანი, არბო, ქორთი, დიცი, მერე, ქვემო არცევი, ახალდაბა), ქარელის რაიონი (ქვემო არსევი, შერთული, ფცა, თამარაშენი, ლოლეთი, დირგვი, ღვანი, ტახტიძირი, წერონისი, სათიხური, ბრეხა,

ავლევი, ატოცი, კნოლევი, კოდა, აბანო, ჭვრინისი, ქვემო საქაშეთი). აღნიშნულის შემდეგ თბილისში კომპაქტურად ჩასახლებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 37.4 ათასამდე პირი, რომლებიც განთავსდნენ 370-მდე ობიექტზე. განსახლების პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა მათი საკვებითა და პირველადი აუცილებლობის საგნებით უზრუნველყოფა.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს შორის 2008 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო კოორდინაციას უწევდა თბილისსა და რეგიონებში განთავსებული დაზარალებული მოსახლეობისთვის შემოსული ჰუმანიტარული დახმარების განაწილება-მიწოდებას. აღნიშნული ჰუმანიტარული დახმარება მოიცავდა როგორც სასურსათო, ასევე არასასურსათო პროდუქციას (საწოლები, ტანსაცმელი, ჰიგიენის საგნები, ბავშვთა კვება და სხვა).

9 ოქტომბერს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სამოქალაქო რეესტრის, მსოფლიოს სასურსათო პროგრამისა (ჭ) და მსოფლიო ხელვის (ჭV) ერთობლივი ძალისხმევით გაიხსნა კერძო სექტორში განთავსებული მოსახლეობისთვის სასურსათო დახმარების პირველი ცენტრი. ცენტრის საშუალებით შესაძლებელი გახდა კერძო სექტორში მყოფ მოსახლეობას ესარგებლა მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ მოწოდებული ჰუმანიტარული საკვებით, რომელსაც მანამდე მხოლოდ კომპაქტურად დარეგისტრირებული დაზარალებული მოსახლეობა იღებდა.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ აამუშავა 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომელმაც გააიოლა დაზარალებულ პირთა მოთხოვნებისა და საჩივრების სწრაფად გადაშუშავება, გაწეული სამუშაოების სისტემატური ანალიზი და მონიტორინგი. ცხელი ხაზის მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ერთად შემუშავდა ერთობლივი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ცხელი ხაზის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავტომატიზებულ მართვას.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა ღონისძიებები დევნილი ბავშვების ფსიქორეაბილიტაციის მიზნით. კერძო და სამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ზაფხულის პერიოდში სისტემატურად მიმდინარეობდა ბავშვების გაყვანა აკვაპარკებსა და სხვადასხვა გასართობ ცენტრებში. პოლონეთისა და უკრაინის მთავრობების მხარდაჭერით, რეაბილიტაციისა და დასვენების მიზნით ამ ქვეყნებში 500 დევნილი ბავშვი გაემგზავრა ფსიქოლოგთა ჯგუფის თანხლებით.

დაზარალებული მოსახლეობის სკოლის მოსწავლეებს სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით დაურიგდათ ფულადი დახმარება თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ინტენსიური სამუშაოები ჩატარა დევნილთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (ჩლ) მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თბილისსა და რეგიონებში მდებარე 220 კოლექტიური ცენტრის ინფრასტრუქტურა. შეკეთდა სახურავები, წყალგაყვანილობისა და ელექტროკომუნიკაციის სისტემები.


საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხანში აშენებულ 69 სახლს ჩაუტარდა 720 000 ლარის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ოქტომბერში დაიწყო დაზარალებული მოსახლეობისათვის ახალი სახლების აშენება და არსებულთა რეაბილიტაცია, ხოლო დეკემბერში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობებს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს პროექტის „დეენილთა ფულადი დახმარება ზამთრის პერიოდში“ განხორციელებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 300 693.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 293 368.1 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 330 122.6 ათასი ლარით.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული
ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 1 268 236.1 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 21 404.3 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 3 727.7 ათასი ლარი.

2008 წლის დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 23 851.4 ათასი ლარი, „საქონელსა და მომსახურებაზე“ – 27 762.6 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 15 409.6 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 1 199 867.7 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 1 344.9 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2008 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

პრიორიტეტი: საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გადაუდებელი ამბულატორიული და პოსპიტალური მკურნალობა, გეგმიური პოსპიტალური მკურნალობა, მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება და სხვა. 2008 წელს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში, დაფიქსირდა 75.5 ათასამდე შემთხვევა, საიდანაც გეგმიური იყო დაახლოებით 17.6 ათასი შემთხვევა, ხოლო დანარჩენი მოდიოდა ონკოლოგიაზე, სამეანო და მწვავე პოსპიტალურ შემთხვევებზე.

- მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით, სამკურნალო საშუალებებითა და საკვები დანამატით უზრუნველყოფა. დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში სათანადო მედიკამენტებით სულ უზრუნველყოფილ იქნა 15.7 ათასამდე ბენეფიციარი; ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში – 300-მდე, ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში – 100-მდე, უმაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში – 400-მდე, ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში – 100-მდე, მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში – 100-მდე ბენეფიციარი;

- ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიული გამოკვლევები და შესაბამისად, პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, სათანადო რეკომენდაციები მიეცათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს და მშობლებს;

- ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ოჯახის ექიმის/უბნის ექიმის მიმართვით გადაგზავნილი პაციენტების, იძულებით ამბულატორიულ-ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მომსახურება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ა.შ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა იძულებით მკურნალობაზე მყოფი სულით ავადმყოფთა სამედიცინო დამხარება ფოთის, ქუტირის და ბედიანის მკაცრი და გაძლიერებული რეჟიმის საავადმყოფოების ბაზაზე, მაგრამ აღნიშნულ სფეროში, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი დატვირთვა მოდიოდა ქ. თბილისსა და იმერეთის რეგიონში არსებულ დიდ ფსიქიატრიულ სტაციონარებზე;

- ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა როგორც ფთიზიატრიული ამბულატორიული, აგრეთვე ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარება. კერძოდ: სპეციალიზებულ ქსელში თვითდინებით მისული ან პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერალთა გაგზავნილი ტუბერკულოზის ყველა საეჭვო შემთხვევის გამოკვლევები, ამბულატორიული მკურნალობა, სტაციონარული დიაგნოსტიკური მომსახურება, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება. აღნიშნულ სფეროში ქვეყნის მასშტაბით ჩართული იყო 11 სამედიცინო დაწესებულება, სადაც 2008 წელს დაფიქსირდა 72.8 ათასამდე ამბულატორიული შემთხვევა, 150-მდე ქირურგიული შემთხვევა, 129.4 ათასამდე სტაციონარული შემთხვევა;

- ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა 0-15 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მკურნალობა, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და იშვიათი დაავადებების მქონე, მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 0-15 წლამდე ასაკის მოსახლეობის მკურნალობა, სულ 102.5 ათასამდე შემთხვევა;

- ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ინფექციური დაავადების მქონე პაციენტთა სტაციონარული მკურნალობა და ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება. სულ აღნიშნულ სფეროში დაფიქსირდა დაახლოებით 8.7 ათასი შემთხვევა;

- ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაავადებულთა დიალიზით უზრუნველყოფა, მაღალტექნოლოგიური ქირურგიული მკურნალობა, გაუმჯობესდა პოსტოპერაციული მეთვალყურეობა და თირკმლის გადანერგვის საჭიროების მქონე პაციენტთა საინფორმაციო ბანკის მართვა. საანგარიშო პერიოდში საქართველოში სულ დაფიქსირდა 122.8 ათასამდე შემთხვევა, ჩატარდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 7 ოპერაცია;

- რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ინდივიდუალური და რეფერალური დახმარება დროული და მაღალხარისხიანი გადაუდებელი სტაციონარული დახმარების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 25.5 ათასამდე შემთხვევა. ამასთან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სექტემბრიდან მიმდინარეობდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დამატებითი ამბულატორიული მომსახურების ანაზღაურება;

- მოსახლეობის ურგენტული მომსახურების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 15 წელს ზემოთ ქვეყნის მოსახლეობის ურგენტული სტაციონარული დახმარება. პროგრამული ღონისძიებების მაღალი რესურსტევადობის გამო გამოყენებულ იქნა მოსახლეობის მხრიდან თანაგადახდის პრინციპი 25%-ის ოდენობით, ხოლო კრიტიკული მდგომარეობისათვის განსაზღვრული 6 დღის ხარჯების დაფინანსება განხორციელდა სრულად. თანაგადახდა ასევე არ გავრცელდა მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობაზე;

- გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით დაავადებული პაციენტების კარდიოქირურგიული მკურნალობა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოზრდილთა კარდიოქირურგიული მკურნალობა დაფინანსდა შემთხვევის ღირებულების 70%-ით. საანგარიშო პერიოდში სულ დაფიქსირდა 1.5 ათასამდე შემთხვევა;

- პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი, პათიმართა და მსჯავრდებულთა კომისიური წესით შემოწმების უზრუნველყოფის კომპონენტი; დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის კომპონენტი და სხვა;

- ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში არსებულ საინფორმაციო ბაზაში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მათი როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მომსახურება. სულ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 4.7 ათასამდე ამბულატორიული და სტაციონარული შემთხვევა.

- გარდა ზემოაღნიშნულისა ამ პრიორიტეტის ფარგლებში აგრეთვე განხორციელდა: დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამა, სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის კომპონენტი, პროფესიულ დაავადებათა პრევენციის კომპონენტი, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტი, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობის კომპონენტი, უსაფრთხო სისხლის კომპონენტი და ა.შ.

პრიორიტეტი: სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ხარისხიან მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

- სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 130 ერთეული მაღალი გამავლობის („უაზის” ტიპის) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილი, მამოგრაფიული კვლევისათვის შეძენილ იქნა საჭირო აპარატურა, რომელიც გადაეცა სსიპ – „ეროვნული სკრინინგის ცენტრს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურები უზრუნველყოფილი იქნა დეფიბრილატორებით, დასრულდა დიაბეტიან ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის სარემონტო სამუშაოები, განხორციელდა სამინისტროს სისტემის შენობის რეაბილიტაცია და აღჭურვა;

- სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების სახით 2000 ლარის ოდენობის ფულადი გასაცემელი გაიცა სოფლად პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელ 796 ექიმზე. აგრეთვე, შეძენილ იქნა 740 კომპლექტი საოფისე და სამედიცინო ინვენტარი და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, რომელიც გადაეცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს პროგრამის ბენეფიციარი ექიმების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით;

- დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეზიდენტურაში მზადებას გადიოდა სულ 150-მდე რეზიდენტი;

- სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სამკურნალო საშუალებების ხარისხისა და სარეგისტრაციო ნიმუშების ხარისხის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ლაბორატორიული კონტროლი. განხორციელდა 100-მდე მედიკამენტის ლაბორატორიული ანალიზი.

პრიორიტეტი: მოსახლეობის უმუშევრობის, სიღარიბისა და მოწყვლადობის შემცირება

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა საოჯახო დახმარება და საარსებო შემწეობა. საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 31 378 პირი, გადარიცხული თანხის ოდენობამ –

754 382 ლარი, თებერვალში – 31 799 პირი და 767 177 ლარი, მარტში – 31 233 პირი და 750 873 ლარი, აპრილში – 30 810 პირი და 750 873 ლარი, მაისში – 30 428 პირი და 719 936 ლარი, ივნისში – 29 887 პირი და 708 687 ლარი, ივლისში – 29 128 პირი და 683 901 ლარი, აგვისტოში – 28 529 პირი და 664 667 ლარი, სექტემბერში – 28 159 პირი და 656 886 ლარი. ოქტომბერში – 27 666 პირი და 650 919 ლარი, ნოემბერში – 27 201 პირი და 643 684 ლარი, დეკემბერში – 26 835 პირი და 633 778 ლარი. საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ იანვრის თვეში შეადგინა 127 125 ოჯახი, გადარიცხული თანხის ოდენობამ 7 528 865 ლარი, თებერვალში – 128 311 ოჯახი და 7 046 916 ლარი, მარტში – 132 325 ოჯახი და 7 429 288 ლარი, აპრილში – 134 935 ოჯახი და 7 441 130 ლარი, მაისში – 137 150 ოჯახი და 7 538 469 ლარი, ივნისში – 140 580 ოჯახი და 7 735 714 ლარი, ივლისში – 145 703 ოჯახი და 8 471 189 ლარი, აგვისტოში – 148 279 ოჯახი და 8 140 145 ლარი, სექტემბერში – 141 716 ოჯახი და 7 652 085 ლარი, ოქტომბერში – 132 413 ოჯახი და 7 095 990 ლარი, ნოემბერში – 128 148 ოჯახი და 7 491 618 ლარი, დეკემბერში – 136 820 ოჯახი და 8 623 665 ლარი.

ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „ხელმოკლე ოჯახებში დაბადებული ახალშობილების დახმარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა – ღირსეული დასაწყისი“, რომლის ფარგლებშიც ქ. თბილისში და რეგიონებში გაცემულ იქნა 20 084 ვაუჩერი და შესაბამისად გადარიცხული თანხის მოცულობამ შეადგინა 20 084.0 ათასი ლარი;

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის №731 განკარგულების საფუძველზე, სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებულ პირთა 200 ლარის ოდენობის ერთჯერადი ფულადი დამხარებებით უზრუნველყოფა. დახმარება მიიღო 16.6 ათასამდე პირმა;

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სოციალური ვალდებულებების დაფინანსების მიზნით, ხორციელდებოდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით, სახელმწიფო კომპენსაციებითა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიებით (სულ 858.8 ათასამდე ბენეფიციარი). ამასთან, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო პენსიის 55 ლარიდან 70 ლარამდე გაზრდა;

- სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის განხორციელდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის ვაუჩერების ანაზღაურება. აღნიშნულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 87.4 ათასამდე ბენეფიციარი, ხოლო სულ 2008 წელს გადარიცხული თანხის ოდენობამ – 38 602.9 ათასი ლარი.

- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება საანგარიშო პერიოდში გაეწია 6.3 ათასამდე ორსულს, ხოლო ამ მიზნით სულ გადარიცხულ იქნა 3 328.9 ათასი ლარი;


- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შეძენილ იქნა 80-მდე წყვილი ყავარჯენი, 750-მდე სავარძელ-ეტლი, 300-მდე სტანდარტული ხელჯოხი, 100-მდე წყვილი ხელჯოხ-ყავარჯენი, 1400-მდე სმენის აპარატი და სხვა;

- სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლებზე გაიცა სახელმწიფო სტიპენდიები. დასაქმების პროგრამის პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული 114.0 ათასი ადამიანიდან 200 ლარიანი სტიპენდია მიიღო 111.0 ათასმა პირმა, რამაც ჯამურად 22.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მეორე და მესამე ეტაპზე გადარიცხულ იქნა შესაბამისად 22.8 მლნ და 22.1 მლნ ლარი.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო


საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 130 923.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 120 729.5 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 102 606.8 ათასი ლარით ნაკლებია.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 81 042.9 ათასი ლარი, „არაფინანსურმა აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 2 775.0 ათასი ლარი, „ფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 36 670.0 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 241.6 ათასი ლარი.


2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 1 977.3 ათასი ლარი, „საქონელი და მომსახურებაზე“ – 2 894.1 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 59 721.8 ათასი ლარი,

„სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 8.2 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 16 441.5 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



2008 წელს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები:

„მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და მათი იმედიანობის გაზრდის მიზნით სარეაბილიტაციო ღონისძიებების“ ფარგლებში დალიკოდორის ხეობის სოფლებში (მრამბა, ტვიბრაშერი და პტიში) ჩატარდა ელექტრომომარაგების ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. კერძოდ, აშენდა 13.1 კმ სიგრძის 10 კვ ელექტროგადამცემი ხაზის და 2.9 მ სიგრძის 0.38-0.22 კვ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი, დამონტაჟდა 10/0.4 კვ ძაბვის ერთი 100 კვა და ორი 40 კვა სიმძლავრის კომპლექსური სატრანსფორმაციო ქვესადგურები და გამანაწილებელი კარადები.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე ჩატარდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დაზარალებული მოსახლეობის განთავსების ადგილებში, კერძოდ ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ხაშურის, მარნეულისა და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტებში საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის. ოკუპირებულ ტერიტორიებთან მდებარე სოფლებისთვის (ქვემო სობისი, ზემო სობისი, და ბერშუეთის) ელექტროენერგიით სტაბილური უზრუნველყოფის მიზნით აშენდა შემოვლითი 3.2 კმ 10 კვ ძაბვის ელექტროგადამცემის ხაზი, რომელმაც უზრუნველყო ამ სოფლების მიერთება 35/10 კვ

ქვესადგურ “მეჯვრისხევთან”. შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში და ქუთაისში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის განხორციელდა დაზარალებული მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. სოფელ საქაშეთის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის აშენდა 5,902 კმ 10 კვ ელექტროგადამცემი ხაზი და დამონტაჟდება 10/04 კვ 400 კვა სიმძლავრის ტრანსფორმატორი.

„ბუნებრივი გაზის სექტორში სარეაბილიტაციო ღონისძიებების“ ფარგლებში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფისათვის ჩატარდა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები წეროვანში, წილკანში, ფრეხეთში, მცხეთაში, საგურამოში, ბაზალეთში, ქარელში, სურამსა და ხაშურში. ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტების სოფლებში ნიხანსა და შაუმიანში.

ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნების მიზნით საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა საჭირო თანხები 2008 წლის 1 მაისამდე მოსახლეობისთვის მიწოდებულ ბუნებრივ გაზზე არსებული სამომხმარებლო ტარიფის შესანარჩუნებლად.

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, ანაზღაურდა დიდი და პატარა ლიანხვის ხეობის მოსახლეობის მიერ ყოველ აბონენტზე თვეში არაუმეტეს 120 კვტ/სთ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის დამატებით რეზერვის შექმნის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 50.0 ათასი ტონა მაზუთის შექმნა.


დასრულდა ნამახვანჭესების კასკადის მშენებლობის წინასაპროექტო, მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

ყაზბეგის და ღუშეთის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიების ფარგლებში მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად თითოეულ აბონენტს თვეში აუნაზღაურდა არაუმეტეს 700 კუბ. მეტრი მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო


საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 80 612.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 70 870.6 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 40 229.2 ათასი ლარით ნაკლებია.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 59 827.7 ათასი ლარი, „არაფინანსურმა აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 3 835.6 ათასი ლარი, ხოლო „ფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 7 206.2 ათასი ლარი.


2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 4 864.0 ათასი ლარი, „საქონელი

და მომსახურებაზე“ – 3 895.3 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 5 991.8 ათასი ლარი, „გრანტებზე“ – 161.0 ათასი ლარი, „სხვა ხარჯებზე“ – 44 915.7 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროგრამები და ღონისძიებები:

პრიორიტეტი: სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“

პროგრამის ფარგლებში ძირითადად მიმდინარეობდა სამელიორაციო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: ქვემო ქართლში ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში მდებარე იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობაზე და მაგისტრალურ არხზე; ღმანისი-განთიადის სარწყავ სისტემაზე; იაკუბლოსა და პანტიანის წყალსაცავზე, მათ შემავსებელ სათავე ნაგებობებსა და წყალმიმყვან არხებზე; მარნეულის რაიონში ხრამ არხის სარწყავ სისტემაზე (წერეთლის გამანაწილებელი არხის ჩათვლით); გორის რაიონის სოფელ ნიქოზთან ძლევიჯვრისა და დიდი რუს სარწყავი სისტემის (კაშხლიანი) სათავე ჰიდროკვანძზე, მაგისტრალურ არხზე და კასპის რაიონში მდებარე

სიონის არხზე. ჩატარებული სამუშაოების შედეგად საკმაოდ გაიზარდა მორწყული ფართობების რაოდენობა.

პროგრამა: „სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“

პროგრამის სახსრები ძირითადად მოხმარდა საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად ლიკვიდირებული სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის ბაზაზე დაფუძნებულ სამელიორაციო მომსახურების სახელმწიფო შპს-ების ფუნქციონირების ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან სესხი გაიცა შპს „ალაზანი-მ“-ზე, შპს „მტკვარი-მ“-ზე და შპს „სიონი-მ“-ზე.

პროგრამა: „სოფლის მექანიზაცია 2008“

პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 110 ერთეული სამკორპუსიანი გუთანი, 15 ერთეული სატრაქტორო მისაბმელი 2 ხიდიანი ლაფეტი, 10 ერთეული მარცვლის სათესი სასუქის შემტანით, 2 ერთეული ხახვის ამომღები და დამფასოებელი, ერთი კომბაინი და სხვადასხვა სახის (კულტივატორი, დისკებიანი ფარცხი და სხვა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დანადგარები, რომელიც პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა ქვეყნის მასშტაბით შექმნილ ამხანაგობებზე.

პროგრამა: „მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების დიზელის საწვავით უზრუნველყოფის ღონისძიებები“

მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახებისათვის დიზელის საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები: სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“, შპს „ოპტიმუმთან“, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეიუმთან“, რომლის ფარგლებში შესყიდულია 18 607.0 ათას ლიტრამდე დიზელის საწვავი. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო მოსახლეობის მიერ მიწის დროულ დამუშავებას.

პრიორიტეტი: მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა.

პროგრამა: „ვენახების განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა ჰიბრიდული ჯიშის (ვაქირულა) ვენახების შემცირებას, ვაქირულას ჯიშის ვაზი ამოიძირკვა 342,683 ჰექტარზე, რის შედეგადაც შეიქმნა შესაძლებლობა გამოთავისუფლებულ ფართობებზე გაშენებულ იქნეს სტანდარტულ ასორტიმენტში შემავალი ჯიშები, ხოლო მოსახლეობაზე გაცემულ იქნა კომპენსაციის სახით 685,4 ათასი ლარი.

პროგრამა: „ღვინის ლაბორატორიული კვლევა“

საანგარიშო პერიოდში პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებულ პარტიაზე საინსპექციო კონტროლის დაწესებას, კერძოდ ლაბორატორიისა და სადგეუსტაციო კომისიისათვის წარდგენილი ნიმუშების, სერტიფიცირებულ პარტიიდან ამოღებულ ნიმუშთან შედარების უზრუნველსაყოფად ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა.

პროგრამა: „2008 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა მოსახლეობის მიერ ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებზე ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურებას. ხოლო გაცემული იქნა 6176,2 ათასი ლარის ვაუჩერი, ფიზიკურ პირებზე ფაქტიურად გაცემულია 12 963 ვაუჩერი, მათ შორის: რქაწითელზე – 5 665 ვაუჩერი, საფერავზე – 5 741, ხოლო ალექსანდროული-მეჯურეთული ჯიშის ყურძენზე – 1 557 ვაუჩერი. აღნიშნული ღონისძიებით ხელიშეწყობა ყურძნის რეალიზაციას.

პროგრამა: „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფერავის ჯიშის ვენახის ჩანაცვლების ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა საფერავის ჯიშის ვენახების შემცირებას, საფერავის ჯიშის ვაზი ამოიძირკვა 101,1 ჰექტარზე, რის შედეგადაც შეიქმნა შესაძლებლობა გამოთავისუფლებულ ფართობებზე გაშენებულ იქნეს სტანდარტულ ასორტიმენტში შემავალი, კონკურენტუნარიანი ჯიშები. მოსახლეობაზე კომპენსაციის სახით გაცემული იქნა 202,2 ათასი ლარი.

პროგრამა: „ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქაწითელი ჯიშის ვენახის ჩანაცვლების ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა რქაწითელი ჯიშის ვენახების შემცირებას, რქაწითელის ჯიშის ვაზი ამოიძირკვა 130.85 ჰექტარზე, რის შედეგადაც შეიქმნა შესაძლებლობა გამოთავისუფლებულ ფართობებზე გაშენებულ იქნეს სტანდარტულ ასორტიმენტში შემავალი, კონკურენტუნარიანი ჯიშები.

პროგრამა: „მელვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“

მომზადდა ინფორმაცია ქართული მელვინეობის ისტორიის შესახებ, რომელიც გავრცელდა მსოფლიოს 41 ქვეყანაში, განახლდა ურთიერთობა ლონდონის ღვინის მუზეუმთან, რაც საშუალებას მისცემს ყოველწლიურად მუზეუმის 50,0 ათასზე მეტ ვიზიტორს გაეცნოს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს.

პროგრამა: „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში, სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო:

- ჩიკაგოში, ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენა;
- ტოკიოში, საკვები ინგრედიენტებისა და დანამატების მე-13 საერთაშორისო გამოფენაში, საქართველოს მხრიდან გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ქართული თხილის შვიდმა

კომპანიამ და არომატების კომპანიამ „ღ ჩ“, რომელიც ითვლება დაფნის გადამამუშავებელ ერთ-ერთ მსხვილ საწარმოდ;

- უკრაინაში, თორმეტმა სხვადასხვა ქართულმა კომპანიამ, წარადგინეს ღვინის, ჩაისა და საკვები პროდუქტების ნიმუშები;

- ლატვიაში, ქ. რიგაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციისა და საკვებისა და სასმელების წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისათვის.

პრიორიტეტი: სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფა.

პროგრამა: „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“

პროგრამის ფარგლებში აღებულ იქნა სულ 911 ნიმუში, მათ შორის 392 ალკოჰოლური სასმელების, 25 ფქვილის, პურისა და ფქვილოვანი ნაწარმის, 331 სასმელი წყლის, 32 ხორცის და ხორცის ნაწარმის, 18 რძისა და რძის ნაწარმის, 23 თევზისა და თევზის ნაწარმის, 15 ბავშვთა კვების პროდუქტები, 21 მზა კერძებისა და 54 შაქრის, ხილბოსტნეულის, ზეთებისა და მაკარონის ნიმუში. მეწარმეთა მომართვის საფუძველზე სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა 6 საწარმოში, საიდანაც აღებულ იქნა 44 ნიმუში, აკრედიტებულ ლაბორატორიებში ჩატარდა სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული ანალიზი.

ღვინის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევით დარღვევა გამოვლინდა 41 ნიმუშში, სასმელი წყლის – 133 ნიმუშში, მზა კერძების ნიმუშებიდან – 25 ნიმუშში. ფქვილის ნიმუშებიდან გამოვლინდა 2 დარღვევა.

გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება 530 სახეობის სურსათის განადგურების თაობაზე.

სასმელ წყალში გამოვლენილი დარღვევების გამო შესაბამისი წერილებით მიეცა რეკომენდაციები ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

სურსათის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ ეცნობა ყველა მეწარმეს.

პროგრამა: „ეპიზოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“

პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნებებიდან ვაქცინირებულია 773,6 ათასი სული წვრილფეხა და 860,5 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ჯილეხის დაავადების საწინააღმდეგოდ იმუნიზირებულია 313,6 ათასი სული მსხვილფეხა და 3,8 ათასი სული წვრილფეხა პირუტყვი, ხოლო ცოფის საწინააღმდეგოდ იმუნიზირებულია 2 074,2 ათასი სული ძაღლი და კატა.

ტუბერკულოზზე ალერგიული გამოკვლევა ჩაუტარდა 21,2 ათასი სულ მსხვილფეხა პირუტყვს.

ბრუცელოზზე გამოსაკვლევად აღებულ იქნა 24,5 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვიდან სისხლის სინჯი სემდგომი დიაგნოსტიკისატვის. დადებითად მორეაგირე დაფიქსირდა 1,1 ათასი სული.

პროგრამა: „მცენარეთა დაცვა“

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ, მიმდინარე წლის ივნისის პირველი დეკადიდან დასავლეთ საქართველოში დაიწყო ამერიკული თეთრი პეპელას პირველი თაობის წინააღმდეგ ტიფას ტიპის აგრეგატით შეწამვლა, თერმული ნისლის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავდა 13 466 ჰექტარი ფართობი. აღნიშნული ღონისძიების გასატარებლად გამოყენებული იქნა „თI -100“ მარკის 6 ერთეული უნივერსალური შემასხურებელი აგრეგატი და თერმული ნისლის ტექნოლოგია.


ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების (ამერიკული თეთრი პეპელა, კალიები, სამინდის მავნებლები, მავნე მღრღნელები) წინააღმდეგ გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარების მიზნით დამატებით შეძენილ იქნა 368 ათასი ლარის ღირებულების შემაფრქვეველი დანადგარები „თI - 100“.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში გაუმჯობესდა ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, შენარჩუნდა მოსავალი და სტაბილური საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები, შეიქმნა პესტიციდების სარეზერვო ფონდი ხორბლის, ხეხილის მავნებლების, საკარანტინო ობიექტების გავრცელების აღკვეთის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო


საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 32 296.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 29 010.0 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8 536.5 ათასი ლარით ნაკლებია.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები




საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 23 147.5 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 5 646.4 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 216.1 ათასი ლარი.

2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა – 10 434.8 ათასი ლარი, „საქონელი და მომსახურებაზე“ – 4 432.5 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 6 169.3 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 74.6 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 2 036.2 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დასახული სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები:

„ეკოტურიზმის განვითარება“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების, ქართველი და უცხოელი ტურისტებისა და ღონორი ორგანიზაციების საქართველოში არსებული უნიკალური ბიომრავალფეროვნების გაცნობის მიზნით დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურიზმისა და კურორტების გამოფენაში – ” ხპო ატუმი 2008” და ქ. თბილისში გამართულ მე-10 საიუბილეო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში. გამოფენებზე წარმოდგენილი იყო ლაგოდეხის, ვაშლოვანის, კინტრიშის, თუშეთის, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, მტირალას, კოლხეთის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკები. აგრეთვე, ტურისტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, დაიბეჭდა ვაშლოვანის, თუშეთის, ლაგოდეხის,

ბორჯომის, ქობულეთის, მტირალას, საქართველოს დაცული ტერიტორიების ტურისტული რუკების ინგლისური და ქართული ვერსიები. პროგრამის ფარგლებში აგრეთვე დაიბეჭდა ტურისტული ბილეთები შემდეგი დაცული ტერიტორიებისათვის: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი; კოლხეთის ეროვნული პარკი; ქობულეთის დაცული ტერიტორიები; მტირალას ეროვნული პარკი; თუშეთის დაცული ტერიტორიები; ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები.

მოეწყო თუშეთის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფოტო-გამოფენები კინოთეატრ "ამირანში".

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განთავსდა საქართველოს დაცული ტერიტორიების სარეკლამო მოდულიათი.

დაცული ტერიტორიების სააგენტომ, მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „მომავლის სახლი“-ს 25-მდე აღსაზრდელისთვის მოაწყო ერთდღიანი ტური ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე. ტურის განმავლობაში აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს საგამოფენო დარბაზი, დალაშქრეს საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი „მაჭის ციხე“, აგრეთვე ბავშვებისათვის მოეწყო ცხენებით გასეირნება.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო „სათავგადასავლო ტური“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, ლატვიის, ისრაელის სახელმწიფოების სრულფასოვანი ელჩებმა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ტუროპერატორებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გაიხსნა ფოტო გამოფენა-კონკურსი სახელწოდებით „ერთი დღე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში“. გამოფენას ესწრებოდნენ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ბავშვები. ღონისძიების შემდეგ მათთვის მოეწყო გასვლითი ტური ანდრია პირველწოდებულის ტურისტულ ბილიკზე. ღონისძიებას დაესწრნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, ტუროპერატორების, მასმედიის წარმომადგენლები.

„დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“ პროგრამის ფარგლებში შექმნილ იქნა 25 კომპლექტი მეხანძრის სპეც-ტანსაცმელი. აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და მისასხურებელი აპარატი, მწერების საკვლევი ინვენტარი - ბინოკულარები პათოლოგიური კვლევებისათვის და სხვადასხვა სპეციალური შესაწამლი ნივთიერებები

“მდინარეთა კალაპოტების ნაპირსამაგრი სამუშაოები” პროგრამის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: ქ. სამტრედიის სოფ. ილორში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ცხენისწყალზე, ქ. გორში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ლიხვზე, უფლისციხის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე მოწყობილია ნაპირდამცავი ქვანაყარი ბერმა; ამასთან, ლენტეხის რაიონში სოფ. ლესხურაში, გვიმბრალას დელეზე, სოფ. მელესში, სოფ. ხერიაში მდ. ცხენისწყალზე, წალენჯიხის რაიონის სოფ. საჩინოს მიმდებარე ტერიტორიაზე სოფ. ხოფურის ეკლესიისა და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა ღვარცოფული ხევის

ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობა და ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები; ასევე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა ქ. ამბროლაურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ.კრიხულაზე. დასრულდა ონის რაიონის სოფ. ჭალაში მდინარე ჭალურაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა.

„მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებები (მ.შ. 2007 წლის ბოლოს შესრულებული სამუშაოები)“ პროგრამის ფარგლებში 2008 წლის განმავლობაში გადაირიცხა განაღდებული 110 960 შეშის ვაუჩერით ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი – 1.5 მლნ ლარი (გამოყოფილი იყო 517 933,94 კმ. სათბობი შეშა).

„საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული სამუშაოები“ პროგრამის ფარგლებში დასკანირებულ იქნა 1997 წლის 1:20 000 მასშტაბის აეროგადაღების ფირების 554 კადრის და 1951 წლის 1:18 000 მასშტაბის მიკროფირების 49 კადრი. მიღებული პროდუქცია წარმოადგენს საფუძველს საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე 1:10 000 მასშტაბის ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შესაქმნელად. საანგარიშო პერიოდში, აგრეთვე, დაიწყო გრაფიკით გათვალისწინებული საველე ტოპოგრაფიული-გეოდეზიური სამუშაოები, ველზე გასვლა და სამუშაოების ხარისხის ადგილზე შემოწმება.

2008 წლის 14 აპრილს ჩატარდა კოტირება კოსმოსური სურათების შესაძენად, სადაც მონაწილეობა მიიღო როგორც ქართულმა, ასევე უცხოურმა კომპანიებმა. კომისიამ გამოავლინა გამარჯვებული თურქული კომპანია “I თ შ ჩ შ შთ შ I ჩ”, რომელმაც გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, 2008 წლის 13 ივლისამდე მოგვაწოდა სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის ციფრული მონო კოსმოსური არქივირებული სურათები.

ასევე, 2008 წლის 13 მარტს ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმით გაფორმდა ხელშეკრულება №38 საქართველოს ტერიტორიის 1:500 000 მასშტაბის ზოგადგეოგრაფიული ციფრული ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი რუკის შექმნის მიზნით. სამუშაო დასრულდა 15 ივნისს. რუკა შეიქმნა როგორც ციფრული სახით, ასევე მოხდა კედლის რუკის ანაბეჭდების დამზადება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

შპს „ლენ“-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის 2008 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული №94 ხელშეკრულების შესაბამისად, განხორციელდა აეროგადაღების ფირების სკანირება.

„ტყის დაცვის ღონისძიებები“ სატყეო დეპარტამენტის მიერ „ტყის დაცვის ღონისძიებები“-ს პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით, ტენდერში გამარჯვებული ფირების მიერ 2008 წლის განმავლობაში ფაქტობრივად გამოყოფილი არის 295.2 ათასი მ³ სათბობი შეშა, რაზედაც ბიუჯეტიდან გახარჯულია 315.9 ათასი ლარი. სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების ტენდერში წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების საფუძველზე ხელშეკრულება გაფორმდა 9 ლოტზე (მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, გურიისა


და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოების მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიები).

“2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სატყეო დეპარტამენტმა გააფორმა 10 ხელშეკრულება 130 000 მ³ მოცულობის საშეშე მერქნის მისაღებად.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 41 625.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 41 605.5 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 10 333.6 ათასი ლარით.


2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის 2008 წელს „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 35 505.0, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ წილმა – 6 100.5 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 28 577.9 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 6 864.8, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 46.1, ხოლო „სხვა ხარჯებზე მიმართულმა“ სახსრებმა შეადგინა – 16.1 ათასი ლარი.


2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 745.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 888.9 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 343.2 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ფაქტიური დაფინანსების გადაჭარბება დაზუსტებულ ასიგნებებზე განპირობებულია უცხოეთიდან მიღებული გრანტების წინმსწრები ჩამორიცხვით.


2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 1 865.3 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 23.6 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 679.4 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 380.1 ათასი ლარი, „სუბსიდიებზე“ – 234.2 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 6.1 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 565.5 ათასი ლარი.

2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2008 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

პრიორიტეტი: საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი, ძლიერი და ეფექტიანი ინსტიტუტის ჩამოყალიბების დასრულება

- ადამიანის უფლებათა დაცვის შემოწმების მიზნით სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფების მიერ, წლის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში განხორციელდა 400-მდე ვიზიტი, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში – 384 ვიზიტი;

- სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრმა მონიტორინგის მიზნით მზრუნველობამოკლებულ და უნარშეზღუდულ ბავშვთა დაწესებულებებში განახორციელა 9 ვიზიტი;

- პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის დახმარება ()“ ფარგლებში განხორციელდა: რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოებისა და მათი კომიტეტების სამუშაო შეხვედრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობის ჯგუფების სოციალურ, პროფესიული განათლების, უფლებათა დაცვის და სხვა საკითხებზე;

- საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოსა და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ

უმცირესობათა საბჭოს მიერ ხელი მოეწერა ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც ორივე მხარემ ვალდებულება აიღო ითანამშრომლონ საქართველოში ტოლერანტული გარემოს განვითარებისა და განმტკიცების, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხარისხის ამაღლების მიზნით;

- საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი მუდმივად ახორციელებდა მედია-მონიტორინგს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობის მონიტორინგს საქართველოს რეგიონებში.

პრიორიტეტი: მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით

- ამოქმედდა და შესაბამისად იქნა აღჭურვილი სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრის ქუთაისისა და ბათუმის ოფისები;

- საანგარიშო პერიოდში გამოიცა ჟურნალ „სოლიდარობის“ ექვსი ნომერი, რომელშიც ტოლერანტობისა და ინტეგრაციის თემატიკის გარდა განხილულია ადამიანის უფლებებთან, სოციალურ თანასწორობასა და დემოკრატიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებიც;


- სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრისა და ბიბლიოთეკის შესახებ მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები, აგრეთვე, შეძენილ იქნა უახლესი ლიტერატურა;

- სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საკითხებზე ჩატარდა ტრენინგები.

- პროექტის ხელშეწყობით გამოიცა საქართველოში ადამიანის უფლებათა შესახებ სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრისა და 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება.


სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი

სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 24 902.4 ათასი ლარი. ფაქტიური დაფინანსების მაჩვენებელი 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს 7 207.2 ათასი ლარით აღემატება.



სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 17 358.0 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 3 318.0 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების“ მუხლის დაფინანსებამ – 4 226.4 ათასი ლარი.


2008 წელს დაფინანსების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით



სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 779.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 772.0 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს 551.1 ათასი ლარით აღემატება.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები




სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 630.7 ათასი ლარი, „არაფინანსურმა აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 141.4 ათასი ლარი.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 19 000.0 ათასი ლარი, ხოლო

ფაქტიურმა დაფინანსებამ 18 993.5 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 4 381.3 ათასი ლარით.


2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის 2008 წელს „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 16 053.5, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 2 940.0 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ფარგლებში „შრომის ანაზღაურებაზე“ მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 7 297.1 ათასი ლარი, „საქონელზე და მომსახურებაზე“ – 6 240.0, „სუბსიდიებზე“ – 1 582.0 ათასი ლარი, „სოციალურ უზრუნველყოფაზე“ – 854.0 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯებზე“ – 80.4 ათასი ლარი.


2008 წლის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (საკასო შესრულება)



საქართველოს საპატრიარქო

საქართველოს საპატრიარქოსათვის 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 9 521.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 9 517.1 ათასი ლარი, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე მეტია 5 294.5 ათასი ლარით.

2007-2008 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს საპატრიარქოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის დაფინანსებამ შეადგინა 5 977.0 ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დაფინანსებამ – 3 540.1 ათასი ლარი.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 142.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 138.7 ათასი ლარი.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 იანვრის №33 ბრძანებულების საფუძველზე.

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 60.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 59.9 ათასი ლარი.

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 იანვრის №33 ბრძანებულების საფუძველზე.

რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა

ასიგნებებმა შეადგინა 110.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 106.5 ათასი ლარი.

რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 იანვრის №33 ბრძანებულების საფუძველზე.

თავი VII

უცხოეთიდან მიღებული გრანტები, კრედიტები (ვალდებულებების ზრდა) და ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე

2008 წლის განმავლობაში უცხოეთიდან მიღებულმა გრანტებმა, კრედიტებმა (ევრობონდების გარდა) და ნებაყოფლობითმა ტრანსფერებმა (მათ შორის, ბიუჯეტის მხარდამჭერმა) შეადგინა 978.9 მლნ ლარი. აღნიშნული სახსრებიდან ხარჯებზე მიბმული კრედიტების, გრანტების და ნებაყოფლობითი ტრანსფერების ფარგლებში ჩამორიცხულმა სახსრებმა შეადგინა 277.2 მლნ ლარი.

გადასახდლების ნაწილში ხარჯზე მიბმული გრანტების, კრედიტებისა და ნებაყოფლობითი ტრანსფერების საკასო შესრულებამ შეადგინა 278.2 მლნ ლარი. (ათვისებულ იქნა 2007 წელს საინვესტიციო პროექტების ფარგლებში აუთვისებელი სახსრების ნაწილი). ამასთან, 2008 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობისათვის და ამ პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 39.0 მლნ ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 32.6 მლნ ლარი.

გრანტები

2008 წლის განმავლობაში გრანტების სახით მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 617.2 მლნ ლარი. მათ შორის:

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები 486.2 მლნ ლარი.

- ამერიკის მთავრობის დახმარება 250.0 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რამაც კონკრეტაციის შემდეგ შეადგინა 412.5 მლნ ლარი;

- ევროკავშირის მიერ გამოყოფილი საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმის მხარდაჭერის 2008 წლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი 9.8 მლნ ევროს ეკვივალენტი 23.2 მლნ ლარი;
 - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო ფინანსების მართვის პროგრამის () ფარგლებში გამოყოფილი პირველი და მეორე საგრანტო ტრანშები, სულ 9.0 მლნ ევროს ოდენობით, რამაც კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 20.9 მლნ ლარი;
 - ევროკავშირის მიერ სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 3.0 მლნ ევრო, რამაც კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 7.1 მლნ ლარი;
 - სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის მეოთხე ღონისძიების თანმდევი ნიდერლანდების მთავრობის გრანტი 2.5 მლნ ევროს ოდენობით, რამაც კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 5.8 მლნ ლარი;
 - გაერთიანებული სამეფოს მულტილატერალური ვალის ტვირთის შემსუბუქების ინიციატივის ფარგლებში 2008 წლის პროგრამით გათვალისწინებული გრანტი – 2.1 მლნ ლარი;
 - უკრაინის მთავრობის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 14.6 მლნ ლარი;
 - მალტის მთავრობის დახმარება პოსტკონფლიქტური აღდგენისათვის 10.0 ათასი ევროს ოდენობით, რამაც კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 23.2 ათასი ლარი;
- საგარეო წყაროებიდან მიღებული ხარჯებზე მიბმული გრანტები – 130.7 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორთა მიერ დაფინანსებული ინვესტიციური გრანტები – 121.7 მლნ ლარი;
 - სხვა გრანტები (, I , ში , I , ნიდერლანდები, ლიხტენშტეინი, ჩინეთი, რეესტრის გრანტები) – 9.0 მლნ ლარი
- გარდა ზემოხსენებულისა გრანტების შესრულებაში ასახულია 176.7 ათასი ლარი, რომელიც საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია საგრანტე ანგარიშებზე.

ვალდებულებების ზრდა – ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები

2008 წლის განმავლობაში ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხები ფაქტიურად მიღებულია 208.8 მლნ ლარი, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსოფლიო ბანკიდან გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის სახით სიღარიბის დაძლევის მხარდამჭერის მეოთხე ღონისძიებისა და ამავე ღონისძიების დამატებითი დაფინანსების სახით სულ მიღებულია 39.3 მლნ შ ლ-ის ეკვივალენტი ლარში 93.4 მლნ ლარი;
- აზიის განვითარების ბანკიდან, ასევე გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის სახით, მიღებულია 46.9 მლნ შ ლ-ის ეკვივალენტი ლარში 115.4 მლნ ლარი.

2008 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორთა მიერ დაფინანსებული ინვესტიციური პროექტების განსახორციელებლად ფაქტიურად მიღებულია 140.6 მლნ ლარი.

დონორების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსოფლიო ბანკი – 91.9 მლნ ლარი;
- ღ – 13.0 მლნ ლარი;
- ფჭ – 15.9 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი – 2.3 მლნ ლარი;
- იაპონია – 2.2 მლნ ლარი;
- ნიდერლანდები – 9.0 მლნ ლარი;
- ჩინეთი – 6.2 მლნ ლარი;
- კუვეითი – 79.6 ათასი ლარი;

ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე

2008 წლის განმავლობაში უცხოეთიდან მიღებულია ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე 12.5 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- 5.9 მლნ ლარი (4.0 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი) მიღებულია თჩცო-ს, შჩ ცო-ს და ფინანსთა სამინისტროს შორის 2007 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც უნდა მოხმარდეს მილსადენის გაყვანის დროს დაზიანებული გზების რეაბილიტაციას. ამ ხელშეკრულების ფარგლებში 2009 მისაღებია ერთი მლნ აშშ დოლარი;

- 6.6 მლნ ლარი (4.0 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი) „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა“ და საქართველოს მთავრობას შორის საქართველოსათვის საგრანტო პროგრამის შექმნის შესახებ“ (40.0 მლნ აშშ დოლარიანი საგრანტო პროგრამა) 2006 წლის 26 ივლისს ხელმოწერილი “ჩასწორებული და განახლებული ხელშეკრულების” ფარგლებში ჩარიცხულ მესამე დამატებითი გრანტი.

2008 წლის განმავლობაში ინვესტიციური პროექტების განსახორციელებლად მიღებული საკრედიტო და საგრანტო რესურსითა და პროექტების ანგარიშებზე ამ პერიოდისათვის რიცხული ნაშთებით, პროექტების განმახორციელებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესრულდა შემდეგი სამუშაოები სფეროების მიხედვით:

ჯანდაცვის სფერო სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და აღჭურვის ნაწილში დასრულდა სოფლად 8 ამბულატორიის რეაბილიტაცია/მშენებლობა და აღჭურვა იმერეთის რეგიონში (ხარაგაულისა და ბაღდათის რაიონის სოფლებში). განხორციელდა სოფლად 103 ამბულატორიის მშენებლობა/რეაბილიტაცია იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონებში, ამავე რეგიონებში განხორციელდა საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრების რეაბილიტაცია (ქუთაისი, ბათუმი, ქობულეთი).

სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 50 დღიანი გეგმის შესაბამისად, პირველ ეტაპზე გურიის რეგიონში შერჩეული ექიმებისთვის ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცა აღჭურვის 19 სტანდარტული პაკეტი (საქართველოს მთავრობის 17 მარტის №62 დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის მიხედვით); სულ დაგეგმილი იყო აღჭურვის 740 პაკეტის შექმნა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დარჩენილი, საჭირო რაოდენობით აღჭურვის შექმნა განხორციელდა “სოფლის ექიმის

კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის”

ფარგლებში.

სულ “სოფლის ექიმის” პროგრამის ფარგლებში კერძო პრაქტიკის მოწყობისთვის ფულადი დახმარება და აღჭურვა გადაეცა 796 ბენეფიციარს.

აპრილის თვიდან საოჯახო მედიცინაში მზადება გაიარა იმერეთისა და აჭარის რეგიონებში სოფლად და რაიონულ ცენტრებში მომუშავე 216 ექიმა და ექთანმა. პარალელურად, ნოემბრის თვიდან სასწავლო პროცესი გაგრძელდა იმერეთში და მზადებაში ჩაერთო გურიისა (ოზურგეთი) და შიდა ქართლის (გორი) რეგიონული სასწავლო ცენტრები. ამ ეტაპზე, მზადებას აგრძელებს 147 ექიმი და ექთანი.

ქალაქ რუსთავში ქვემო ქართლის რეგიონისათვის, საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საოჯახო მედიცინაში გადამზადებული და ქალაქ რუსთავში დასაქმებული ექიმებისა და ექთნების ნაწილი, კერძოდ, 4 ექიმი და 4 ექთანი ა.წ. 31 მარტიდან 11 აპრილამდე პერიოდში გადამზადდა ტრენერებად. ამ რესურსით ქალაქ რუსთავში შეიქმნა 12 კაციანი ორი ჯგუფის (1 ექიმების ჯგუფი და 1 ექთნების) საოჯახო მედიცინაში გადამზადების შესაძლებლობა;

9 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით ტრენერებად გადამზადდა სამეგრელოს რეგიონის 24-მდე ოჯახის ექიმი და ზოგადი პრაქტიკის ექთანი.

განხორციელდა საოჯახო მედიცინაში გადასამზადებელი პერსონალის შესარჩევი ტესტების გადახედვა, განახლება და რაოდენობრივი შევსება 40%-ით, რაც 120-120 დამატებით ახალ ტესტს მოიცავს ექიმებისა და ექთნებისათვის. შედეგად, შესარჩევი ტესტების ბაზის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 850 ტესტს. განახლებული ტესტების გამოყენება მოხდა ქალაქებიდან და რეგიონული/რაიონული ცენტრებიდან გადასამზადებელი კონტინგენტის შერჩევასა.

მიმდინარეობდა მუშაობა ზუგდიდში საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება/განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში სამეგრელოს რეგიონისათვის მომზადდა ოჯახის 4 ექიმ-მასწავლებელი და 4 ექთან-მასწავლებელი.

ფრინველის გრიპის მოსალოდნელი პანდემიის პრევენციის მიზნით მომზადდა და იბეჭდება 40 000 ერთეული საინფორმაციო ბუკლეტები მონადირეთათვის.

რისკის პირველი ჯგუფის სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის 2008-2009 წლის ზამთრის სეზონის ვაქცინით უზრუნველსაყოფად გაფორმდა ხელშეკრულება ვაქცინის 5 000 ერთეულის შესასყიდად.

საავადმყოფოებში სპეციალური განყოფილებების სუნთქვის აპარატებით აღჭურვის მიზნით შეძენილი იქნა 10 ნეონატალური სუნთქვის აპარატი.

დღეის მდგომარეობით, საოჯახო მედიცინაში სხვადასხვა დაფინანსებით (ჭ , I , I და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში) გადამზადებულია დაახლოებით

1017 ექიმი და 975 ექთანი, რაც ქვეყნის მინიმალური (ან ოპტიმალური) საჭიროების 46,5% შეადგენს. დარჩენილია გადასამზადებელი დაახლოებით 1090 ექიმი და 1147 ექთანი, აქედან 739 ექიმი და 520 ექთანი სოფლად.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამის ეფექტურობის შეფასების მიზნით, შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარები; მონაცემთა შეგროვების მიზნით განხორციელდა საველე სამუშაოები და მონაცემთა ბაზების ფორმირება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემთა დასუფთავება. ძირითადი მონაცემების ანალიზი დასრულდება 2009 წლის აპრილში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სახელმწიფო დაზღვევის პაკეტის მოცულობის ასევე, პროგრამის ადმინისტრირების დახვეწისთვის.

მალარიის ეპიდაფეთქებებზე დროული რეაგირებისა და პრევენციის ღონისძიებათა სრულყოფის მიზნით 6 რაიონში (სიღნაღი, ახმეტა, ლანჩხუთი, საჩხერე, ჭიათურა და კასპი) შეიქმნა ინსექტიციდების სტრატეგიული მარაგი. ეპიდემიოლოგიური, ენტომოლოგიური და მეტეოროლოგიური მონიტორინგის შემდგომი განხორციელების მიზნით, ე.წ. შ-ის მოწყობილობის საშუალებით აღირიცხა 11 რაიონისა და 1 ქალაქის (გარდაბანი, მარნეული, სიღნაღი, გურჯაანი, ყვარელი, ახმეტა, საგარეჯო, ლაგოდეხი, კვარიათი, სამტრედია, ახალციხე და ქ. ბათუმი) ზუსტი კოორდინატები;

მალარიულ კერებში მცხოვრები მოსახლეობის გამოკვლევის მიზნით, სამედიცინო პერსონალისთვის მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების გაწევის თვალსაზრისითა და გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში შექმნილი მასალებისა და აღჭურვილობის მონიტორინგის მიზნით, „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ბაზაზე შექმნილი მობილური ჯგუფის მიერ განხორციელდა საველე ვიზიტები: შემდეგ რეგიონებში: აჭარა, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, კახეთი, ქვემო ქართლი.

საქართველოში ტუბერკულოზის ავადობის, გავრცელებისა და სიკვდილიანობის შემცირების მიზნით შემუშავებულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- თმ სტრატეგიის სრულყოფა და პირველადი ჯანდაცვის ქსელის ჩართვა ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში;
- პენიტენციალურ სისტემაში თმ და თმ- ლუს სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა;
- მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის რეზერვუარის შესამცირებლად თმ- ლუს სტრატეგიის განხორციელება;
- ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის კონფექციის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება ქვეყნის მასშტაბით.

2008 წლის 31 დეკემბრისათვის გლობალური ფონდის აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს 3 მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრი. 2 ქ.თბილისში – ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტისა და კლინიკა ურანტის ბაზებზე და 1 ქ. ბათუმში, სადაც ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში მკურნალობს ოპიოიდებზე დამოკიდებული პირები. პროგრამაში პაციენტების ჩართვა ხორციელდება საქართველოს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებების მიხედვით.

მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის შესახებ საინფორმაციო ბროშურები დაურიგდათ, როგორც პროგრამაში ჩართულ პაციენტებს, ისე საკონსულტაციოდ მოსულ ნარკოტიკების მომხმარებელ პირებს, სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებს, შსს-ს თანამშრომლებსა და სხვა.

აგვისტოს თვეში საქართველოში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია პროგრამის ცალკეული პუნქტების განხორციელების თვალსაზრისით, თუმცა პროგრამის ძირითადი აქტივობა, კერძოდ, პაციენტთა მომსახურება არ შეფერხებულა.

ამასთან, ტუბერკულოზის გავრცელების კონტროლის განხორციელების მიზნით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში (ტუბერკულოზის კონტროლის რეგიონალური პროგრამა II) შესყიდულ იქნა პირველი რიგის ანტი ტუბერკულოზური მედიკამენტები და ტუბერკულოზის ლაბორატორიული ქსელის სახარჯი მასალები, დაიწყო ტუბერკულოზის ახალი რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოები.

გზების პროექტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი (“ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო” „ემ-სი-ჯი“)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით „ემ-სი-ჯი“-მ განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა ფარცხისი-გოხნარის (37,1 კმ), გოხნარი-ნარდევანისა (34,6 კმ) და ნარდევანი-სათხეს (47,8 კმ) საგზაო მონაკვეთებზე. მონაკვეთების რეაბილიტაციას ახორციელებს ისრაელის კომპანია „აშტრომ ინტერნეიშენალი“.

გზის მე-2 და მე-3 მონაკვეთებზე მიმდინარეობდა გზის გასწვრივ მდებარე სასძელი და საირიგაციო წყლის მილების შეცვლა, რათა მიმდებარე სოფლებს წყალი შეუფერხებლად მიწოდებოდა და სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტს არ მოეხდინა არაპოზიტიური ეფექტი მოსახლეობაზე.

გზის მე-4 მონაკვეთზე მიმდინარეობდა ბურღვა-აფეთქების სამუშაოები, კულვერტების გაწმენდა, ამოღება და ნიშნულების ნულოვან დონეზე მიყვანა.

გზის მე-2 მონაკვეთზე გარკვეული შეფერხება გამოიწვია შ.პ.ს. „აშტრომ ინტერნეიშენალი“-ს მიერ სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის – გოხნარი-ნარდევანის უბანზე 50-53 და 57-59 კილომეტრების ნიშნულებს შორის, ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამავალი მონაკვეთების სპეციალური ტყითსარგებლობისათვის გამოყოფისა და მასზე არსებული ხე-მცენარეების გაჩეხვაზე

სპეციალური ჭრების ჩატარებისათვის საჭირო ნებართვის მიღების პროცედურების გაგრძელებამ.

ჩატარდა 8 ხიდის შემოწმება, საიდანაც 5-ს ჩაუტარდა სტატიკური ტესტირება.

ე.ს. "პაპენბურგ/ბლექ სი ჯგუფ"-მა დაამთავრა წინა საამშენებლო კვლევების ჩატარება და სამშენებლო უბნის ეზოს მოწყობა, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მახლობლად 6 კმ-ში, სოფელ ხოსპთან. ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 285მ X 220მ. დამთავრდა ხიდების გამოცდა, რომელიც შეასრულა ე.ს. "პაპენბურგ/ ბლექ სი ჯგუფი"-ს ქვე-კონტრაქტორმა კომპანია შ.პ.ს. "ტრანსპორტმა".

ამ ეტაპზე სამცხე ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ყველა მონაკვეთზე მიმდინარეობს ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები. ფარცხისი-ნარდევანის მონაკვეთზე ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოებს ანხორციელებს შ.პ.ს. „საფარი“, როდიონოვკა-სათხეს მონაკვეთზე კი მოვლა-შენახვას ანხორციელებს შ.პ.ს. „კომფორტი“. რაც შეეხება ახალქალაქი-სულდას და სათხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვარს, ზამთრის მოვლა შენახვის სამუშაოებს ასრულებს შ.პ.ს. „ჯავახავტოგზა“.

2008 წლის 11 დეკემბერს, ათასწლეულის ფონდმა გამოაცხადა ტენდერი სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში. ტენდერის თანახმად, გამარჯვებული კომპანი(ებ)ა სარეაბილიტაციო სამუშაოებს განახორციელებს შემდეგ საგზაო მონაკვეთებზე:

1. სულდა - კარწახი – თურქეთის საზღვარი (დაახლოებით 16 კმ);
2. ხერთვისი - ვარძია (დაახლოებით 11 კმ);

შესყიდვა განხორციელდება „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" შესყიდვების სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული პრინციპების, წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების I პროექტის ფარგლებში დასრულებულია:

- ალაიანი-იგოეთის მონაკვეთის მშენებლობა, ისევე როგორც რეაბილიტაცია დასრულებულია. არსებულ გზაზე დაიგო: 2,6 კმ ბეტონის საფარი, ხოლო რეაბილიტირებულ იქნა 9,5 კმ ასფალტის გზა.
- ალაიანი-იგოეთის მონაკვეთში მიწის შესყიდვა.
- 4 კონტრაქტი ინდივიდუალურ კონსულტანტთან, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის მოდერნიზაციაზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოდერნიზაციაზე, გარემოსდაცვითი რეკომენდაციებზე საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის და საავტომობილო გზების დეპარტამენტში -4 სისტემის დანერგვაზე
- განხორციელდა ოკამის სატრანსპორტო კვანძის მოწყობა ასფალტო-ბეტონით.
- აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ხორციელდება რამოდენიმე საკონსულტაციო მომსახურება: ზედამხედველობა, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება, გარემოსდაცვითი ანალიზი. აგრეთვე პროექტის ფარგლებში მოხდება

კონსულტანტის შერჩევა საგზაო უსაფრთხოების საკითხების გადასაწყვეტად და დეტალური პროექტის მოსამზადებლად.

- ასევე, შესყიდულ იქნა მაღალი გამავლობის მანქანები საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის II პროექტის ფარგლებში იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის კმ55-კმ80 მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია - *მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია. დაწყებულია ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა.* აშენდა ახალი ცემენტო-ბეტონის საფარი 9 კმ, 2 სატრანსპორტო კვანძი და წყალგამტარი მილები.

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორბეთი-აბრამეთის მონაკვეთს. მოეწყო 9,5 კმ ღორღოვანი საფარი. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 250 კმ შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზებს

-ის გრანტი

საქართველოს მთავრობასა და თჩ ჩო-ს და შჩ ჩო-ს შორის გაფორმებული ზოგიერთი სახელმწიფო გზის რეაბილიტაციის ხელშეკრულების მიხედვით 2008 წელს ჩატარებული სამუშაოების შესახებ:

– ბორჯომი-ბაკურიანის 20კმ-იან მონაკვეთზე, სადაც ა/ბეტონის საფარი მოეწყო 2007 წელს, 2008 წელს დასრულდა გზის კუთვნილებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

– რუსთავი-ნაგები-ლემშენიერას ს/გზაზე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სიგრძით 1,5კმ.

– გაჩიანი-რუსთავის ს/გზაზე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სიგრძით 1,2კმ.

– ახალციხე-ვალეს ს/გზის 3კმ-იან მონაკვეთზე დასრულდა პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ამჟამად დარჩენილია სამი კონტრაქტი:

– მარნეული-თეთრიწყაროს 7,7კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობს სამუშაოები, მათი დასრულება მოხდება 2009 წელს.

– ბორჯომი-ახალციხის ს/გზის 17კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობს პერიოდული შეკეთების სამუშაოები, ხოლო ამავე გზის 5კმ-იან მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მათი დასრულება მოხდება 2009 წელს.

ფოთის პორტის დამცავი მოლოს (ტალღმჭრელის) რეაბილიტაციის პროექტი

2008 წელს დასრულდა დამცავი მოლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფლის მეურნეობის სფერო

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის ქსელის განვითარების ხელშეწყობის კუთხით გათვალისწინებული საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებული იყო თხილისა და ციტრუსის სექტორებზე. 2008 წლის შემოდგომაზე საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით საერთაშორისო კონსულტატმა განახორციელა საქართველოს ციტრუსის მწარმოებელი ფერმერებისათვის თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების დანერგვის რეკომენდაციების შემუშავება.

დაიგეგმა და განხორციელდა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ სამეგრელოს რეგიონის თხილის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის პროცესში ჩართული ფერმერებისათვის საინფორმაციო/სასწავლო ტური იტალიაში.

ქართველმა მეწარმეებმა გარკვეულწილად დააინტერესეს იტალიელი კოლეგები ქართული თხილით, ვიზიტის შემდგომ იტალიის მხრიდან ქართველმა მეწარმეებმა ნიმუშების სახით გააგზავნეს 50 ტონა თხილი. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საცდელი პარტიის ექსპორტირებაზე.

საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით შეირჩა კომპანია I შ პარტნერს ინც, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2008 წლის 30 მაისს. კომპანია ამზადებს საქართველოს ღვინის სექტორის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. კომპანიამ 2008 წელს წარმოადგინა პირველადი და შუალედური ანგარიში. შუალედურ ანგარიშში ასახულია საქართველოს ღვინის სექტორის განვითარების მოკლე და საშუალო ვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სოფლად ფინანსური მომსახურების მიზნით 2008 წლის განმავლობაში ოთხი ბანკის (“ბანკი რესპუბლიკა”, “თ ჩ ბანკი”, “ბანკი ქართუ” და “ბაზისბანკი”) აქტიური მონაწილეობით დაფინანსდა 19 აგრო-საინვესტიციო ქვე-პროექტი.

მომზადდა მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო ხაზის საოპერაციო სახელმძღვანელო.

საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით პროგრამის საქმიანობა განსაზღვრულია საქართველოს 4 რაიონში, ესენია: დუშეთის, ასპინძის, ონისა და შუახევის რაიონები.

ოთხივე რაიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თხოვნისა და მათთან მუშაობის საფუძველზე დასაფინანსებლად შეირჩა 8 პროექტი (თითო რაიონში — 2-2 პროექტი). ყველა ეს პროექტი ადგილზე შეისწავლეს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლებმა და შესაბამისად, პროექტები შეთანხმდა დონორთან.

2008 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებული ტენდერის საფუძველზე, შეირჩა ორი საპროექტო ორგანიზაცია: შპს ”გზაპროექტი” (დუშეთის, ასპინძისა და ონის რაიონების ობიექტებისათვის) და ”აჭარსპეცპროექტი” (შუახევის რაიონის ობიექტებისათვის). ამავე წლის ოქტომბერ-დეკემბერში მომზადდა რვავე პროექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია. ორივე საპროექტო ორგანიზაციის

მოვალეობას, ასევე, წარმოადგენს, ზედამხადველობა გაუწიოს მშენებლობის პროცესს. საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისა და ზედამხედველობის ღირებულებამ შეადგინა სულ 202,592 ლარი. ონისა (გომისა და ზუდალის ხიდების რეაბილიტაცია) და დუშეთის (სალაჯურების ხიდის მშენებლობა, დუშეთი-გრემისხევის გზის რეაბილიტაცია) რაიონების ობიექტებზე 2008 წლის 30 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი სამშენებლო ორგანიზაციების შერჩევის მიზნით. ტენდერი ასპინძისა და შუახევის რაიონის ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადდა უკვე 2009 წლის დასაწყისში. დასრულდა მებაღეობა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ენოთეკის ჰიდროლოგიის დამატებითი სამუშაოები; ჩატარდა ინსტიტუტის ენოთეკის კლიმატური პირობების დაცვისათვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოები; განხორციელდა საქარის (ვაჭვეის უბნის) საცდელ-საკონსულტაციო ცენტრის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესანახი ნაგებობების მშენებლობა; რეაბილიტაცია გაუკეთდა ინსტიტუტის ექსპერიმენტული მარნის შესასვლელ კარებს (შეცვლა) და ფოიეს; განხორციელდა ინსტიტუტის უზრუნველყოფა: უვირუსო ნერვის კვლევითი განყოფილების ლაბორატორიული ავეჯით, ლაბორატორიული პლასტიკური და მინის ჭურჭლით, მიკრო პიპეტებით, მიკროპიპეტის ერთჯერადი თავსაცმებით, გენეტიკური მასალების გამოსაკვლევად საჭირო მასალებით და რეაგენტებით, ქრომატოგრაფის აქსესუარებით, ატომურ აბსორბციული სპექტროსკოპის სტანდარტული სინჯებით, მინი ლაბორატორიის გენერატორებით, ლაბორატორიული მაცივრებითა და ხელსაწყოებით ძირითადი ლაბორატორიული კვლევებისათვის.

მომზადდა და გამოიცა ბროშურა “ბიოგაზის ტექნოლოგიები საქართველოში - გადადგმული ნაბიჯები და პერსპექტივები”.

მომზადდა და გამოიცა სარეკლამო - საინფორმაციო ხასიათის პოსტერი „ბიოდანადგარები საქართველოში”.

გამოიცა “დასავლეთ საქართველოს სათიბ-სადოვრების მდგომარეობისა და მათი რესურსებით სარგებლობის” ინგლისური ვერსია.

დასავლეთ საქართველოსათვის ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამერიკული თეთრი პეპელა, რომელიც ფაქტიურად მთლიანად ანადგურებს მწვანე საფარს. ამ პრობლემის ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების გაცნობისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც მჭიდროდ ითანამშრომლა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებთან. ადგილზე გაეცნო პრობლემას, შეხვდა ფერმერებს, დაათვალიერა დაზიანებული ნათესები. ექსპერტმა ქართველ კოლეგებთან შეიმუშავა ამერიკულ თეთრ პეპელასთან ბრძოლის რეკომენდაციები.

ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ღორის აფრიკული ჭირი. კომპონენტის ფარგლებში მოწვეული იყო საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც შეაფასა საქართველოში ამ დაავადების საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებები და შეიმუშავა დაავადების კონტროლის მიზნით დამატებითი რეკომენდაციები.

დაგეგმილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის 10 რაიონული ოფისის რემონტი, სათანადო საოფისე ტექნიკისა და ავეჯის შეძენა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიისათვის მცენარეთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის მიმართულებით საჭირო ლაბორატორიული დანადგარების შეძენა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ტენდერი ორი ინჟინრის (დეფექტური აქტებისა და სამუშაოთა მოცულობების დადგენის მიზნით) და ლაბორატორიული მოწყობილობების სპეციალისტის (რომელმაც უნდა მოამზადოს დეტალური ტექნიკური სპეციფიკაცია) შერჩევის მიზნით.

აგრობიზნესის განვითარების პროექტი (ემ-სი-ჯი)

2008 წლის განმავლობაში „ემ-სი-ჯი“-მ გააფორმა 70 საგრანტო ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 3 679 592.0 აშშ დოლარი. ამ პერიოდში გაიცა 2 936.08 ათასი აშშ დოლარი.

ზემოხსენებული 26 პროექტი სავარაუდოდ შექმნის 317 ახალ სამუშაო ადგილს და არაპირდაპირ სარგებელს მოუტანს დაახლოებით 10,000 ადგილობრივ ფერმერს.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმოწერილია 123 საგრანტო ხელშეკრულება, რომელთა საერთო ბიუჯეტი 5,629,138 აშშ დოლარს შეადგენს, რაც ჯამში შექმნის 1,726 ახალი სამუშაო ადგილს და სარგებელს მოუტანს დამატებით 65,500 პირს.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 123 პროექტიდან - ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსებულია 106 პროექტი. დანარჩენი 17 გრანტის მიმღები ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საწყის ეტაპზეა.

საგრანტო შერჩევის VIII რაუნდის ფარგლებში განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 30 ნოემბერი. შემოსული 155 განაცხადიდან 70-ქულიანი ბარიერი გადალახა 4,000,000-მდე აშშ დოლარის ღირებულების 70-მა პროექტმა.

ენერგეტიკის სფერო:

შჩ და ტელეკომუნიკაციის პროექტის ფარგლებში დასრულდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაკიდების სამუშაოები პროექტით განსაზღვრულ ყველა ელექტროგადამცემ ხაზზე (ეგხ), გარდა ეგხ “სარბევი”; მიმდინარეობდა ღთ -ს მოწყობილობების კარადების

დამონტაჟება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) ქვესადგურებში; ჩატარდა სარელეო დაცვის, მართვის, ავტომატიკისა და სიგნალიზაციის ფარებზე სამონტაჟო/გაწყობითი სამუშაოები და მიერთებულ იქნა საკონტროლო კაბელების ძარღვები კარადებთან. ჩატარდა ტრენინგი ტელეკომუნიკაციის განყოფილების ელექტრო-მომარაგების ჯგუფის ინჟინრებისათვის შ-ის მომსახურებაზე; განხორციელდა ტელეკომუნიკაციის მოწყობილობების მოწოდება; დასრულდა შ / მოწყობილობებისათვის კარადების დამონტაჟება სსე-ს ქვესადგურებში. ჩამოვიდა შჩ -ს სერვერები, სხვა კომპიუტერული მოწყობილობები მთავარი და სარეზერვო სადისპეტჩეროსათვის. სერვერები დამონტაჟდა და გამზადდა ძაბვის ქვეშ შესამოწმებლად. დასრულდა ქვესადგური (ქ/ს) «ლისი»-ისა და ორთაჭალაჰესის ღთ -ს მოწყობილობების დაკავშირება შჩ / შ-ის სისტემასთან; დაკავშირების პროცესი დაიწყო და მიმდინარეობდა ქ/ს-ს «დიღუბე» და ქ/ს-ის «გლდანი» ღთ -ს მოწყობილობებსა და შჩ / შ-ის სისტემას შორის. შI შ-მა ჩატარა თრენინგი სსე-ს პერსონალისათვის სსე-ს სათაო ოფისში - შ / ნაწილში. (პრაქტიკული კურსი). მიმდინარეობდა სამუშაოები მაღალსიხშირული კავშირისათვის გადამღობი დროსელებისა და კონდენსატორების დასამონტაჟებლად. დასრულდა „წერტილი-წერტილთან“ შემოწმების ტესტი შემდეგ ქვესადგურებისათვის: ქუთაისი-220 და მენჯი-220.

ჩ-ის ნაწილში: შემოწმდა მაღალსიხშირული მოწყობილობების მუშაობა შემდეგი მიმართულებებით: ქ/ს ლისი-220 - ხრამჰესი1, ქ/ს გურჯაანი-220 - ქ/ს რუსთავი-220 და ქ/ს წყალტუბო-220 - ქ/ს ქუთაისი-220.

დამთავრდა მოკვლევა რადიოკავშირის მოწყობილობების განლაგებისა «ვარციხეჰეს»-ებში, ქვესადგურ «ფერო 220»-ში.

კომპანიასთან (ბულგარეთი) 220კვ გამთიშველების მოწოდების შესახებ 2008 წლის 17 ივლისს გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული მოწყობილობების მოწოდება დასრულდა დეკემბრის თვეში. 29 დეკემბერს გაფორმდა ცვლილება კონტრაქტში გადახდის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება იგეგმება 2009 წლის იანვარში.

რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაციის I პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეთანხმება და პროექტის განხორციელების გრაფიკის განხილვა. ჩატარდა დაგეგმილი ყოველთვიური შეხვედრები სსე-ს, კონსულტანტისა და კონტრაქტორის მონაწილეობით. გაგრძელდა სამუშაოები 220კვ ქ/ს-ის „გარდაბანი“ დაცვისა და მართვის ფარის ახალი შენობების მშენებლობისათვის, ასევე სამუშაოები 220კვ ქ/ს-ის „გარდაბანი“ დაცვისა და მართვის ფარის ახალი შენობების მშენებლობის დასასრულებლად. მიმდინარეობს მუშაობა მაღალი ძაბვის მოწყობილობების ფუნდამენტების დამზადებისათვის. დამონტაჟდა ახალი ჩ/ჩ ფარი ქ/ს-ის გარდაბანი-220 ახალი მართვის ფარის შენობაში. გარდაბანი-220 ქ/ს-ის ახალი მართვის ფარის შენობაში დამონტაჟდა ახალი აკუმულატორები.

ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამის ფარგლებში სამუშაოების დასაწყებად ქ/ს გარდაბანი-500კვ გადაეცა კონტრაქტორს, რომელმაც დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. გაგრძელდა მაღალი ძაბვის მოწყობილობების ფუნდამენტების

დამზადება. განხორციელდა 500კვ ძალოვანი ძაბვის ტრანსფორმატორის, 500კვ საყრდენი იზოლატორის და 500 კვ მომჭერების მოწოდება. მიმდინარეობს დაცვის/მართვის კონტეინერების ფუნდამენტის სამუშაოები. დასრულდა ჩ/ ჩ კონტეინერების მონტაჟი ფუნდამენტებზე.

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემო ზემოქმედებისა და სოციალური კვლევის პროექტის ფარგლებში ლ ინვენიერი/ ლშ როგეტი-მ წარმოადგინა I ფაზის ანგარიშის პროექტი და შემდგომ I ფაზის საბოლოო ანგარიში, რომელიც მოიცავდა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ 27 ივნისს გამოაცხადა ზემოაღნიშნული ანგარიშების ფართო საზოგადოებრივი განხილვა. ასევე სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ძალისხმევით 2008 წლის 28-31 ივლისს ჩატარდა განხილვა სოფელ ჯვარის, ხაიშისა და მესტიის მოსახლეობასთან შეხვედრები, სადაც განხილული იყო საერთოდ ხუდონის პროექტის პერსპექტივები და ამასთან ერთად ზემოხსენებული ანგარიშები.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2 სექტემბრის შეტყობინების საფუძველზე კონსულტანტმა დაიწყო პროექტის II ფაზაზე მუშაობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ხუდონის პროექტის სოციალური ასპექტების შესწავლას.

ჩოლენცო ოწერ ნგინეერი/შტუცაკ-მ წარმოადგინა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის I ფაზისა და II ფაზის ანგარიშის პროექტები და შესაბამისად საბოლოო ანგარიშები.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2 სექტემბრის შეტყობინების საფუძველზე კონსულტანტმა დაიწყო პროექტის III ფაზაზე მუშაობა. ამჟამად კონსულტანტმა წარმოადგინა ხუდონის კაშხლის ალტერნატივების განხილვის ანგარიში და ხუდონის კაშხლის ტიპის შერჩევის ანგარიში.

კომპანია შ ჩ-მა წარმოადგინა ხუდონის გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების საბოლოო ანგარიში.

ენგურჰესის აგრეგატების რეაბილიტაციის ფარგლებში №4 აგრეგატზე მოწოდებულ იქნა პრაქტიკულად ყველა სათადარიგო და მაკომპლექტებელი მოწყობილობა ტურბინის რეაბილიტაციის დასაწყებად. სამუშაოების დასრულება იგეგმება ოქტომბრის თვეში.

დამამზადებელ ქარხანა თურბოატომ-ის მიერ მთლიანად მოწოდებულ იქნა ობიექტზე №4 აგრეგატის ტურბინის სარეაბილიტაციო კომპონენტები და ტურბინის აწყობის დასრულება დაგეგმილია ოქტომბრის თვეში. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ ქარხანასთან დარჩენილი ორი აგრეგატის ტურბინების რეაბილიტაციაზე, რაც უნდა განხორციელდეს №1 და №5 აგრეგატებზე დაგეგმილი სამუშაოების დაწყებისთანავე.

კაშხალზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მთლიანად დასრულდა და კონტრაქტორმა (“საქჰიდრო”) დაიწყო დემობილიზაციის პროცესი.

“ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო”-ს ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის მეორე ფაზა

- საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა ერთობლივმა საწარმო „ნიუ ენერჯი-თბილისი-საქჰიდრომ“ დაიწყო ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტის მეორე ფაზით გათვალისწინებული სამუშაოები გაზსადენის 9 უბანზე.
- აღნიშნული პროექტებისათვის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ უზრუნველყო სამშენებლო ნებართვების მოპოვება.
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ დაასრულა გაზსადენის მშენებლობისა და ოპერირებისთვის საჭირო მიწის გამოყოფის პროცესი. განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, გაზსადენის რეაბილიტაციის შედეგად გამოწვეული ზეგავლენის ანაზღაურების მიზნით, გაზსადენის დერეფანში მიწათმფლობელებთან და მიწით მოსარგებლეებთან გაფორმდა შესაბამისი სერვიტუდის ხელშეკრულებები და გაიცა კომპენსაციები.

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის მესამე ფაზა

- ნავთობისა და გაზის კორპორაციამ დაასრულა მესამე ფაზის სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება იმ სამშენებლო კომპანიების შესარჩევად, რომლებმაც უნდა განახორციელონ აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- დაიწყო მოლაპარაკებები კომპანია „ოილ ენდ გაზ კონსტრაქშენ ტრასტთან“. ხელშეკრულების გასაფორმებლად მესამე ფაზის პროექტების განხორციელებისათვის საჭირო მიწებისა და სხვა მოწყობილობების შესასყიდად და მათი საქართველოში შემოსატანად.
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მოამზადა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები და გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმები მესამე ფაზის რეაბილიტაციის პროექტებისათვის; დეკემბრის დასაწყისში ჩატარდა გარემოსდაცვითი სკრინინგის და სკოუპინგის დოკუმენტის საჯარო განხილვები დუშეთში და ყაზბეგში.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა ენერგოსექტორის სტრატეგიის შემდგომ დახვეწასა და განხორციელების საკითხებში

- გრძელდებოდა საქართველოში გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობის შესწავლის პირველი ეტაპის სამუშაოები, რომელსაც საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შერჩეული აშშ-ის კომპანია „გუსტავსონ ასოშიეტსი“ აწარმოებს. აღნიშნული

სამუშაოები ითვალისწინებენ გაზსაცავის წინა-სამშენებლო შესწავლების ტექნიკური დავალებისა და საქართველოში გაზსაცავის პროექტის განვითარების დეტალური პროგრამის მომზადებას. აღნიშნული სამუშაოების საფუძველზე, რომელიც 2009 წლის იანვრის ბოლოს იქნება წარმოდგენილი, ათასწლეულის ფონდი შეარჩევს საერთაშორისო საინჟინრო-ტექნიკურ კომპანიას გაზსაცავის წინა-სამშენებლო საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად.

- ზემოაღნიშნული წინა-სამშენებლო შესწავლების ხელშეწყობის და წარმატებით ჩატარების მიზნით, შეიქმნა სათანადო კვალიფიკაციის ადგილობრივი სპეციალისტებისგან შემდგარი გაზსაცავის მუშა ჯგუფი. გაზსაცავის მუშა ჯგუფი მონაწილეობდა „გუსტავსონ ასოშიეტსის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისა და მომზადებული დოკუმენტების ანალიზში.

სხვა საკითხები

- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გაზსადენის ე.წ. „შეჭრის“ ოპერაციების გასაუმჯობესებლად და მათი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად „ემ-სი-ჯი“-მ დაიწყო შესყიდვის პროცედურები საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის შესაბამისი მოწყობილობების მიწოდების მიზნით.
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ წარმოადგინა კორპორაციის 2007 წლის ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომელიც მოამზადა აუდიტორულმა კომპანიამ

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები:

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის I ფაზის ფარგლებში

- გაფორმდა კონტრაქტი სალიბაურში ბათუმის წყალსადენის საწნეო რეზერვუარის მშენებლობაზე; დასრულდა მიწის გამაგრებითი სამუშაოები ხიმინჯების გამოყენებით, შესაბამისი გამოცდის ჩატარებით;
- დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები №1 და №2 სატუმბო სადგურებში;
- შეძენილ იქნა ცხაურები;
- დაიწყო მუშაობა წყალმომარაგების მიწებზე, კონტრაქტორმა დაასრულა მუშებისათვის ტერიტორიის მოწყობა, მათ შორის მიწების საწყობი ტერიტორიის; მიმდინარეობს ძირითადი მკვებავი მიწების გაყვანის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

ფოთის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

პროექტი სამ ეტაპად ხორციელდება:

- 1) ახალი მილსადენის და სათავე ნაგებობის მშენებლობა. აღნიშნულ ფაზას აფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, „შI ” და „ემ-სი-ჯი“. სამუშაოები დაიწყო 2007 წლის გაზაფხულზე და დასრულდა 2008 წლის დეკემბერში.
- 2) არსებული მილსადენის და ქსელის რეაბილიტაცია. კონტრაქტორმა სამუშაოები 2007 წ. აგვისტოში დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დაასრულა.
- 3) წყლის მრიცხველების შექმნა და დამონტაჟება. ამ ეტაპზე დამონტაჟებულია 6600 ცალი 15 მილიმეტრის და 100 ცალი 25 მილიმეტრის დიამეტრის მრიცხველი. მრიცხველების დამონტაჟების პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და 2009 წლის მარტში დასრულდება.

ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

თითქმის დასრულებულია წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია ქუთაისის ორ ქუჩაზე (ჭავჭავაძისა და ახალგაზრდობის ქუჩებზე). სამუშაოების ჩაბარება 2009 წლის დასაწყისისთვის, იგეგმება. სამუშაოები ქუთაისის 28 ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციაზე 2008 წლის ოქტომბერში დაიწყო. სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

„ემ-სი-ჯი“-ს პროგრამით დამატებითი დაფინანსების ფარგლებში ქუთაისის პროექტს დაემატა 6 მილიონი აშშ დოლარი, რაც ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით ავტოქარხნის ტერიტორიაზე წყალმომარაგების რეაბილიტაციას მოხმარდება. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისა და დამტკიცების პროცესი. მუნიციპალური განვითარების ფონდს დაქირავებული ყავს საპროექტო კომპანია, რომელიც დამატებითი თანხების ფარგლებში დასაფინანსებელი სამუშაოების პროექტს ამზადებს.

პარალელურად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გეგმავს 1.5 მილიონი ევროს სესხის, „შI ” 5 მილიონი ევროს გრანტის გამოყოფას ქუთაისის პროექტისთვის. მიმდინარეობს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ აღნიშნული თანხებით დაფინანსდეს კანალიზაციისა და ღრენაჟის ქსელების რეაბილიტაცია ავტოქარხნის ტერიტორიაზე.

ქობულეთის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტენდერი სამუშაოების პირველ ეტაპზე, რაც რეზერვუარების და ძირითადი წყალმდენების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

პროექტს დამატებითი დაფინანსების ფარგლებში ემატება 8 მილიონი აშშ დოლარი, რაც პროექტის კანალიზაციის რეაბილიტაციის კომპონენტის უფრო მასშტაბური სამუშაოების დაფინანსებას მოხმარდება. მუნიციპალური განვითარების ფონდს დაქირავებული ყავს საპროექტო კომპანია, რომელიც დამატებითი თანხების ფარგლებში დასაფინანსებელი სამუშაოების პროექტს ამზადებს. პროექტირება 2009 წლის თებერვალში დასრულდება. ტენდერები პროექტში თავდაპირველად გათვალისწინებულ და დამატებით სამუშაოებზე გამოცხადდება ერთად 2009 წლის გაზაფხულზე.

ბორჯომის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

სამშენებლო პროექტზე მუშაობა დასრულდა. დამბოლლ-ის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდგომ დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა. ტენდერი სამუშაოების პირველ ეტაპზე გამოცხადდება 2009 წლის თებერვლის დასაწყისში.

„ემ-სი-ჯი“-ს პროგრამით დამატებითი დაფინანსების ფარგლებში პროექტს ემატება 12 მილიონი აშშ დოლარი. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისა და დამტკიცების პროცესი. ტენდერები პროექტში თავდაპირველად გათვალისწინებულ და დამატებით სამუშაოებზე გამოცხადდება ერთად 2009 წლის გაზაფხულზე.

ბაკურიანის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

ხელი მოეწერა კონტრაქტს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან. მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია. ზამთრის პერიოდში დაგეგმილია მცირემასშტაბიანი სამუშაოები. მნიშვნელოვანი სამუშაოები დაიწყება გაზაფხულიდან.

ზემო სამცხრის საირიგაციო სისტემის სამშენებლო პროექტის მომზადება

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტენდერი საკონსულტაციო მომსახურების შესასყიდად. მიმდინარეობს შედეგების შეფასების პროცესი.

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (I) “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“-სა და აზიის განვითარების ბანკის “რეგიონალური მომსახურების განვითარების პროექტი“-ს ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა

განსახორციელებელი ობიექტების ნუსხა, როგორც კრედიტუნარიან ასევე არაკრედიტუნარიან თვითმმართველობებში:

კრედიტუნარიანი ადგილობრივი თვითმმართველობები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროექტირების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება შემდეგი ობიექტები:

1. ქ. რუსთავი - შიდა გზების რემონტი;
2. ქ. რუსთავი - შარტავას ქუჩის რემონტი;
3. ქ. მარნეული - წყალსადენის რეაბილიტაცია;
4. ქ. გარდაბანი - კანალიზაციის სისტემას რეაბილიტაცია;
5. ქ. ბოლნისი - წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია;
6. ქ. მცხეთა - შიდა გზების რემონტი;
7. დაბა ფასანაური - კანალიზაციის სისტემას მშენებლობა/რეაბილიტაცია;
8. ქ. ახალქალაქი - შიდა გზების რემონტი;
9. ქ. ხობი - შიდა გზების რეაბილიტაცია;
10. ქ. ფოთი - წყალსადენის ქსელგამოცვლილი ქუჩების რემონტი;
11. ქ. ზუგდიდის - კანალიზაციის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;
12. ქ. ზესტაფონი- სოფ.კვალითის გზის რეაბილიტაცია;
13. ქ. თელავი - შიდა ქსელის ზონირება;
14. ქ. გურჯაანი - წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;
15. ქ. მცხეთა - წილკანი-ძალისის გზის რემონტი;
16. ქ. ღუშეთი - შიდა გზების და ამავე ქუჩებზე წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
17. ქ. ღუშეთი - წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია;
18. ახალქალაქის რაიონის სოფლების (იხტილა, არაგვა, ორჯა, დიფი, მუჯახეთი, ჩანდურა) - წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;
19. ქ. ფოთი - საკანალიზაციო სისტემის სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია;
20. ქ. ზუგდიდი - შიდა გზების რემონტი;
21. ქ. ზესტაფონი - კვალითის დასახლების წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია;
22. ქ. თელავი - შიდა გზებზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა და ასფალტის საფარის დაგება;
23. ქ. გურჯაანი - კარდენახი-ბაკურციხის 3კმ-იანი გზის მონაკვეთის რემონტი;

არაკრედიტუნარიანი ადგილობრივი თვითმმართველობები - აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები:

1. ს. ჩიხარეშის (ლენტეხის მუნიციპალიტეტი, რაჭა-ლეჩხუმი) საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ქვეპროექტი - მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების ტენდერი;
2. ს. ბაღდა და სკურდას (მარტვილის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო ზემო სვანეთი) წყალსადენის სისტემის მშენებლობის ქვეპროექტი - მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო სამუშაოების ტენდერისთვის;
3. ს. ენისელი-გრემის და ენისელი-საბუეს (ყვარლის მუნიციპალიტეტი, კახეთი) ასფალტირებული გზის რეაბილიტაციის - მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო სამუშაოების ტენდერისთვის;
4. ქ. ცაგერის (რაჭა-ლეჩხუმი) წყალსადენის რეაბილიტაციის ქვეპროექტი - მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების ტენდერი;
5. ქ. დედოფლისწყაროს (კახეთი) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის ქვეპროექტი - მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების ტენდერი;
6. ქ. ონის (რაჭა-ლეჩხუმი) კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის ქვეპროექტი - მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო სამუშაოების ტენდერისთვის
7. ქ. სენაკის (სამეგრელო-ზემო სვანეთი) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის ქვეპროექტი - მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო სამუშაოების ტენდერისთვის.

რეგიონალური და მუნიციპალური განვითარების პროექტის (რმიგპ) ფარგლებში გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები და მშენებლობა; დევნილთა სახლების სამშენებლო სამუშაოები.

იმის გამო, რომ ჩასატარებელი იყო სასწრაფო და გადაუდებელი სამუშაოები ჩატარდა გამარტივებული სწრაფი შეფასება, ასევე განხორციელდა გარემოსდაცვითი სკრინინგი. სამშენებლო ორგანიზაციების შერჩევა განხორციელდა პირდაპირი შესყიდვების მეთოდით. (ჯამში 783 შენობა დასრულდა 2008 წლის ნოემბრის ბოლოს):

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში 134 სახლის მშენებლობა (შპს “ლაზო ინვესტი”);
2. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრაში 86 სახლის მშენებლობა (შპს “ნოლა”);
3. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვებში 30 სახლის მშენებლობა (შპს “ოდა”);
4. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვებში 30 სახლის მშენებლობა (შპს “ერთი-ჯი”);
5. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვებში 30 სახლის მშენებლობა (შპს “გონი”);
6. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვებში 30 სახლის მშენებლობა (შპს “იმერეთი - 2000”);

7. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშევებში 30 სახლის მშენებლობა (შპს “მშენებელი 80”);
8. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშევებში 27 სახლის მშენებლობა (ს/ს “თბილმრეწვემშენი – 3”);
9. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში 100 სახლის მშენებლობა (ს/ს “სამშენებლოტრესტი 3”);
10. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში 39 სახლის მშენებლობა (შპს “ინტერმშენი ა და პ”);
11. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თელიანში 54 და სოფელ მეტეხში 35 სახლის მშენებლობა (შპს “პლანეტა”);
12. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში 35 სახლის მშენებლობა (შპს “პლანეტა”);
13. ქარელის მუნიციპალიტეტის ახალსოფელში 100 სახლის მშენებლობა (შპს “აქსისი”);
14. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხისში 58 სახლის მშენებლობა (ს/ს “ინჟმშენი”);

განათლების სფერო:

მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები ს. გავაზის საჯარო სკოლის (ყვარელი), ს. ჯუგაანის საჯარო სკოლის (სიღნაღი), ს. ტაძრისის საჯარო სკოლის (ბორჯომი), დიღმის საჯარო სკოლის (თბილისი) და ბორჯომის №3 საჯარო სკოლის (ბორჯომი) რეაბილიტაციაზე. ამასთანავე, შემუშავებულ იქნა სამოქმედო გეგმა მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესაქმნელად; დასრულდა მუშაობა მენტორთა სახელმძღვანელოზე. მომზადდა ხელშეკრულებები მენტორებისა და მაძიებლებისთვის; მომზადდა თ ღ მასწავლებელთა მართვის საინფორმაციო სისტემის ოპერატორებისთვის.

2008 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები

1. 2008 წლის 8 თებერვალს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის () " -ის პროექტების გადასახადებისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით";
2. 2008 წლის 19 თებერვალს ხელი მოეწერა შეთანხმებაში ცვლილებას ხარაგაულის სათემო ტყის საცდელი პროექტის განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობას (წარმოდგენილს ფინანსთა სამინისტროთი) და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს შორის 2003 წლის 11 ივლისს დადებული „დაფინანსების შესახებ“;

3. 2008 წლის 25 თებერვალს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ერთობლივ ბუკრანერებს (ჟონტ ბოკ რუნერს - ჟ ორგან და შ) შორის;
4. 2008 წლის 25 თებერვალს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ადგილობრივ იურიდიულ მრჩეველს (იპერ ვინაღზე & არტნერს) შორის;
5. 2008 წლის 20 თებერვალს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და უცხოეთის იურიდიულ მრჩეველს (ეწყ & ე ოუფ) შორის (ევროობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით);
6. 2008 წლის 11 აპრილს ხელი მოეწერა ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული შესყიდვების ხელშეკრულებას (შუბსკრიპტიონ გრეემენტ);
7. 2008 წლის 15 აპრილს ხელი მოეწერა საერთაშორისო ფისკალური აგენტის ხელშეკრულებას (ინტერნაციონალ ისცალ გენცყ გრეემენტ);
8. 2008 წლის 21 მარტს ხელი მოეწერა შეთანხმებას "ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ";
9. 2008 წლის 18 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას ჭ-ს მიერ დაფინანსებული "განახლებადი ენერჯიის განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გასაფორმებელ მართვის მომსახურების შესახებ;
10. 2008 წლის 22 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, სსიპ "ენერგოგენერაცია"-ს და ს.ს."ენერგო-პრო"-ს შორის, ს.ს "ენერგო-პროს" მიერ ჟ I#-ის სესხის ნაწილის დაბრუნებასთან დაკავშირებით;
11. 2008 წლის 30 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას "გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ "ტუბერკულოზის კონტროლის რეგიონალური პროგრამა – II";
12. 2008 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს "თბილავიამშენს" შორის თურქმენეთის ვალის ჩამოწერილი თანხის (109,904.29 აშშ დოლარი) ანგარიშსწორების თაობაზე;

13. 2008 წლის 20 მაისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ეხება უწყებებს შორის თანამშრომლობის და ტექნიკური დახმარების საკითხებს;
14. 2008 წლის 12 ივნისს ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებას საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (I) შორის სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე ღონისძიების (ლშ IV) შესახებ;
15. 2008 წლის 19 ივნისს ხელი მოეწერა I -სა და საქართველოს მთვარობას შორის 2006 წლის 14 ივლისს ხელმოწერილი მემორანდუმის №2-2008 ცვლილებას (ღI);
16. 2008 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (ღ) შორის "ქობულეთის წყალარინების რეაბილიტაციის პროექტის" სასესხო, საპროექტო და პროექტის დახმარების ხელშეკრულებებს (1,5 მლნ ევრო);
17. 2008 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ფინანსთა სამინისტროსა და ჩინეთის განვითარების ბანკს შორის 20 მლნ. იუანის ოდენობის გრანტის აღრიცხვიანობის პროცედურების შესახებ;
18. 2008 წლის 2 ივლისს ხელი მოეწერა საქართველოს და ჯ-ს შორის დაფინანსების ხელშეკრულებას "კრედიტების საგარანტიო ფონდი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის" 19.12.2003 წლის ხელშეკრულების ცვლილებას ჩ -II (4.0 მლნ ევრო);
19. 2008 წლის 14 აგვისტოს ხელი მოეწერა "ქობულეთის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის" ფარგლებში რანგე ჭატერ შოლუტიონს-სა და შპს ქობულეთის წყალკანალს შორის დასადები კონტრაქტის ნაწილობრივი დაფინანსებისათვის ნიდერლანდების მთავრობის პროგრამა ღ თ-ის მიერ გამოყოფილი 1.814.000 ევროს ოდენობის გრანტის წინასწარ შემოთავაზებას (რელიმინარე ფფერ);
20. 2008 წლის 12 აგვისტოს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ადგილობრივ ოფისის დაარსების" შესახებ;
21. 2008 წლის 29 აგვისტოს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულების ცვლილებას "მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის" შესახებ;

22. 2008 წლის 1 სექტემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებებს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს () შორის "ტექნიკური დახმარების ჩარჩო შეთანხმებას" და "აზიის განვითარების ბანკის ადგილობრივი მისიის შესახებ შეთანხმებას";
23. 2008 წლის 2 სექტემბერს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (ლ) შორის ხელი მოეწერა "ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტის" სასესხო, საპროექტო და პროექტის დახმარების ხელშეკრულებებს;
24. 2008 წლის 8 სექტემბერს ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა მაინის ფრანკფურტი (ჭ) და საქართველოს მთავრობას წარმოდგენილს ფინანსთა სამინისტროთი "ტუპერკულოზის კონტროლის რეგიონალური პროგრამა, ფაზა II (1 350.0 ათას ევროზე) შესახებ;
25. 2008 წლის 3 ოქტომბერს ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებაში ცვლილებას საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (I) შორის "სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე ღონისძიებასთანა(ლშ IV) დაკავშირებით შეღავათიანი სესხის გამოყოფის" შესახებ;
26. 2008 წლის 3 ოქტომბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (I) შორის დაფინანსების ხელშეკრულებას "რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის" შესახებ;
27. 2008 წლის 10 ოქტომბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (შ I) შორის სამთავრობოთაშორისო შეთანხმებას (საბიუჯეტო დახმარება 250,0 მლნ აშშ დოლარი);
28. 2008 წლის 6 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (I) შორის "აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების II პროექტის დაფინანსების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ";
29. 2008 წლის 11 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს () შორის "მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის" შესახებ;
30. 2008 წლის 11 ნოემბერს საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელი მოეწერა ოქმს თურქეთის განვითარებისა და

თანამშრომლობის სააგენტოს მიერ საქართველოში ლტოლვილთა 100 მუდმივი საცხოვრებელი სახლის აგების შესახებ;

31. 2008 წლის 11 ნოემბერს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თურქეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისის სტატუსის შესახებ ოქმს";
32. 2008 წლის 19 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის "პოსკონფლიქტური აღდგენისათვის გადაუდებელი დახმარების" შესახებ;
33. 2008 წლის 20 ნოემბერს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" შორის 2005 წლის 17 ივლისს გაფორმებული "კომპაქტის განვითარებასთან დაკავშირებული გრანტის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანას;
34. 2008 წლის 28 ნოემბერს ხელი მოეწერა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" სახით, და საქართველოს მთავრობას შორის დადებული "ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის პირველ შესწორებას" (დამატებით 100,0 მლნ);
35. 2008 წლის 24 ნოემბერს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსურ პროტოკოლს "თბილისის აეროპორტის რადარით აღჭურვის პროექტი"-ს დასაფინანსებლად;
36. 2008 წლის 1 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის "ბორჯომის წყალმომარაგების პროექტის "სასესხო, საპროექტო და პროექტის დახმარების ხელშეკრულებებს";
37. 2008 წლის 1 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს () შორის "თანხის გადაცემის ხელშეკრულებას";
38. 2008 წლის 5 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებას "საქართველოს 2007 სასურსათო უსაფრთხოების პროგრამაზე";
39. 2008 წლის 5 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებას "საქართველოს იძულებით

გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა 2008 ნაწილი I-ის" შესახებ;

40. 2008 წლის 11 დეკემბერს ხელი მოეწერა "საქაერონავიგაცია" და ფრანგულ კომპანია თალესს შორის ხელშეკრულებას პირველადი და მეორადი რადარის შესყიდვაზე;
41. 2008 წლის 16 დეკემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოქმედ თიქიშ-სა და საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის;
42. 2008 წლის 17 დეკემბერს ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სს "ზრამკესი-2"-ს და სსიპ "ენერგოგენერაციას" შორის "ზრამი-2 ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციაზე იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს სესხის ათვისებული თანხების სახელმწიფოსათვის დაბრუნებების თაობაზე";
43. 2008 წლის 19 დეკემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას "სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე ღონისძიებისა (ღმ IV) თანმხლები ჰოლანდიური გრანტის" შესახებ;
44. 2008 წლის 19 დეკემბერს ხელი მოეწერა გერმანულ მხარესთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის – II ფაზის დაფინანსების მიზნით (სასესხო ხელშეკრულება, დაფინანსების ხელშეკრულება და განსაკუთრებული შეთანხმება);
45. 2008 წლის 19 დეკემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებებს "გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ (2008-2009)" და "გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ (2008-2009)";
46. 2008 წლის 19 დეკემბერს ხელი მოეწერა "იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში" პროექტის დაფინანსების მიზნით ჭ-სთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს (დაფინანსების ხელშეკრულება და დაფინანსების ხელშეკრულების განსაკუთრებული შეთანხმება);
47. 2008 წლის 25 დეკემბერს ხელი მოეწერა "იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოსათვის გამოსაყოფი არასაპროექტო გრანტის" შესახებ გაცვლით ნოტებს;

48. 2008 წლის 29 დეკემბერს ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და "თბილავიამშენს" შორის თურქმენეთის ვალის ჩამოწერილი თანხის (1 400.0 ათასი აშშ დოლარი) ანგარიშსწორების თაობაზე.

უცხოური კრედიტებით გაცემული სახსრებიდან 2008 წლის განმავლობაში დაბრუნებული თანხები

უცხოური კრედიტებით გაცემული სახსრებიდან 2008 წლის განმავლობაში სულ სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებული იქნა 17 729.8 ათასი ლარი, საიდანაც: 9 800.3 ათასი ლარი არის შემოსავლები უცხოური კრედიტებით გაცემული სესხების დაბრუნებიდან (ძირითადი თანხა), 7 166.6 ათასი ლარი არის შემოსავლები უცხოური კრედიტებით გაცემული სესხების პროცენტიდან, ხოლო 762.9 ათასი ლარი – გაცემული სესხების დაფარვის ვადების დარღვევის გამო დარიცხული საურავიდან.

2008 წლის განმავლობაში უცხოური კრედიტებით გაცემული სახსრებიდან ბიუჯეტში შემოსული 17 729.8 ათასი ლარი ორგანიზაციების მიხედვით ძირითადად შემდეგნაირად ნაწილდება:

- 8 631.1 ათასი ლარი წარმოადგენს შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხას, მათ შორის: 5 476.6 ათასი ლარი ძირითად თანხას და 3 154.5 ათასი ლარი პროცენტს;
- 3 824.3 ათასი ლარი წარმოადგენს ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიერ ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხას, მათ შორის: 3 106.5 ათასი ლარი ძირითად თანხას და 717.9 ათასი ლარი პროცენტს;
- 2 101.5 ათასი ლარი წარმოადგენს შპს "რუსთავცემენტის" მიერ ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხას, მათ შორის: 574.0 ათასი ლარი ძირითად თანხას და 1 527.5 ათასი ლარი პროცენტს;
- 916.2 ათასი ლარი წამოადგენს სს "ენერჯია XXI"-ის მიერ ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხას, მათ შორის: 255.7 ათასი ლარი საპროცენტო თანხას და 660.5 ათასი ლარი გაცემული სესხების დაფარვის ვადების დარღვევის გამო დარიცხული საურავი;
- 287.3 ათასი ლარი წარმოადგენს სს "პროკრედიტბანკის" მიერ ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხას, მათ შორის: 194.6 ათასი ლარი ძირითად თანხას და 92.7 ათასი ლარი პროცენტს;

- 416.9 ათასი ლარი წარმოადგენს შპს “ენგურჰესის” მიერ ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხას, მათ შორის: 395.1 ათასი ლარი პროცენტს და 21.8 ათასი ლარი ვალდებულების გადასახადს;